

# სამოქალაქო განათლება საქართველოში: მიღწევები და პერსპექტივები

სამოქალაქო განათლების ლექტორთა კონფერენციის მასალები

სამოქალაქო განათლების ლექტორთა ასოციაცია  
თბილისი - 2014



ამ ნაშრომის გამოცემა შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მხარდაჭერით ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID-ის) ფინანსური მხარდაჭერით პროექტის ნდობის გაზრდა საარჩევნო პროცესებისადმი (ITEP-ის) ფარგლებში, რომელიც ხორციელდება საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES-ის) მიერ.

ნაშრომის შინაარსი, შესაძლოა, არ გამოხატავდეს სამოქალაქო განათლების ლექტორთა ასოციაციის (CELA), IFES-ის, USAID-ის ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.

**რედაქტორი: სალომე დუნდუა**  
პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი

**პროექტის ხელმძღვანელი: თამარ ქარაია**  
სამოქალაქო განათლების  
ლექტორთა ასოციაციის  
აღმასრულებელი დირექტორი

©2014 სამოქალაქო განათლების ლექტორთა ასოციაცია (CELA).  
ყველა უფლება დაცულია

©2014 CELA. All rights reserved.

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2014

---

თბილისი, 0179, გ. ვაკევაძის გამზ. 19, თე: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-22312-9

## **სარჩევი**

<b>დარბაიძე ეკა - საქართველოს 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგების ანალიზი გენდერულ ჭრილში .....</b>	<b>5</b>
<b>დარჩაშვილი მანანა - მოქალაქეთა ჩართულობა საქართველოში, როგორც დემოკრატიის დამკავიდრების მნიშვნელოვანი ფაქტორი .....</b>	<b>19</b>
<b>კუხიანიძე ქეთი - სამოქალაქო საზოგადოება საქარ- თველოში: მიღწევები და გამოწვევები .....</b>	<b>33</b>
<b>მიმინოშვილი ზვიად - ინიციატივები საქართველოში სამოქალაქო განათლების მხარდასაჭერად .....</b>	<b>44</b>
<b>მურუსიძე ქეთი - სამოქალაქო განათლების მნიშვნე- ლობა და პრობლემები საქართველოში გვ .....</b>	<b>66</b>
<b>ნიშნიანიძე ნინო - კონსტიტუციური სამართალწარ- მოება და საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციები.....</b>	<b>79</b>
<b>ურიადმყოფელი კახაბერ - სახელმწიფოს პასუხის- მგებლობა მიყენებული ზიანისთვის .....</b>	<b>93</b>
<b>ქარაია თამარი - განათლება დემოკრატიისთვის: უნი- ვერსიტეტი, როგორც სამოქალაქოიდენტობის ჩამოყა- ლიბების ადგილი .....</b>	<b>106</b>

**ნურნუმია მაია -სამოქალაქო საზოგადოებასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობის ფორმები და ხასიათი თანამედროვე საქართველოში .....** 118

**ჭილაძე გიორგი -სპორტის სპეციალისტთა მომზადებისა და სპორტული ინფრასტრუქტურის სისტემის განვითარების ზოგიერთი ასპექტი საქართველოში .....** 130

**საქართველოს 2012 წლის საპარლამენტო  
არჩევნების შედეგების ანალიზი  
გენდერულ ჭრილობი**

**ეკა დარბაიძე**

**თუ სოციალურ და პოლიტიკურ  
მეცნიერებათა ფაკულტეტი, პოლიტიკის  
მიმართულების მოწვეული ლექტორი**

საქართველოში, დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობის კუთხით, უაღლესად მნიშვნელოვანია ქალთა და მამაკაცთა თანაბარი მონაწილეობა პოლიტიკაში. ქალების ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში აქტიურად შეუწყობს ხელს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური და სოციალური პროცესების წარმატებით განხორციელებას. სამწუხაროდ, ამ მხრივ ჩვენს ქვეყანაში არც თუ სახარბიელო მდგომარეობაა. ბოლო წლების პროგრესის მიუხედავად, ქალები კვლავ არასათანადოდ არიან წარმოდგენილნი გადაწყვეტილებების მიმღებ ორგანოებში. პოლიტიკაში ქალთა აქტიურობა სამომავლოდ ხელს შეუწყობს ისეთი უმნიშვნელოვანესი საკითხების წინ წამოწევას, როგორიც არის ეკოლოგიის, ჯანდაცვის, სოციალური დაცვის, განათლების და დასაქმების სფეროები. პოლიტიკასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალთა ჩართულობამ, შესაძლოა, ამ სფეროებში პრობლემების აღმოფხვრის ახლებური და უფრო ეფექტუანი ხედვა შემოიტანოს.

დემოკრატიულ საზოგადოებაში პოლიტიკური პარტიები პოლიტიკური ურთიერთობების უმთავრეს სუბიექტებს წარმოადგენენ. მათ უმნიშვნელოვანესი როლი ეკისრებათ სოციალური სამართლიანობის და გენდერული თანასწორობის დამკვიდრებასა და ქალთა უფლებების დაცვაში. ქალთა წარმომადგენლობა პოლიტიკურ პარტიაში პოლიტიკური ორგანიზაციის შიდა დემოკრატიის განვითარებისა და

საზოგადოების დემოკრატიული სიმწიფის სათანადო ინდიკატორია. ისინი კვლავაც რჩებიან უმთავრეს ინსტრუმენტა ქალთა პოლიტიკაში დაწინაურების გზაზე, რომლებიც წამყვან როლს თამაშობენ კანდიდატთა რეკრუტირებისა და ნომინირების პროცესში. შესაბამისად, ქვეყნის წარმომადგენლობით ორგანოებში ქალთა რაოდენობის ზრდა პოლიტიკური პარტიების მხარდაჭერისა და ამ კუთხით გადადაგმული მათი ქმედითი ნაბიჯების გარეშე, ფაქტობრივად, წარმოყდებით მსურველობიდან კანდიდატობისკენ მიმავალ გზაზე, რაზეც გავლენას ახდენს პარტიის წესდებებში ჩადებული კანდიდატთა შერჩევის პროცედურები და პარტიის შიგნით ქალთა პოლიტიკაში ჩართულობის მიმართ არსებული განწყობები. აღნიშნული პროცესის დასაწყისში საკუთარი კანდიდატურის წარმოყენების უფლების მქონე ქალთა და მამაკაცთა რაოდენობა თითქმის თანაბარია, მაგრამ, როდესაც საკანონმდებლო ორგანოს წევრთა რაოდენობაზე მიღება საქმე, ქალთა რიცხვი მნიშვნელოვნად მცირდება. საქართველოში არსებობს ე.წ. „სისტემური კავშირი“ მოქმედ საარჩევნო სისტემასა და ქალთა წარმომადგენლობას შორის. დადასტურებულია, რომ ქვეყნის წარმომადგენლობით ორგანოებში პროპორციული საარჩევნო სისტემით გაცილებით მეტი ქალის არჩევა ხდება, ვიდრე მაჟორიტარული სისტემით.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში ქალებმა მანდატების საერთო რაოდენობის 12% (17 მანდატი) მოიპოვეს. შედეგების გენდერულმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ მაჟორიტარებში ქალები შეადგენდნენ კანდიდატების საერთო რაოდენობის 14%, პროპორციულ სიებში - 32%. ანუ ყველა საარჩევნო სუბიექტის მთლიან სიაში ქალები წარმოადგენდნენ 32%. მაჟორიტარული და პროპორციული კანდიდატების საერთო ჯამიდან ქალები კანდიდატების 28,7% შეადგენდნენ. საქართველოს 34 მაჟორიტარულ ოლქში, ანუ ოლქების 46.5% კი ქალები საერთოდ არ იყვნენ წარმოდგენილნი. სა-

არჩევნო კვალიფიციურ სუბიექტთა სიეპიდან ნათლად ვლინდება, რომ რაც უფრო მივდივართ არამოწინავე ადგილებისკენ, სადაც არა მარტო ქალთა, არამედ ზოგადად, სადეპუტატო მანდატის შანსი მნიშვნელოვნად იკლებს, ქალთა რაოდენობა მატულობს. რაც შეეხება მაურორიტარობის კანდიდატებს, კველაზე მეტი მაურორიტარობის ქალი კანდიდატი ჰყავდა „გიორგი თარგამაძე ქრისტიანულ – დემოკრატიულ გაერთიანებას”, რომელმაც შიდაპარტიული გენდერული კვოტა და კანონის, „პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ”, ნორმა დაიცვა. „ქრისტიან – დემოკრატიული“ მოძრაობის შემდეგ მეორე ადგილს იკავებს „ახალი მემარჯვენები“, რომელსაც 44 ქალი ჰყავდა შეყვანილი პარტიულ სიაში და აქედან 6 მაურორიტარი ქალბატონი იყო. „ახალ მემარჯვენებში“ ხელმძღვანელ რგოლებში-პოლიტიკურ საბჭოში, მთავარ კომიტეტსა და ლიდერთა საბჭოში მესამედს ქალები წარმოადგენენ. პარტიის 4 აქტიური ლიდერიდან ორი ქალია: მანანა ნაჭყებია და ფიქრია ჩიხრაძე, რომლებიც წარმატებით ითავსებენ პარტიის თავჯდომარისა და გენერალური მდივნის ფუნქციას.

როგორც ცნობილია, 2011 წელს კანონში „პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ ცვლილება შევიდა, რომლის მიხედვითაც საარჩევნო სუბიექტი, რომელიც იღებს დაფინანსებას ამ მუხლით დადგენილი წესით, მიიღებდა დაფინანსებაზე დანამატს 10%-ის ოდენობით, თუ მის მიერ წარდგენილ პარტიულ სიაში (ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე-ყველა პარტიულ სიაში) ყოველ 10 კანდიდატს შორის განსხვავებული სქესის წარმოადგენილი იქნებოდა სულ მცირე 20%-ით (28.12.2011.N5661).

საარჩევნო სუბიექტმა „ლეიბორისტულმა პარტიამ“ ცეკვაში 167-წევრიანი სია წარადგინა, რომელთაგან 39 იყო ქალი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, „ლეიბორისტებმა“ ფინანსური დანამატი ვერ მიიღეს, რადგან მათ მხოლოდ პირველ ორ ათეულში ჰქონდათ დაცული კანონის მოთხოვნა.

სამწუხაროდ, აღმოჩნდა, რომ წახალისების ფორმამ ეფექტურად ვერ იმუშავა ჩვენი ქვეყნის შემთხვევაში, რადგან არც „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ და არც კოალიციას „ბიძინა ივანიშვილი–ქართულ ოცნება“ აღნიშნული ნორმა არ შეუსრულებია. პროპორციული სისტემით ქართულმა ოცნებამ 200 კანდიდატიდან სიაში 33 ქალი შეიყვანა. პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე, მანანა კობახიძე, ასეთ გენდერულ დისბალანსს პარტიის მცირებნიანი ისტორიით ხსნიდა: „ჩვენ არ ვართ ხანგრძლივი ისტორიის პარტია, რომ ვინმეს პრეტენზია ჰქონდეს. ახლა ვვითარდებით, მომავალში გვექნება შესაბამისი პოლიტიკური სკოლა და გადამზადების შესაძლებლობა, რომ ქალბატონები უფრო ჩაერთონ პოლიტიკურ პროცესებში“<sup>1</sup>. რაც შეეხება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ 155 კანდიდატიან სიას, მასში 17 ქალი იქნა შეყვანილი. აღმოჩნდა, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ეს მუხლი პირველივე ათეულში, ხოლო ნაციონალურმა მოძრაობამ მეორე ათეულში დაარღვია.

პარტიების შიგნით ქალთა პოლიტიკური ჩართულობის მიმართ არსებული დამოკიდებულებისა და, ზოგადად, შიდა პარტიული პოლიტიკის შესასწავლად, საინტერესო აღმოჩნდა ჩვენს მიერ ჩატარებული ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ საპარლამენტო და არასაპარლამენტო პოლიტიკური პარტიების როგორც მამაკაც, ასევე ქალ ლიდერებთან. აღნიშნული ინტერვიუების შესწავლისას, გამოიყო მთელი რიგი ტენდენციები, რაც გენდერული თანასწორობის პრობლემისადმი თითქმის ყველა რესპონდენტის დამოკიდებულებაში იდენტური იყო. თუმცა, გამოიკვეთა გარკვეული აპსექტებიც, რომლებიც რესპონდენტებს ერთმანეთისაგან განასხვავებდა, რაც საინტერესო აღმოჩნდა პრობლემათა ახალ ჭრილში დანახვისა და გააზრების კუთხით.

<sup>1</sup> ხაჭაპურიძე, ე. „ფინანსური წახალისება და ქალები პარტიულ სიებში“. ნეტ გაზეთი, 13 სექტემბერი, 2013, მოძიებულია 20 სექტემბერი, 2013, <http://www.netgazeti.ge/GE/105/Life/12778/>

## **დამოკიდებულება ქალთა პოლიტიკაში და, ზოგადად, პოლიტიკურ პროცესებში ჩართულობის მიმართ**

როგორც აღმოჩნდა, ყველა რესპონდენტი მიიჩნევს, რომ ქალთა პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობა ჩვენს ქვეყანაში აუცილებელია, რადგან ეს პოლიტიკურ პროცესებს შედარებით უფრო რბილს, ხოლო თავად პოლიტიკას კი უფრო გრძელვადიანს გახდის, რადგან ქალებს მამაკაცებისგან განსხვავებული ხედვა და მრავალი მათგან განმასხვავებელი უნიკალური თვისება გააჩნიათ. რაც შეეხება ქალთა პოლიტიკურ მონაწილეობას, როგორც პრობლემას, რესპონდენტთა პოზიციები ამ შემთხვევაში ორად გაიყო: მამაკაცები აღიარებენ, რომ პოლიტიკაში მონაწილეობის კუთხით გენდერული ბალანსი დარღვეულია, რაზეც საქართველოში ქალთა ჩართულობის სტატისტიკური სურათიც მეტყველებს, რაც, მათი აზრით, მხოლოდ ტრადიციული და კულტურული სტერეოტიპების შედეგია. თუმცა, ამ საკითხს პრობლემად არ თვლიან და უფრო ხელოვნურად წინ წამონეულ თემად მიიჩნევენ. ქალბატონების ნაწილი მიიჩნევს, რომ ჩვენს ქვეყანაში ქალების პოლიტიკაში ჩართულობა ნამდვილად პრობლემას წარმოადგენს და ამის დასამტკიცებლად ისინი სტატისტიკურ მონაცემებს იშველიებენ. თუმცა, პოლიტიკოს ქალთა მეორე ნაწილი ამ საკითხს საერთოდ არ თვლის პრობლემად საკუთარი მაგალითიდან გამომდინარე და მიაჩნიათ, რომ პრობლემა თავად ქალებშია, რადგან ნებისმიერი პოლიტიკური ლიდერი მზად არის აქტიური, მოტივირებული, კომპეტენტური ქალის საკუთარ გუნდში მისაღებად. ქალბატონების ნაწილი თვლის, რომ მართალია, ამ კუთხით მდგომარეობა საქართველოში გაუმჯობესდა, თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ მომავალი საპარლამენტო არჩევნებისთვის პოლიტიკური პარტიები მზად არიან და რომ მათ ჰყავთ მომზადებული და კომპეტენტური ქალბატონები საკუთარ სიებში შესაყვანად.

## **ქალთა პოლიტიკური დაწინაურების ხელისშემ-შლელი ფაქტორები**

პოლიტიკაში ქალთა წარმატების მთავარ პრობლემად რესპონდენტთა უმრავლესობა ოჯახთან მიმართებაში ქალის გაცილებით მეტ პასუხისმგებლობას მიიჩნევს. კაცისგან განსხვავებით, ქალს ორი როლის შესრულება უწევს: ეს არის ოჯახი და მისი პროფესიული საქმიანობა. სწორედ ამის გამო, ქალს უჭირს დროის გადანაწილება ოჯახსა და პოლიტიკურ ცხოვრებას შორის. ასევე, მათ არ იციან, როგორ გამოავლინონ საკუთარი თვისებები, ხასიათის სიმტკიცე და სწორი გადაწყვეტილების მიღების უნარი. ნაწილი კი მიიჩნევს, რომ პრობლემა თავად ქალებშია, რადგან მათ არა აქვთ შესაბამისი ცოდნა, მოტივაცია და ისინი გაცილებით ნაკლებად აქტიური არიან მამაკაცებთან შედარებით. თუმცა, თითქმის ყველა რესპონდენტი თვლის, რომ მათ პარტიაში ქალის-თვის არანაირი ხელისშემშლელი ფაქტორი არ არსებობს. პოლიტიკაში, ისევე როგორც ყველგან, ნათელი და ჯანსაღი პროცესი მოქმედებს. ესაა კონკურენცია და ბაზარი, სადაც საბაზრო ეკონომიკის პრინციპებია დამკვიდრებული. სწორედ ამიტომ, ყველა პოლიტიკური ლიდერი ეძებს კომპეტენტურ, აქტიურ და მიმზიდველ სახეებს და მნიშვნელობას არა აქვს, ასეთი მამაკაცი იქნება თუ ქალბატონი. თვლიან, რომ ძირითადი ხელისშემშლელი ფაქტორი მხოლოდ ქალის ორმაგი ტვირთია და ამიტომ, თუ გვინდა რომ ქალები მოვიდნენ აქტიურად პოლიტიკაში, მათ ხელი უნდა შეუწყოს სახელმწიფომ და ისეთი სოციალ-ეკონომიკური პირობები უნდა შეუქმნას, რომ ქალმა შეძლოს ორივე უმნიშვნელოვანესი ფუნქციის შესრულება. თუკი ქვეყანაში არ მოგვარდება და არ გაუმჯობესდება სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, ჩამორჩენა ქალთა პოლიტიკური ჩართულობის კუთხითაც აუცილებლად იქნება.

## **რამდენად აქტიურად არიან წარმოდგენილნი ქა- ლები პარტიულ თანამდებობებზე**

შეკითხვაზე: „რამდენად აქტიურად იყვნენ წარმოდ-  
გენილნი ქალები მათი პარტიის შიდა სტრუქტურებში თანამ-  
დებობებზე“, თითქმის ყველა რესპონდენტმა მამაკაცმა დამა-  
ჯერებლად აღნიშნა, რომ ქალები მათ პარტიაში „საკმაოდ  
არიან წარმოდგენილნი“. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, მიუ-  
ხედავად იმისა, რომ პარტიის ქალები ყველაზე დიდი დატვირთვა  
ქალებზე მოდის და ყველაზე ფართო მოცულობის „შავ სამუ-  
შაოს“ სწორედ ისინი ასრულებენ, ქალები ნაკლებად არიან  
წარმოდგენილნი პარტიულ თანამდებობებზე. ყველაზე მა-  
ღალ თანამდებობად მათთვის რაიონის ადგილობრივი ორგა-  
ნიზაციის ხელმძღვანელობა მიიჩნევა. ქალები, ძირითადად,  
პარტიის ქვედა რგოლში გვევლინებიან, გვხვდებიან ოფის  
მენეჯერებად და პრაქტიკულად ყველა პარტიაში, უბნის კო-  
ორდინატორის ფუნქციას შეუცვლელად სწორედ ისინი ას-  
რულებენ. გამონაკლისს წარმოადგენს პოლიტიკური გაერ-  
თიანება „ახალი მემარჯვენეები“, სადაც პარტიის ხელმძღვა-  
ნელისა და გენერალური მდივნის თანამდებობებს ქალები  
ინაწილებენ.

## **კანდიდატურის წამოყენების წესები და პროცედუ- რები**

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით რესპონდენტებს  
ყველაზე ნაკლებად ჰქონდათ ამომწურავი და ზუსტი პასუ-  
ხები. გამოკითხულთა ნაწილმა აღნიშნა, რომ პარტიული სიე-  
ბის შედგენისას მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას პარტიის  
თავმჯდომარე და ხელმძღვანელობა იღებს. თითქმის ყვე-  
ლამ განაცხადა, რომ პარტიაში გენდერული ნიშნით შერჩე-  
ვას ადგილი არა ჰქონია და რომ კანდიდატთა შერჩევა მათი  
ცოდნის, გამოცდილების, ცნობადობისა და სხვა საჭიროება-  
თა გათვალისწინებით მოხდა. რესპონდენტთა ნაწილმა ასევე  
აღნიშნა, რომ ამ გადაწყვეტილებას პარტია მისი ფინანსური  
და სხვა საჭიროებიდან გამომდინარე იღებს, რადგან ყველა

პარტია ეძებს ისეთ კანდიდატს, რომელიც ამომრჩევლის რაც შეიძლება მეტ ხმას მოუტანს.

ჩვენს მიერ შერჩეული პოლიტიკური პარტიებიდან მხოლოდ ორ ამჟამინდელ არასაპარალამენტო პარტიაში ჰქონდა ადგილი ფორმალურად ადგილობრივი პრაიმერის გზით კანდიდატთა შერჩევის მცდელობას, ეს გახლდათ „ქრისტიან–დემოკრატიული მოძრაობა“ და „თავისუფალი საქართველო“, რამაც, მათივე თქმით, პარტიის შიგნით მძაფრი წინააღმდეგობა და შიდა დაპირისპირება გამოიწვია.

### **კვოტა, როგორც ქალთა წარმომადგენლობის ზრდის ყველაზე სწრაფი და ეფექტური მექანიზმი**

აღმოჩნდა, რომ ქალ რესპონდენტთა უმრავლესობა კატეგორიულად ან ნაწილობრივ მაინც ეწინააღმდეგება კვოტების დაწესებას, რადგან ისინი კვოტას ქალთა მაჩვენებლის ხელოვნურად გაზრდის მექანიზმად და მამაკაცთა მიმართ დისკრიმინაციად მიიჩნევენ და თვლიან, რომ მათ-თვის ეს შეურაცხმყოფელია. გარდა ამისა, კვოტირების დაწესებამ, შესაძლოა, გამოიწვიოს ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოში არაპროფესიონალი კადრების შემოდინება. ქალ პოლიტიკოსთა აზრით, „ქალს არ უნდა ჰქონდეს განცდა, რომ საპარლამენტო, თუ სხვა სახის სიაში მარტო იმიტომ მოხვდა, რომ ის ქალია“, თუმცა ნაწილი აცხადებს, რომ იგი მხოლოდ მიესალმება ამ ღონისძიებას, იმ შემთხვევაში, თუ ამაზე საზოგადოებრივი კონსესუსი იქნება. პოლიტიკური პარტიების ლიდერები ასევე, მიესალმებიან ქალთა წახალი-სებას, „თუ პარტიებს ექნებათ ამის ვალდებულება და რესურსი, რომ მოიზიდონ, დააინტერესონ აქტიური, კომპეტენტური და ნიჭიერი ქალები და, შესაბამისად, ჩასვან ისინი პარტიულ სიებში“. თუმცა, გამოითქვა აზრიც („თავისუფალი საქართველო“–ს ლიდერი კახა კუკავა), რომ როდესაც პარტიებისთვის წამახალისებელი კვოტები დაწესდა, პოლიტიკური პარტიები წააწყდნენ იმ რეალობას, რომ არ ჰყავდათ საკმარისი კომპეტენტური ქალი, რომ ეს კვოტა შეევსოთ და

სწორედ ამიტომ, ძალიან ბევრმა პოლიტიკურმა პარტიამ ეს ადგილები შეავსო მეორე და მესამე შრის პოლიტიკოსებით.

### **პრობლემები, რომელსაც შესაძლოა წააწყდეს ქალი მაჟორიტარობის კანდიდატი**

თითქმის ყველა რესპონდენტი მიიჩნევს, რომ მაჟორიტარობის კანდიდატობის მსურველი ქალბატონებისთვის ყველაზე მწვავე პრობლემას პირველ რიგში საზოგადოების პატრიარქალური დამოკიდებულება წარმოადგენს, რომელსაც წაკლებად წარმოუდგენია ქალი მაჟორიტარი. საზოგადოებაში ღრმად გადგმული სტერეოტიპი მაჟორიტარობის კანდიდატად საქმიან და „მკლავებ დაკაპინებულ“ მამაკაცს მოიაზრებს, რომელიც მზად არის მოუგვაროს მოსახლეობას ის ადგილობრივი პრობლემები, რაც წესით ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების კომპეტენციის სფეროს მიეკუთვნება. მაჟორიტარობის პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ საქართველოს რეგიონებში დგას, სადაც კიდევ უფრო პრობლემურია ასეთი სახეების შერჩევა, იმიტომ რომ ქალები მამაკაცების მსგავსად ინტენსიურად არ მონაწილეობენ იმ ტიპის საქმიანობაში, საიდანაც ძირითადად მაჟორიტარები მოდიან. მეორე, ასეთივე სერიოზულ პრობლემას ქალი მაჟორიტარობის კანდიდატისთვის, ფინანსური მხარე წარმოადგენს. საქართველოში არჩევნებზე, როგორც წესი, პარტიის არასაკმარისი ფინანსური რესურსის გამო, მაჟორიტარობის კანდიდატი თავად აფინანსებს საკუთარ საარჩევნო კამპანიას. მსოფლიო გამოცდილება კი ცხადყოფს, რომ ფინანსური რესურსები, ძირითადად, მამაკაცების ხელშია მობილიზებული, რის გამოც ქალები მაჟორიტარები წაკლებად ხდებიან. „ახალი მემარჯვენები“ თვლიან, რომ პირველ რიგში ხელი უნდა შეეწყოს მცირე მეწარმეობით დაკავებულ ქალებს, რათა ისინი თანდათანობით მოვიდნენ ბიზნესში, იმიტომ რომ პოლიტიკას გარკვეული ფინანსები სჭირდება. ისინი მაჟორიტარული და პროპორციული სიით არჩეულ პარლამენტის წევრებს შორის პროპორციების შეცვლასაც

მოითხოვენ, რადგან, როგორც წესი, მაჟორიტარობა ძალიან სერიოზულად უქმნის პრობლემებს ქალთა წარმომადგენლობის ზრდას პარლამენტში.

რაც შეეხება საქართველოში პოლიტიკურ პარტიათა წესდებებს, მათი შესწავლის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ უმეტესწილად პარტიული პოლიტიკა, რომელიც კანდიდატთა შერჩევის რეგულაციებსა და პროცედურებს მოიცავს, გენდერულად ბრმაა და საკმაო ადგილს უტოვებს პარტიის გეითქიფერებს მანიპულაციისთვის. როგორც წესი, გადაწყვეტილებას, ძირითადად, ლიდერი ან ლიდერთა ვიწრო ჯგუფი იღებს, რაც პარტიის რიგითი წევრი ქალბატონებისთვის არცთუ ნაყოფიერ ნიადაგს ქმნის პარტიული დაწინაურების გზაზე. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ წესდებაში აღნიშნული პროცედურები დაწერილია, ყველა პარტიის წესდება ქალსაც და მამაკაცსაც ერთნაირ დონეზე განიხილავს და, შესაბამისად, მათში არაფერია ნახსენები ქალთა დაწინაურებისთვის განსხვავეული ზომებისა და მექანიზმების შესახებ.

თავისთავად, ცხადი ხდება, რომ ქვეყნის სტაბილური დემოკრატიული განვითარებისთვის აუცილებელია გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა, ქალისა და მამაკაცის თანაბარი უფლებების დაცვა და ქალებისთვის შესაბამისი ხელშეწყობა, რომ უფრო აქტიურად იყვნენ ჩართულები საზოგადოებრივ - პოლიტიკურ საქმიანობაში. მიუხედავად იმისა, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები ქალთა წარმომადგენლობის ზრდის თვალსაზრისით მნიშვნელოვან წინ გადადგმულ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს, საქართველოში ქალთა მონაწილეობა პოლიტიკაში, განსაკუთრებით კი გადაწყვეტილების მიმღებ დონეზე, კვლავაც დაბალი რჩება. დღესდღეობით საქართველოში გენდერული პოლიტიკის წარმატებით განხორციელებას რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი უშლის ხელს. ეს ფაქტორებია: სახელმწიფოს არასაკმარისად ძლიერი წება გენდერული პოლიტიკის განხორციელებაში, სახელმწიფოსა და დონორების მხრიდან

არასაკმარისი თანხების გამოყოფა და საზოგადოების არას-წორი დამოკიდებულება გენდერულ საკითხებთან მიმართებაში.

აღნიშნული პრობლემის დაძლევა კი სახელმწიფოსა და პოლიტიკური პარტიების დახმარების გარეშე, ფაქტობრივად, წარმოუდგენელია. აუცილებელია, რომ სახელმწიფომ ამ კუთხით სხვადასხვა მექანიზმი შეიმუშაოს და კვლავაც გააგრძელოს ქალთა დახმარება სხვადასხვა წამახალისებელი პროგრამის თუ ინიციატივის მეშვეობით და, რაც მთავარია, ხელი შეეწყოს პოლიტიკურ პარტიებში ქალების კარიერულ წინსვლასა და მათ აქტიურ მონაწილეობას ქვეყნის წარმომადგენლობით ორგანოებში. დღეს საქართველოს პარლამენტში ქალთა რაოდენობა არ ქმნის „კრიტიკულ მასას“, რაც გადაწყვეტილების მიღების პროცესში ძალზედ მნიშვნელოვანია. სწორედ ამიტომ, აუცილებელია საზოგადოებრივ და პოლიტიკურ სფეროებში ქალთა პასიური მდგომარეობის დაძლევა, რაც, ერთის მხრივ, ჩვენი ქვეყნის არასასარბიელო ეკონომიკური მდგომარეობითა და, მეორეს მხრივ, ქვეყანაში არსებული პატრიარქალური ნორმებითაა განპირობებული. მიუხედავად პოლიტიკური დაწინაურების გზაზე არსებული მრავალი პრობლემისა და დაბრკოლებისა, საქართველოში ქალები საკმაოდ ნელი ტემპით, მაგრამ მტკიცედ მიინევენ წინ და აღწევენ კიდეც წარმატებას პოლიტიკაში.

## **Analysing Gender Aspects Based on the Results of the 2012 Parliamentary Elections in Georgia**

**Eka Darbaidze**

*TSU, Faculty of Social and Political Sciences,  
Invited Lecturer of Department of Political Science*

In the process of democratization of the society, equal participation of women and men in politics is important. Women's participation in decision-making processes successfully promotes the development of the current political and social spheres. The Georgian Parliamentary Election of 2012 can be considered as a step forward in terms of increasing women's representation, but they still continue to have a critical mass, which cannot effectively influence the political decision-making. Political parties continue to remain the main instrument for the advancement of women's engagement in politics. Party rules and norms, along with the country's social culture and electoral system, affect the recruitment process at different stages and influence the degree of openness to female candidates. The increase of women's representation without the support from the state and political parties is practically impossible. It is important that the state enforces various contributing mechanisms in this regard and continues to support women through various promotional programs and initiatives, while, at the same time, facilitating career options for women in political parties and their active participation in the country's representative bodies.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. Bochel, J., and David, D. „Candidate Selection in the Labour Party: What the Selectors Seek”. *British Journal of Political Science*. Vol. 13, no. 1, (1993) pp. 45–69
2. Dahlerup, D. And Freidenwall, L. “Quotas as a “Fast Track” to Equal Representation for Women“. *International Feminist Journal of Politics*. Vol. 7, no. 1, March, (2005) pp. 26–48
3. Darcy, R. and Sarah Slavin Schramm, When Women Run Against Men“. *Public Opinion Quarterly*. Vol. 41, pp. (1997) 1–12
4. Darcy, R., Susan Welch and Janet Clark, *Women, Elections, and Representation*. Nebraska: University Press, 1994
5. Fowler, L., and Robert D. M. *Political Ambition: Who Decides to Run For Congress*. New Haven:Yale University Press, 1989.
6. Matland, R.E., and Donley, T.S. “The Contagion of Women Candidates in Single-Member and Multi-Member Districts”. *Journal of Politics*. Vol. 58, no. 3, (1996). pp.707–33.
7. Matland, R.E., Montgomery, L.A.(2003). Women’s Access to Political Power in Post-communist Europe. Oxford University Press. 2003,
8. ამომრჩეველთა საინფორმაციო ვებ-გვერდი, 2012. მოძიებულია 10 ოქტომბერი, 2012, <http://partiebi.ge/new/index.php?action=compare&target=compare1&lang=geo#none>
9. ერთიანი ნაციონალური მოძრაობა. მოძიებულია 30 სექტემბერი, 2012, <http://www.unm.ge/>
10. თავისუფალი საქართველო. მოძიებულია 25 სექტემბერი, 2012, <http://www.freegeorgia.ge/>

11. პოლიტიკური გაერთიანება „ახალი მემარჯვენები“. მოძიებულია 30 სექტემბერი, 2012,  
<http://www.nrp.ge/images/doc/docs/cesdeba%20axali.pdf>
12. საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია. პარლამენტის არჩევნები 2012. 2012, მოძიებულია 10 ოქტომბერი, 2012,  
<http://www.cec.gov.ge/>
13. საქართველოს ლეიბორისტული პარტია. მოძიებულია 30 სექტემბერი, 2012, <http://www.labour.ge/ge/>
14. ქართული ოცნება. მოძიებულია 28 სექტემბერი, 2012,  
<http://www.gd.ge/?m=7&double=23>

**მოქალაქეთა ჩართულობა საქართველოში,  
როგორც დემოკრატიის დაგვიღისაბის  
მნიშვნელოვანი ფაქტორი**

**მანანა დარჩაშვილი**

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,  
ასოცირებული პროფესორი**

საქართველოში სახელმწიფოებრივი მშენებლობის გზაზე არსებულ გამოწვევებზე მსჯელობისას, სულ უფრო მეტად კეთდება აქცენტი მოქალაქეთა მონაწილეობისა და პოლიტიკის შემუშავების პროცესში ჩართულობაზე ორიენტირებული მოდელების დანერეგვის აუცილებლობაზე.

ის, თუ რამდენად დემოკრატიულია მართვის სისტემა, სხვა არაერთ ინდიკატორთან ერთად, ასევე აქტიურად იზომება იმის მიხედვით, თუ რამდენად მაღალია პოლიტიკის დაგეგმვის პროცესში სხვა გარე აქტორებთან ერთად მოქალაქეების მონაწილეობის შესაძლებლობები.

საქართველოში პოლიტიკის შემუშავების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის დაბალი მაჩვენებლების ახსნა დღემდე ხორციელდებოდა მხოლოდ სამოქალაქო საზოგადოების განვითარების დაბალ მაჩვენებლებზე აქცენტირდით. იმას კი, თუ რამდენად ღიაა თავად სისტემა გარე აქტორების ჩართულობის შესაძლებლობების შესათავაზებლად, ხშირად, ნაკლები ყურადღება ეთმობოდა. აღნიშნული საკითხის კვლევა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საქართველოში 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგად განხორციელებული სისტემური ცვლილებების ფონზე. საინტერესოა, იქონია თუ არა ზეგავლენა 2012 წლის არჩევნების შედეგად მომხდარმა სახელისუფლებო ცვლილებამ ჩართულობის შესაძლებლობების დინამიკაზე და თუ კი, რა სახითა და ინტენსივობით.

## **მოქალაქეთა ჩართულობა, როგორც დემოკრატიის დამკვიდრების მნიშვნელოვანი ფაქტორი**

საქართველოში მიმდინარე ეტაპზე დემოკრატიის დამკვიდრების ხარისხის ზრდის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად პოლიტიკურ პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის ხარისხი რჩება.

შესაბამისად, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ახალი ხელისუფლება მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დადგა. არჩევნების შედეგებმა ცხადი გახადა, რომ მარტო ხმამაღლალი ორზუნგების და თუნდაც აუცილებელი, საჭირო რეფორმების გარდა, ქვეყანაში დემოკრატიის მშენებლობაში სასურველი შედეგის მისაღწევად, ნებისმიერ პოლიტიკურ ძალას სჭირდებოდა მოქალაქეებთან სიახლოვე და მათთან საერთო ენის გამონახვა, მათი მოთხოვნის შესაბამისად მოქმედება. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუნდაც მათსავე კეთილდღეობაზე ორიენტირებული ნებისმიერი ინიციატივა, შესაძლოა, მათთვის მიუღებელი ან ნაკლები სანდოობის შემცველი ყოფილიყო. ფაქტია, აღმოჩნდა, რომ ხელისუფლება მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშე დადგა: მოქალაქეებთან ურთიერთობის რა საშუალება, რა მოდელი უნდა ყოფილიყო შემუშავებული ნდობის შესანარჩუნებლად, თუ მას დემოკრატიული ღირებულებების დანერგვა და ლიბერალური საზოგადოების შენების სურვილი ჰქონდა. საქართველოს მოქალაქეებში სახელმწიფოს მართვაში მონაწილეობის აქამდე არსებული ნაკლები სურვილი უკვე დრომოქმული ჩანდა. საქართველოს ხელისუფლებამ არჩევნების შემდეგ უკვე შედარებით აქტიური მოქალაქის ტიპი მიიღო. საჭირო იყო მოქალაქეებს საშუალება ჰქონოდათ გაეგოთ სიახლეები ხელისუფლების საქმიანობის შესახებ, შემდგარიყო კომუნიკაცია ხელისუფლებასა და მოქალაქეებს შორის, ხელისუფლების ორგანოებს მიეღოთ მოქალაქეებისგან სამთავრობო პოლიტიკის, პროგრამების შესახებ გამოხმაურებები და მასთან დაკავშირებული ინიციატივები. მთავრობა საზოგადოებაზე უნდა ყოფილიყო ორიენტირებული, საჭირო

იყო ისეთი გარემოს შექმნა, სადაც მოქალაქეები ჩაერთვებოდნენ სახელისუფლებო საქმიანობაში და, ამასთანავე, გადაწყვეტილების მიღებისას ექნებოდათ (კანონის შესაბამისობაში) ხმის უფლება. ამის გარეშე, ალბათ, შეუძლებელი იქნებოდა ქვეყანაში დემოკრატიის ხარისხის მაჩვენებლის ზრდა. მითუმეტეს, რომ მსოფლიოს მაშტაბით, დემოკრატიის მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე, „პარტნიორობა ლა მმართველობისათვის“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროექტია გამჭვირვალე, ლია და ანგარიშვალდებული მთავრობების შექნისათვის. ამ იდეის დაფუძნების მიზანი მოქალაქეთა პოლიტიკური უფლებების გაზრდა იყო. ინიციატივა აშშ-ს პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ „მთავრობების გამჭვირვალობის უპრეცენდენტო ხარისხი“-ს შესაქმნელად წამოიწყო. აღსანიშნავია, რომ აშშ პრეზიდენტის ეს ერთ-ერთი პირველი ინიციატივა ფორმულირებული იყო მის მიერ გამოცხადებულ „გამჭვირვალე და ლია მთავრობის“ მემორანდუმში: „ჩემი ადმინისტრაცია მოწოდებულია შექმნას მთავრობის გამჭვირვალობის უპრეცენდენტო დონე. ჩვენ ერთად ვიმუშავებთ იმისთვის, რომ უზრუნველვყოთ საზოგადოების ნდობა, დავამკვიდროთ გამჭვირვალობის სისტემა, საზოგადოების ჩართულობა და თანამშრომლობა. ღიაობა გააძლიერებს ჩვენს დემოკრატიას. უფრო ეფექტიანს და ქმედითს გახდის მთავრობას.“<sup>1</sup> ახალი ინიციატივა, სამ მნიშვნელოვან პოსტულატზე იყო დაფუძნებული: გამჭვირვალობა (ხელისუფლებამ უნდა გაითვალისწინოს გარე წყაროებიდან მიღებული ექსპერტთა შეფასებები, რათა ინფორმაციის მიღების ხარჯზე გაუმჯობესდეს მისი პოლიტიკა) და თანამშრომლობა, ეს

<sup>1</sup> ელ-მართველობა და ელ-გამჭვირვალობა - საერთაშორისო ტენდენციები და საქართველო, გვ. 14., მოძიებულია 05. 04.

უკანასკნელი კი გულისხმობდა, რომ ოფიციალურმა პირებმა ქვეყანაში არსებული პრობლემების გადაწყვტის მიზნით. უნდა ითანამშრომლონ ერთმანეთთან და მოქალაქეებთან. აღსანიშნავია, რომ 2009 წლის 21 იანვარს გამოცემული მემორანდუმის მიხედვით, „ლია და გამჭვირვალე მთავრობის“ ინიციატივის შემუშავებაში მონაწილეობდა ხელისუფლების გამჭვირვალობაში უშუალოდ დაინტერესებული საზოგადოებაც.

დეკლარაციაში ჩამოყალიბებულ იდეას, თავდაპირველად, 2011 წლის 20 სექტემბერს, 8 ქვეყანამ მოაწერა ხელი<sup>1</sup>. საჭიროა აღინიშნოს, რომ ქართული მხარე 2011 წლის 30 აგვისტოს გამოხაურა აშშ პრეზიდენტის ბარაკ ობამასა და ბრაზილიის პრეზიდენტის დილმა რუფოსის მოწვევას „პარტნიორობა ლია მმართველობისათვის“ (OGP) და მზაობა განაცხადა აქტიურ მონაწილეობაზე. საქართველოს პრეზიდენტი უშუალოდ ესწრებოდა 20 სექტემბრის შეხვედრას, სადაც პარტნიორი ქვეყნები შეთანხმდნენ ლია მმართველობის ფასეულობებზე. პროექტის მონაწილე ქვეყნების მთავრობებს მოეთხოვებოდათ ოთხი ძირითადი კრიტერიუმის შესრულება, რომელთა შეფასებაც ხდებოდა 16 ქულიანი სისტემით (გამსვლელი 12 ქულა).

საქართველომ OGP-ის მონაწილეობაზე მოწვევა მიღებული ქულების საფუძველზე მიიღო (16-დან 15 ქულა), რომელიც კრიტერიუმების მიხედვით შემდეგნაირად იყო გადანაწილებული: 1. ფინანსური გამჭვირვალობა - 4 ქულა; 2. ინფორმაციის ხელმისაწვდომობა - 4 ქულა; 3. საჯარო მოხელეებთან დაკავშირებვულ აქტივებზე განმარტებები - 4 ქუ-

---

<sup>1</sup> ეს ქვეყნები იყო: ბრაზილია, ინდონეზია, მექსიკა, ნორვეგია, ფილიპინები, სამხრეთ აფრიკა, გაერთიანებული სამეფო და შეერთებული შტატები.

OPEN GOVERNMENT DEKLARACION, მოძიებულია 04.09.2013

<http://www.opengovpartnership.org/open-government-declaration>,

ლა; 4. მოქალაქეთა ჩართულობა - 3 ქულა<sup>1</sup>. საჭიროა აღინიშნოს, რომ IDFI-ის (ინფორმაციის თავისუფლების ინსტიტუტის) ცნობით, მართალია, ლია მმართველობის ხარისხის მიხედვით საქართველო ნამდვილად იმსახურებდა ინიციატივაში მონაწილეობისთვის მიწვევას, თუმცა მათი გამოცდილების საფუძველზე, გამჭვირვალობის ხარისხის მონიტორინგსა და შეფასებაში და საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაში 15 ქულა არ იყო ძალიან ახლოს რეალობასთან. „საქართველოს ქულა მოქალაქეთა ჩართულობაში არის ყველაზე რეალისტური, რადგან ამ სფეროში საქართველოს მთავრობამ ჯერ კიდევ უნდა განახორციელოს დიდი ძალისხმევა სამოქალაქო საზოგადოების ჩასართავად გადაწყვეტილებების მიღების პროცესში... მხოლოდ სამოქალაქო და სამთავრობო საზოგადოებების პირდაპირი თანამშრომლობით გახდება საქართველოსთვის შესაძლებელი მიაღწიოს „პარტნიორობა ლია მმართველობისთვის“ მიზნებს და შეასრულოს აღებული საერთაშორისო ვალდებულებები“ - ნათქვამია IDFI-ის გამოხმაურებაში.

როგორც მოცემული ოფიციალური მაჩვენებლიდან ჩანს, ქვეყნის მთავარ გამოწვევას პოლიტიკის შემუშავება-ფორმულირების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობა წარმოადგენდა. მხოლოდ ამ კონკონენტში მიიღო საქართველომ მაქსიმალური 4-დან 3 ქულა. შესაბამისად, ეს მიუთითებს იმაზე, რომ მთავრობას ჰქონდა მოსახლეობის მონაწილეობის პრობლემა გადაწყვეტილების მიღების პროცესში. რადგან დემოკრატიის ერთ-ერთი მთავარი ინდიკატორი სწორედ პოლიტიკურ პროცესებში მოქალაქეთა ჩართულობის დონეა და, ამასთან, როგორც დღემდე ჩატარებული სხვადასხვა სა-

<sup>1</sup> ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) დირექტორის, გიორგი კლდიაშვილის ინფორმაციით: „მონაწილე ქვეყნების შესარჩევად ექსპერტების დამოუკიდებელმა ჯვეფმა გამოიყენა ისეთი ინფორმაციის წყაროები, რომლებიც ცოტა მოძველებული ჩანს (ზოგი მონაცემი 2009 წლიდან იყო)“, მოძიებულია 25. 10. 2013.

(<http://www.idfi.ge/?cat=researches&topic=47>)

ერთაშორისო კვლევიდან ცნობილია, საქართველოში ამ კუთხით სერიოზული გამოწვევები არსებობს - დაბალია სამოქალაქო მონანილეობის ხარისხი გადაწყვეტილების მიღების პროცესში. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ არჩევნების შემდეგ, საქართველოს ახალ ხელისუფლებას, კერძოდ კი, პრემიერ მინისტრ ბ. ივანიშვილს, 2013 წლის 5 თებერვალს შესასრულებებლი ვალდებულებების შესახებ საქართველოს სამოქალაქო ორგანიზაციების რეკომენდაციები წარედგინა, რომლის მიზანსაც „პარტნიორობა ღია მმართველობისათვის“ ფარგლებში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით ღიაობის, გამჭვირვალობის და მოქალაქეთა ჩართულობის ახალი სტანდარტების დამკვიდრება წარმოადგენდა. რეკომენდაციები მოიცავდა სამოქალაქო ჩართულობის ეფექტური მექანიზმების შემუშავებას. „ღიაობის, გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულების და მოქალაქეთა ჩართულობის განსაკუთრებული მნიშვნელობიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ „პარტნიორობა ღია მმართველობის“ ინიციატივაში საქართველოს მთავრობის მიერ აღებული ვალდებულებების უკეთ იმპლემენტაციის მიზნით, აუცილებელია აღნიშნული მიმართულების ზედამხედველობა გადავიდეს უშუალოდ საქართველოს პრემიერ მინისტრის/მთავრობის კურირების სფეროში. საქართველოს მთავრობამ „პარტნიორობა ღია მმართველობის“ სამოქმედო გეგმით აღებული ვალდებულებების განხორციელება დაავალოს იმ უწყებებს, რომელთაც ამისთვის შესაბამისი კომპეტენცია, ასევე ადამიანური, ტექნიკური, მატერიალური და ფინანსური რესურსი ექნებათ.<sup>1</sup>

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ (IDFI) განახორციელა საერთაშორისო დონეზე არსებული და დანერგილი

<sup>1</sup>ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების რეკომენდაციები “პარტნიორობა ღია მმართველობისთვის”, 2012, მომებულია 15.09.2013

<http://www.csb.gov.ge/uploads/recommendtion.pdf>

ელექტრონული ჩართულობის პლატფორმების მონიტორინგი და, შესაბამისად, შეიმუშავა კიდევ რეკომენდაციები, რომელიც, შესაძლოა, სასარგებლო გახდეს საქართველოს მთავრობისთვის „პარტნიორობა ღია მმართველობისათვის“ პროექტის ფარგლებში შემუშავებული გეგმის განხორციელების პროცესში<sup>1</sup>. კერძოდ, მათ სამოქალაქო ჩართულობის გაუმჯობესების მიზნით, საჭიროდ ჩათვალეს შემდეგი ინიციატივების დანერგვა: 1. საჯარო დიალოგისა და პლატფორმების შემუშავება. ონლაინ განხილვების და კონსულტაციების მოწყობა, რისი საშუალებითაც მოქალაქეებს შეეძლებათ მაღალი თანამდებობის პირებისთვის კითხვის დასმა და პასუხის მიღება. ასევე, მოქალაქეებს მიეცემათ საშუალება, ჩაერთონ მთავრობის მიერ ინიცირებული პროგრამების და პროექტების განხილვაში. 2. პეტიციების ელექტრონული პლატფორმის დანერგვით, ნებისმიერ მოქალაქეს ელექტრონული პეტიციის ინიცირების საშუალება ექნება და შესაბამისი რაოდენობის ელექტრონული ხელმოწერების შეგროვების შემთხვევაში, საზოგადოების მიერ დაყენებული საკითხი განიხილება შესაბამისი კომპეტენციის უწყების მიერ, რომელიც ასევე ღია იქნება მოქალაქეებისთვის.<sup>2</sup>

ფაქტია, რომ აშშ-ს პრეზიდენტის პარაკ ობამას მიერ წამოწყებულმა „ღია მმართველობის“ ამ გლობალურმა ინიციატივამ თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა. შესაბამისად, საქართველოშიც მოქალაქეთა ჩართულობის პრობლემა აქტიურ ფაზაშია.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საკითხი ყოფილი ხელისუფლების, „ნაციონალური მოძრაობის“ დროსაც მნიშ-

<sup>1</sup> კვლევა განხორციელებულია „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ (IDFI), „პოსტსაბჭოთა კვლევის ცენტრის“ (CPSS) და აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) პროგრამის „საქართველოში საჯარო პოლიტიკის, ადვოკატირებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების“ (GPAC) - ფარგლებში.

<sup>2</sup> აღნიშნული რეკომენდაციები, ხელისუფლებისთვის მისაღები აღმოჩნდა და არსებულ ეტაპზე მიმდინარეობს მისი გათვალისწინება.

ვნელოვანი იყო. საქართველოს მთავრობა მიესალმებოდა რა ლია მმართველობის ინიციატივას, შემუშვებული ჰქონდა „ლია მმართველობის პარტნიორობა“ - ქვეყნის სამოქმედო გეგმა 2012-2013, სადაც აღნიშნული იყო, რომ პრინციპები, რომელიც პარტნიორობის საფუძველს წარმოადგენდა, საკმაო ხანია, საქართველოს მთავრობის პრიორიტეტის ნაწილი იყო და, შესაბამისად, შეეცდებოდა საკუთარი მმართველობა უფრო მეტად გამჭვირვალე, ხელმისაწვდომი, ინოვაციური და მოქალაქეთათვის ლია გაეხადა. ამის განხორციელებისთვის კი საქართველოს მთავრობამ კონსულტაციების შედეგად, შეიმუშავა სამოქმედო გეგმა, რომლის #3 პუნქტი მოიცავდა საკითხს: **“იყავი ინფორმირებული და განავითარებული ქვეყანა”**, სადაც აღნიშნული იყო, რომ სამოქმედო გეგმის ამ ნაწილში მოცემული იდეები, ძირითადად, მომდინარეობდა სამოქალაქო საზოგადოებისგან, რომ საქართველოს მთავრობა ლიაა არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობისთვის და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართვისთვის.

ალსანიშნავია, რომ მოქალაქეთა ჩართულობის პრობლემა ქართულ სინამდვილეში აშკარად გამოიკვეთა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების პროცესში.

არჩევნების შემდეგ, შედეგების შეჯამებისას, პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ბათუმში, აჭარის უზენაესი საბჭოს „ნაციონალური მოძრაობის“ წევრ დეპუტატებთან შეხევდრის დროს იმ შეცდომებზე ისაუბრა, რამაც, საერთო ჯამში, მისი აზრით, არჩევნებში მმართველი გუნდის დამარცხება განაპირობა. ამ თემაზე საუბრისას მან სამი ძირითადი საკითხი გამოყო, კერძოდ:

„პირველი, ვფიქრობ, რამდენიმე პრინციპული საკითხი გამოგვრჩა მხედველობიდან და არა მხოლოდ საარჩევნო კამპანიის დროს, არამედ ბოლო წლების განმავლობაში. პირველი, იმის მიუხედავად, რომ გვქონდა საბაბი გველაპარაკა, თუ რა კეთდებოდა საქართველოში, ვსაუბრობდით მეტს, ვიდრე ვისმენდით პრობლემებს.“

მეორე პრობლემაა ის, რაზედაც საზოგადოებამ ასევე მოახდინა რეაგირება, რომ წარმოუდგენელი პროგრესის მიუხედავად, რომელსაც საქართველომ მიაღწია, ბევრად იმაზე მეტად ვიყავით ორიენტირებული ამ პროგრესზე, ვიდრე არსებულ პრობლემებზე.

მესამე მთავარი პრობლემა, ვფიქრობ, იყო ის, რომ ძალიან სწრაფი რეფორმები განვახორციელეთ. მართალია, მთელი მსოფლიო აღფორთოვანებულია ამ რეფორმებით, ამ რეფორმებმა საქართველო რეგიონის სანიმუშო ქვეყნად აქცია, მაგრამ იმაზე ჩეარა ვაკეთებდით რეფორმებს, ვიდრე ამისთვის საზოგადოება იყო მზად - ფეხი აება მათთვის.

ამ რეფორმების შედეგად, სამწუხაროდ, შეიქმნა შთაბეჭდილება და ნაწილობრივ, რეალობაც, რომ რამდენიმე თაობა აღმოჩენილიყო ამ რეფორმების პროცესის მიღმა, რადგან ისინი ვერ აღიქვამდნენ თავს ამ პროცესის ნაწილად<sup>1</sup>, - აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტმა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ წინასაარჩევნო საპროგრამო დოკუმენტში სიტყვაც არ არის ნახსენები მოქალაქეთა ჩართულობის შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ თვითონ „ნაციონალური მოძარაობის“ ხელისუფლებაში ყოფნის დროს აშშ-ს პრეზიდენტის ბარაკ ობამას მიერ წამოწყებულმა მოცემულმა გლობალურმა ინიციატივამ, „ლია მმართველობის“ პროექტმა, განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა.

რაც შეეხება „ქართული ოცნებას“, აღსანიშნავია, რომ ის ხაზგასმით აცხადებდა: „ხელისუფლება უნდა იყოს ხალხის მსახური და არა პირიქით“. ამასთან, აშკარად იგრძნობოდა წინასაარჩევნო პერიოდში ქვეყნის მმართველობაში მოქალაქეების ჩართულობისადმი მათი განსაკუთრებული დამოკიდებულება. ეს მათი სადამთუძნებლო დეკლარა-

<sup>1</sup> სააკაშვილი, მ.“ ვსაუბრობდით მეტს, ვიდრე ვისმენდით პრობლემებს”, 16. 10. 2012, (მოძიებულია 25 მაისი, 2014) <http://www.ghn.ge/news-76234.html>

ციიდან და საარჩევნო პროგრამიდანაც ჩანს (მაშინ, როცა მათ ძირითად ოპონენტს ამ კუთხით მეტად უჭირდა).

მნიშვნელოვანია, რომ პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება“ წინასაარჩევნო პროგრამის თითქმის ყველა თავში ეხება მოქალაქეთა ჩართულობის საკითხს და დეტალურად განიხილვს, თუ რომელი მიმართულებაა მის-თვის პრიორიტეტული.

საჭიროა აღინიშნოს, რომ საარჩევნო სუბიექტ „ქარ-თული ოცნების“ პროგრამის ყველა თავში (სულ 8 თავი, რა თქმა უნდა სხვადასხვა დოზით) საუბარია გადაწყვეტილე-ბის შემუშვებასა და მიღებაში მოქალაქეთა აქტიურ მონაწილეობაზე.

ამდენად, წინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური გა-ერიანება „ქართული ოცნების“ საპროგრამო დოკუმენტის მიხედვით, ყველა ინიციატივის განხორციელება მოქალაქე-თა თანამშრომლობით უნდა განხორციელებულიყო. საზოგა-დოებისთვის მომხიბვლელი ეს იდეა, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ნაწილობრივ გახდა კიდეც მათი წარმატების გარანტი.

კვლევის შედეგად აშკარაა, რომ 2012 წლის 1 ოქტომ-ბრის არჩევნების შემდეგ „ლია მმართველობის“ პროექტს უფრო დიდი ყურადღება დაეთმო.

მოცემული საკთხისადმი ხელისუფლებაში მოსული ახალი კოალიციის დამოკიდებულება აშკარა იყო ჯერ კიდევ არჩევნების შედეგებამდე. მათი წინასაარჩევნო პროგრამის ყველა თავი და პუნქტი, საზოგადოების, მოქალაქეების ნება-ზე, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათ ჩართულობა-ზე აკეთებდა აქცენტს.

ქართულ სინამდვილეში ახალი ხელისუფლების მოს-ლისთანავე აშკარად იგრძნობა საკვლევი საკითხის გააქტი-ურება: საკითხის დასმა, მსჯელობა, გამოსავალი გზების ძი-ება და სხვა.

საკითხისადმი ინტერესი ნამდვილად იგრძნობა საზო-გადოების მხრიდანაც, საზოგადოება აშკარად გააქტიურდა.

მაგრამ სასურველი შედეგის - „მოქალაქეთა ძალუფლების“ მისაღწევად, აუცილებელია სამოქალაქო საზოგადოების კიდევ უფრო გააქტიურება, მოქალაქეთა მიერ სოციალური უფლებების მოთხოვნა და დაცვა. ამასთან, მათი უშუალო მოთხოვნით, მონაწილეობა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის დაგეგმვა-განხორციელებაში და ამ პროცესის გამყარება.

ქვეყნის მომავლისთვის ყველა მნიშვნელოვანი საკითხის განხილვისას, საჭიროა ფართო საზოგადოებრივი აქტიური ჩართულობა.

მნიშვნელოვანია, რომ არსებულ ეტაპზე ხელისუფლება და საზოგადოება აცნობიერებს, რომ დემოკრატიული მმართველობის წყაროს წარმოადგენს კანონი. ამიტომ, „ლია მმართველობის“ დამკვიდრების მოტივაციით ამ მიმართულებითაც ჩატარდა არაერთი ღონისძიება. თუმცა, მათი პრაქტიკაში დანერგვისთვის საჭიროა მთელი რიგი პროექტების განხორციელება. შესაბამისად, აუცილებელია საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისთვის ზრუნვაც.

კვლევა ადასტურებს, რომ თუ ქართულ სინამდვილეს პრეტენზია აქვს პროექტ „ლია მმართველობის“ ფარგლებში წარმატებული ქვეყნის იმიჯი ჰქონდეს, საჭიროა, მისი ერთერთი მნიშვნელოვანი საკითხის, მოქალაქეთა ჩართულობის საჭიროების შესახებ უფრო ქმედითი ღონისძიებების გატარება და სამოქალაქო ჩართულობის ეფექტური მექანიზმების შემუშავება.

## **Citizen Involvement is an Important Factor in Promoting Democracy in Georgia**

**Manana Darchashvili**

*Georgian Technical University,*

*Associate Professor*

While discussing the challenges facing Georgia's state-building, the necessity of establishing models of public participation in general and public participation in policy-making process is much more accentuated. Low levels of public participation in policy-making process until recently were being explained through indicators of low levels of civil society development. Less attention was often paid to the opportunities to be offered by the system itself for external participation.

After new government came to power in Georgia, interest towards the topic of our research is evident as relative issues are raised, discussed and the ways of solutions are being sought, etc. Obviously, the society has become more active.

Despite the topic of our research is very topical on the current stage, although for reaching desirable outcomes and establishing the "citizen power" - active civil society, demanding by them of social rights and their protection, participation in social-economic policy planning and implementation based on their demand again, as well as establishing this process are necessary.

The work underlines that broad and active participation of the public in the discussion related to the issues significant for the future of the country is needed. The research argues that if Georgian reality has any pretension to have an image of a

successful country within the framework of the “open governance” project, it is necessary to take more efficient actions towards one of its important issues - citizen participation, as well as towards elaboration of effective mechanisms for the civic participation.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. როჩიკაშვილი, ს., საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების რეკომენდაციები „პარტნიორობა ღია მმართველობისათვის“, პრემიერ მინისტრს რეკომენდაციები წარედგინათ, 12.02.2012, ნანახია 20.02.2012,  
<http://ogpgeoblog.wordpress.com/2013/02/12/%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%94%>
2. როსტიაშვილი, ქ. ელექტრონული მმართველობა საქართველოში: მსოფლიო ტენდენციები, 21.05.2010, ნანახია 22.10.2011. <https://idfi.ge/ge/e-governance-in-georgia-world-tendencies>
3. About OGP, 2014. ნანახია 04.09.2013,  
<http://www.opengovpartnership.org/open-government-declaration>
4. Open government partnership, Participating Countries, 22. 09. 2013. ნანახია 21. 01. 2014,  
<http://www.opengovpartnership.org/countries/georgia>
5. კლდიაშვილი, გ. პარტნიორობა ღია მმართველობისთვის და საქართველო - ახალი გამოწვევები, 17.02.2012. ნანახია 25.10.2012. <https://idfi.ge/ge/open-government-partnership-initiative-and-georgia-new-challenges>

6. „პარტნიორობა ღია მმართველობისთვის“, 11.01.2013, ნა-  
ნახია 15.07.2013.

[http://www.goodgovernance.ge/DesktopDefault.aspx?alias=G3  
&newsid=3862&callerModID=9427&tabid=4742&lang=ka-ge](http://www.goodgovernance.ge/DesktopDefault.aspx?alias=G3&newsid=3862&callerModID=9427&tabid=4742&lang=ka-ge)

7. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუ-  
ტი (IDFI), სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების  
რეკომენდაციები “პარტნიორობა ღია მმართველობის-  
თვის”, 2012, ნანახია 15.09.2013  
<http://www.csb.gov.ge/uploads/recommendtion.pdf>

## სამოქალაქო საზოგადოება საქართველოში: მიღწევები და გამოცვევები

ქეთი კუხიანიძე

აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამოქალაქო საზოგადოება დემოკრატიის განუყოფელი ნაწილია. მისი არსებობა თანამედროვე სამყაროში უდაოდ მნიშვნელოვანი საკითხია.

საქართველოში სამოქალაქო საზოგადოება ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია. მისი გაძლიერება კი სახელმწიფოს პრიორიტეტულ ამოცანას წარმოადგენს. ისეთი განვითარებადი ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, მიიჩნევა, რომ ჯანსაღი სამოქალაქო საზოგადოების არსებობით უზრუნველყოფილი იქნება ბალანსირებული პოლიტიკური პროცესების მიმდინარეობა.

სწორედ ამიტომ, წინამდებარე ნაშრომის მიზანია, წარმოაჩინოს სამოქალაქო საზოგადოების როლი და მის წინაშე დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის კუთხით დღეს არსებული გამოწვევები.

სამოქალაქო საზოგადოება თანამედროვე მსოფლიოში თავისუფლების ფუძემდებლური წყაროა.<sup>1</sup> იგი განიხილება, როგორც დემოკრატიის განუყოფელი ნაწილი, რადგან დემოკრატიული სახელმწიფო წარმოუდგენელია სამოქალაქო საზოგადოების გარეშე, ისევე როგორც, სამოქალაქო საზოგადოება დემოკრატიის გარეშე.<sup>2</sup>

<sup>1</sup> მუსხელიშვილი, მ. სამოქალაქო საზოგადოება: შედარებითი ანალიზი. თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა სერია, 2006, გვ 17

<sup>2</sup> გვენეტაძე, ს. და სხვ, სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება საქართველოში, რეალისტური თეორიიდან გამომდინარე. თბილისი: საქართველოს უნივერსიტეტი პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების სკოლა, 2009, გვ 1

თავად ტერმინი, „სამოქალაქო საზოგადოება“ დიდი ხნის განმავლობაში ევოლუციას განიცდიდა, რაც ასახვას ჰპოულობდა კიდეც სხვადასხვა ფილოსოფოსის ნაშრომებში. კერძოდ, ახალი დროის ფილოსოფოსებთან: ჰობსთან, ლოკითან, ფერგიუსონთან და სხვებთან ზემოთ ხსენებული ტერმინი "ჰოლიტიკური საზოგადოების" იდენტური იყო და აღნიშნავდა კანონის საფუძველზე მართულ ადამიანთა ერთიანობას. ერთ-ერთი პირველი, ვინც ტერმინს "სამოქალაქო საზოგადოება" თანამედროვე მნიშვნელობა შესძინა, ჰეგელი იყო. ის მიუთითებდა, რომ სამოქალაქო საზოგადოება დგას ოჯახსა და სახელმწიფოს შორის. ის არის ორგანიზაციების ან ინსტიტუტების ერთიანობა, რომელიც ანხორციელებს ისეთ სხვადასხვა სახის სამუშაოს სახელმწიფოში, რომელსაც ვერ ან არ ასრულებს მთავრობა.<sup>1</sup>

შემდგომ პერიოდში აღნიშნულ ფილოსოფოსთა მოსაზრებებმა გარკვეული გავლენა იქონია აღექსის დე ტოკვილის ნაშრომზეც "ამერიკის დემოკრატია", სადაც ტოკვილი სამოქალაქო საზოგადოებას განმარტავდა, როგორც მოქალაქეთა თავისუფალი ასოციაციების მონაწილეობას დემოკრატიის განვითარებაში და, როგორც ინდივიდისა და სახელმწიფოს დამაკავშირებელ სივრცეს.<sup>2</sup> დღეს კი სამოქალაქო საზოგადოება განიმარტება, როგორც "არაძალადობრივი კოლექტიური ქმედებების ასპარეზი ერთობლივი ინტერესების, მიზნებისა და ღირებულებების ირგვლივ"<sup>3</sup> და, ამასთან,

<sup>1</sup> ბიჭაშვილი, მ. სამოქალაქო საზოგადოება საქართველოში. სოციალ-დემოკრატები საქართველოს განვითარებისთვის, 2010, მოძიებულია 08.06.2014,

[http://social-democrats-georgia.blogspot.com/2010/06/blog-post\\_29.html](http://social-democrats-georgia.blogspot.com/2010/06/blog-post_29.html)

<sup>2</sup> ხუციშვილი ქ. არსებობს თუ არა დღეს საქართველოში სამოქალაქო საზოგადოება? 2010, ( ბოლო ნახვა 8.06.2014)<http://www.liberali.de/node/2995>

<sup>3</sup> საქართველოში სამოქალაქო სექტორის ხელშეწყობა სამშვიდობო ინიციატივის სფეროში. სარეკომენდაციო დოკუმენტი. თბილისი, 2010, გვ. 4, მოძიებულია

"ორგანიზებული საზოგადოებრივი ცხოვრების სფერო, რომელიც ნებაყოფლობითია, თვითნარმოქმნადია, თვითგანვითარებადია, სახელმწიფოსგან ავტონომიურია და შეკრულია საკანონმდებლო წესრიგით ან გაზიარებულ წესთა ერთობლიობით".<sup>1</sup>

ისტორიული განვითარების თვალსაზრისით, საქართველო ნამდვილად არ ყოფილა სამოქალაქო გაერთიანებების ოაზისი.<sup>2</sup> ჩვენამდე არსებულ წყაროებში აღნიშნულია, რომ თავდაპირველად, საქართველოში ჯერ პატრონული და შემდგომში ბატონიყმური ურთიერთობები არსებობდა მოსახლეობის უმეტეს ნაწილს შორის, რაც იმთავითვე გამორიცხავდა ადამიანებს შორის თავისუფალ გაერთიანებას.

რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში საქართველოს ყოფნისას სხვადასხვა საქველმოქმედო ფონდი, თავისუფალი უურნალ—გაზეთის და საზოგადოებრივ—კულტურული დანიშნულების ორგანიზაცია არსებობდა, რაც მოგვიანებით, რუსული ბოლშევიზმის დამკვიდრების შედეგად, აიკრძალა. ითვლებოდა, რომ საბჭოთა ეპოქაში სამოქალაქო გაერთიანებები ხელისუფლების მიერ ინდივიდებზე ზეგავლენის მოხდენისა და დამორჩილების ერთგვარი საშუალება იყო.<sup>3</sup> კერძოდ, იმ პერიოდში არსებული მწერალთა კავშირი, კომპოზიტორთა კავშირი და სხვანი სახელმწიფოს მხრიდან ფინანსურად მკაცრად კონტროლდებოდნენ, ხოლო საბჭოთა იდეოლოგიისგან განსხვავებული ორგანიზაციები სრუ-

---

[http://bim.lbg.ac.at/files/sites/bim/Recommendations%20Document%20GEO\\_0.pdf](http://bim.lbg.ac.at/files/sites/bim/Recommendations%20Document%20GEO_0.pdf)

<sup>1</sup> Diamond L. Toward Democratic Consolidation, *Journal of Democracy*, V.5, №3, (1994) p.35

<sup>2</sup> ბიჭაშვილი მ. სამოქალაქო საზოგადოება საქართველოში. სოციალ—დემოკრატები საქართველოს განვითარებისთვის. 20010, (ბოლო ნახვა 8.06.2014)

[http://social-democrats-georgia.blogspot.com/2010/06/blog-post\\_29.html](http://social-democrats-georgia.blogspot.com/2010/06/blog-post_29.html)

<sup>3</sup> ბუროუსი, გ. და სხვ. დემოკრატია და მოქალაქეობა, თბ., 2011, გვ. 264

ლიად იდევნებოდნენ. აქედან გამომდინარე, ზედმეტი პრობლემების თავიდანვე ასაცილებლად, საბჭოთა რეუიმი თავად ქმნიდა და აფინანსებდა სხვადასხვა სახის გაერთიანებას, რაც ჩანასახშივე ბადებდა საბჭოთა იდეოლოგიის მსახურებს. სწორედ ამ მიზეზთა გამო, საქართველოში დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბების შესაძლებლობა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გახდა რეალური. აღნიშნული პროცესი კი საქართველოში XX საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან დაიწყო. ამ პერიოდში საქართველოში შემოსული საერთაშორისო დონორები მზაობას გამოთქვამდნენ, დახმარებოდნენ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს აქტივობის განხორციელებისას, კერძოდ, უზრუნველყოფდნენ არჩევნებზე დაკვირვებას, ადამიანის უფლებათა დაცვას და სხვა. სწორედ ამ მხარდაჭერაშ მისცა ბიძგი არაერთი "ენ-ჯი-ო"- ს დაფუძნებას და გააქტიურებას. ეს უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტი თავისუფალი აზროვნების განვითარების, კომუნისტური იდეოლოგიისგან განთავისუფლების და ახალი სახელმწიფოს მშენებლობის დაწყების დასაბამი იყო<sup>1</sup>. "მესამე სექტორი", როგორც დღეს უწოდებენ არასამთავრობო ორგანიზაციებს, ახალი საზოგადოების ფორმირებისკენ იყო მიმართული. ამ მისის განხორციელებაში კი მათ ეხმარებოდათ დასავლეთიდან (განსაკუთრებით ამერიკის შეერთებული შტატებიდან) გამოყოფილი ფინანსები. შესაბამისად, ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ, დასავლეთის და აშშ პირდაპირი ინტერესი იყო სამოქალაქო სექტორის გაფართოება, რადგან ისინი თვლიდნენ, რომ "დემოკრატიული სახელმწიფო არ არსებოს სამოქალაქო საზოგადოების, მაშასადამე სახელმწიფოსგან დამოუკიდებელი სოციალური სექტორის გარეშე."<sup>2</sup>

<sup>1</sup> ბუროუსი გ. და სხვ. დემოკრატია და მოქალაქეობა, თბ. 2011, გვ 267

<sup>2</sup> ბიჭიშვილი მ. სამოქალაქო საზოგადოება საქართველოში. სოციალ-დემოკრატები საქართველოს განვითარებისთვის. 2010, (ბოლო ნახვა 36

ედუარდ შევარდნაძის მმართველობის პერიოდში, ფაქტობრივად, ადგილი ჰქონდა სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებას, რასაც, როგორც პოლიტოლოგი გია ნოდია აღნიშნავს, რამდენიმე გარემოება განაპირობებდა:

▪ "განვითარებულმა მოვლენებმა ინტელექტუალთა დიდი ნაწილი ხელისუფლებისადმი სკეპტიკურად განაწყო. საჯარო სამსახური არაპრესტიულ სფეროდ იქცა, ხოლო მაღალი თანამდებობების დაკავება კორუფციული მექანიზმების გამოყენების გარეშე, ფაქტობრივად, წარმოუდგენელი იყო. შესაბამისად, საზოგადოების ის ფენა, რომელიც ინტელექტუალური შრომით იყო დაკავებული და რომელსაც, ამავე დროს, არ სურდა მორალურ კომპრომისზე წასვლა, მესამე სექტორში იწყებს გადანაცვლებას.

▪ დიდი როლი ითამაშა დასავლეთის ფინანსურმა მხარდაჭერამაც. არსებული ეკონომიკური კრიზისის ფონზე, არასამთავრობო ორგანიზაციებმა უზრუნველყვეს მესამე სექტორში დასაქმებულთა საკმაოდ მაღალი შემოსავალი.

▪ არასამთავრობო ორგანიზაციებში ადამიანებს შეეძლოთ ეთქვათ და დაეწერათ ის, რასაც ფიქრობდნენ. სახელმწიფოს მხრიდან ცენზურა, ფაქტობრივად, არ იგრძნობოდა და იოლად შეიძლებოდა საკუთარი უნარების რეალიზაცია."<sup>1</sup>

გარკვეულ ძალებს კი, არასამთავრობო ორგანიზაციების გაძლიერებით, საშუალება მიეცათ არასამთავრობო სექტორიდან ხელისუფლებაში "გადასულიყვნენ", ხოლო მცირე ნაწილი კი –ოპოზიციურ პარტიებად ჩამოყალიბებულიყო. ფაქტობრივად, მესამე სექტორი 2003 წელს "ვარდე-

---

8.06.2014) [http://social-democrats-georgia.blogspot.com/2010/06/blog-post\\_29.html](http://social-democrats-georgia.blogspot.com/2010/06/blog-post_29.html)

<sup>1</sup> ჩ. სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება, 20 იანვარი, 2013, (ბოლო ნახვა 10.06.2014) <http://partiebi.wordpress.com>

ბის რევოლუციის" ერთ-ერთ მთავარ მამოძრავებელ ძალად იქცა.<sup>1</sup>

თუკი გადავხედავთ სტატისტიკურ მონაცემებს და- ვინახავთ, რომ :

1992–1998 წლებში 1500 არასამთავრობო ორგანიზა- ცია შეიქმნა; 1992–2002 წლებში – 1500; ხოლო 2002–2003 წლის მონაცემებით, საქართველოში უკვე რეგისტრირებუ- ლი იყო 3000-მდე არასამთავრობო ორგანიზაცია, 2003–2009 წლებში მიხეილ სააკაშვილის მმართველობის პერიოდში კი არასამთავრობო ორგანიზაციათა მაჩვენებელმა 10 000-ს მიაღწია, რაც იმას მიანიშნებდა, რომ დონორების უმეტე- სობა ფინანსებს გამოჰყოფდა საქართველოში სამოქალა- ქო საზოგადოების გასააქტიურებლად და დემოკრატიული სახელმწიფოს ასაშენებლად.<sup>2</sup> თუმცა, მოგვიანებით, "ვარდე- ბის რევოლუციით" მოსული ხელისუფლებისთვის არასამ- თავრობო ორგანიზაციებიდან წამოსული კრიტიკა და რე- კომენდაციები ერთგვარად მიუღებელიც კი იყო, რაც აკნი- ნებდა სამოქალაქო საზოგადოების როლს სახელმწიფოს მშენებლობაში. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პრო- ფესორი, გიგა ზედანია, იხსენებს რა სააკაშვილის მმარ- თველობის პერიოდს, ერთგან წერს: "საქართველოში სამო- ქალაქო საზოგადოება იმდენად სუსტია, არსებობს ცდუნე- ბა, ის არარსებულად ჩათვალო".<sup>3</sup>

---

<sup>1</sup> ჩ. ლ. სამოქალაქო საზოგადოება საქართველოში, 20 იანვარი, 2013, მო- ძიებულია 08.06.2014,

<http://www.lsg.ge/uploadedFiles/files/samoqalaqo%20sazogadoeba,%20eTnikuri%20anklavebi%20da%20moqalaqeobis%20problema%20saqarTveloSi-2007-kar.pdf>

<sup>2</sup> National Integrity System- Georgia სამოქალაქო საზოგადოება. ( ბოლო ნახვა 11.06.2014) <http://transparency.ge/nis/ka/2011>

<sup>3</sup> National Integrity System- Georgia სამოქალაქო საზოგადოება. ( ბოლო ნახვა 11.06.2014) <http://transparency.ge/nis/ka/2011>

ვფიქრობ, 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის ამ მხრივ რადიკალურად შეიცვალა მდგომარეობა. ახალმა ხელისუფლებამ გადაწყვიტა, მოეწყო ხშირი პრესკონფერენციები, სამოქალაქო საზოგადოებისგან მოესმინა ქვეყანაში არსებული პრობლემების შესახებ და მათთან ერთად ემსჯელა გამოსავლის გზებიც ძიებაზეც.

თუმცა, საქართველოში დღეს არსებული ტენდენციით, ადამიანების უმეტესობას სურვილი არ უჩნდება მონაწილეობა მიიღოს საზოგადოებრივი ორგანიზაციების უშაობაში. ისინი თვლიან, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ადამიანის უფლებები, დემოკრატიის განვითარება, ეკოლოგია და სხვ. -მხოლოდ "გრანტებისთვის" "ინუხებენ თავს". მათვის პრიორიტეტი არ არის მოსახლეობისთვის მტკიცნეული ეკონომიკური თუ სოციალური საკითხები.

იმისათვის, რომ გაიზარდოს მონაწილეობის ხარისხი, ასევე, პირდაპირი თუ ირიბი გზით ხელისუფლებაზე გავლენის მოხდენა და სოციალურ და ეკონომიკურ საკითხებზე სახელმწიფოს მხრიდან ყურადღების გამახვილება, საჭიროა ქართულმა სამოქალაქო საზოგადოებამ თავისი მიზნები და ამოცანები დაუახლოვოს საზოგადოების ყველაზე აქტუალურ მოთხოვნილებებს, რათა ასე უფრო ეფექტურ შედეგამდე მივიდეთ.<sup>1</sup>

იმდენად, რამდენადაც არასამთავრობო ორგანიზაციები მეტწილად დონორებზე არიან დამოკიდებული, ბოლომდე ვერც გავამტყუნებთ "ენ-ჯი-ო"-ების საზოგადოებისგან "განყენებულად" ყოფნას, რადგან, ხშირად, დონორები განსაზღვრავენ მათთვის მნიშვნელოვან თემებს და საზოგადოებრივ ორგანიზაციებსაც ძალაუნებურად უხდებათ მათ მიერ დასახულ პრიორიტეტებზე მორგება, რაზეც, არც თუ ისე ადვილია უარი თქვა, მაშინ, როდესაც

<sup>1</sup> ბუროუსი გ, და სხვ. დემოკრატია და მოქალაქეობა თბ., 2011, გვ. 268

საკითხი ეხება ევროკავშირის ინიციატივებს და მათ მიერ გამოყოფილ გრანტებს. კერძოდ, ვგულისხმობთ ევროკავშირის მიერ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა პროექტებისთვის 2014 წელს გამოყოფილ 34 გრანტს. აღნიშნული გრანტები მინიჭებული იქნა იმ სამი ძირითადი ინსტრუმენტის მეშვეობით, რომლებიც ევროკავშირმა შექმნა სამოქალაქო საზოგადოების მხარდასაჭერად. ეს ინსტრუმენტებია: დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა ევროპული ინსტრუმენტი (EIDHR), არასახელმწიფო აქტორები და ადგილობრივი ხელისუფლება და სამეზობლოს სამოქალაქო საზოგადოების მექანიზმი.<sup>1</sup>

მეორე დიდი პრობლემა, რომელიც დგას დღეს საზოგადობრივი ორგანიზაციების წინაშე, ეს არის ორგანიზაციებს შორის მტკიდრო კავშირის არარსებობა. იმისათვის, რომ მოხდეს საერთო მიზნის ირგვლივ გაერთიანება, ორგანიზაციებმა უნდა შექმნან კოალიცია რათა შეძლონ ხელისუფლებაზე ძლიერი გავლენის მოხდენა, რისი ჩანასახიც დღეს საქართველოში არსებობს და საჭიროებს გააქტიურებას.

და ბოლოს, სამოქალაქო საზოგადოების წინაშე დგას უმნიშვნელოვანესი გამოწვევა - იყოს მუდმივად ღია, გახსნილი და ჩართული ქვეყნის განვითარებაში, რათა მოახდინოს მოსახლეობის ინტერესების გამოხატვა და სახელმწიფოს მხრიდან ყურადღების გამახვილება. თუმცა, ეს ყოველივე რომ განხორციელდეს, აუცილებელია საზოგადოებისგანაც მენტალური დამოკიდებულების შეცვლა და საბჭოური აზროვნებისაგან გათავისუფლება. საზოგადოებას უნდა ესმოდეს, რომ სახელმწიფოს მშენებლობაში თითოეული ინდივიდის ჩართულობა უმნიშვნელოვანესი როლის მატარებელია. იმისათვის, რომ ქვეყანაში შეიცვა-

---

<sup>1</sup>საინფორმაციო სააგენტო ევროკავშირი საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების 34 ახალ პროექტს აფინანსებს. 05 მარტი 2014,(ბოლო ნახვა 11.06.2014) <http://newsday.ge/index.php?newsid=1481>

ლოს მდგომარეობა, სახელმწიფოს "კეთილი" ნების გამოსატვას არ უნდა დაველოდოთ და უნდა შევეცადოთ ერთად ვაშენოთ დემოკრატიული სახელმწიფო, რადგან ძლიერ სამოქალაქო საზოგადოებას ქვეყნის დემოკრატიულ მშვიდობიან განვითარებაში თავისი წვლილის შეტანა შეუძლია.

თუ მთელ ამ მსჯელობას რამდენიმე თეზისამდე დავიყვანთ, მივალთ იმ დასკვნამდე, რომ სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან აუცილებელია მნიშვნელოვანი ღონისძიებების გატარება შემდეგი მიმართულებით. კერძოდ:

1. არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობასთან დაკავშირებით მოქალაქეების ინფორმირებულობის გაზრდა და მათი ჩართვა მოხალისეობრივ საქმიანობაში.

2. მოქალაქეთა პრიორიტეტებზე ორიენტირებულობა, სხვადასხვა სოციალური პროექტის განხორციელება, რაც გაზრდის არასამთავრობო ორგანიზაციათა ეფექტურ მუშაობას და ხალხის წინაშე ანგარიშვალდებულობას.

3. მოსახლეობის თვითშეგნების ამაღლება, იმის გაცნობიერება, რომ მთავრობას და მთავრობის მოხელეებს რიდით და აღტაცებით კი არ უნდა უყურებდნენ, არამედ თვლიდნენ, რომ ისინი მათი მოსამსახურები არიან და მოსახლეობის ინტერესებზე უნდა იყვნენ ორიენტირებულნი.

და ბოლოს, ვფიქრობთ, რომ საქართველოში წარმატებული სამოქალაქო საზოგადოების არსებობა თითოეული ინდივიდის ძალისხმევის გარეშე შეუძლებელი იქნება. თუ ქართველი ერი შეეცდება საბჭოთა აზროვნებისგან გათავისუფლებას და დემოკრატიულად ფიქრის დაწყებას, მხოლოდ მაშინ გახდება შესაძლებელი ჯანსაღი კონსტრუქციული საზოგადოების ჩამოყალიბება.

## Civil Society in Georgia: Achievements and Challenges

Keti Kukhianidze

*Akaki Tsereteli Kutaisi State University*

Civil society is an indispensable part of democracy. It is definite that its existence is an important issue in the contemporary world. The civil society in Georgia is still in the process of formation. As for its strengthening, it presents to be a priority task of the state. It is suggested that through the existence of a healthy civil society the undergoing of the balanced political processes will be provided for the developing country such as Georgia.

Based upon that, the purpose of the work presented is to expose the role of the civil society and today's challenges being faced within the building of the democratic state.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ბიჭაშვილი, მ. 2010. სამოქალაქო საზოგადოება საქართველოში. სოციალ-დემოკრატები საქართველოს განვითარებისთვის. ბოლო ნახვა 8.06.2014, [http://social-democrats-georgia.blogspot.com/2010/06/blog-post\\_29.html](http://social-democrats-georgia.blogspot.com/2010/06/blog-post_29.html)
2. ბუროუსი, გ., რუხაძე, კვაჭაძე, მ., გაფრინდაშვილი, ლ., იზორია, ლ. დემოკრატია და მოქალაქეობა თბ., 2011
3. გვენეტაძე. ს, ალანია ს., ხელაია ნ., თადიშვილი თ. სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება საქართველოში, რეალისტური თეორიიდან გამომდინარე. თბილისი: საქართველოს უნივერსიტეტი პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების სკოლა, 2009.

4. მუსხელიშვილი, მ. სამოქალაქო საზოგადოება შედარებითი ანალიზი. თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა სერია, 2006
5. ხუციშვილი, ქ. 2010. არსებობს თუ არა დღეს საქართველოში სამოქალაქო საზოგადოება? ( ბოლო ნახვა 8.06.2014) <http://www.liberali.de/node/2995>
  6. ჩე ლ. სამოქალაქო საზოგადოება საქართველოში, 20 იანვარი, 2013 <http://www.lsg.ge/uploadedFiles/files/samoqalaqo%20sazogad oeba,%20eTnikuri%20anklavebi%20da%20moqalaqeobis%20problema%20saqarTveloSi-2007-kar.pdf>
7. საინფორმაციო სააგენტო. ევროკავშირი საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების 34 ახალ პროექტს აფინანსებს, 05 მარტი, 2014, (ბოლო ნახვა 11.06.2014) <http://newsday.ge/index.php?newsid=1481>
8. საქართველოში სამოქალაქო სექტორის ხელშეწყობა სამშვიდობო ინიციატივის სფეროში. სარეკომენდაციო დოკუმენტი. 2010. თბილისი. გვ4. [http://bim.lbg.ac.at/files/sites/bim/Recommendations%20Document%20GEO\\_0.pdf](http://bim.lbg.ac.at/files/sites/bim/Recommendations%20Document%20GEO_0.pdf) (11.06.2014)
9. National Integrity System - Georgia სამოქალაქო საზოგადოება. ( ბოლო ნახვა 11.06.2014) <http://transparency.ge/nis/ka/2011>
10. Diamond L. Toward Democratic Consolidation, *Journal of Democracy*, V.5, №3, 1994

## **ინიციატივები საქართველოში სამოქალაქო განათლების მხარდასაჭირად**

### **ზორად მიმინოშვილი**

**განათლების მეცნიერებების დოქტორი  
კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი**

საქართველოს განათლების რეფორმის მიმართულებით მსოფლიო ბანკის, ევროკავშირის და აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ მრავალი მილიონი იქნა გაღებული. საინტერესოა, განათლების რეფორმის მხარდაჭერის დროს რა მნიშვნელობას ანიჭებენ სამოქალაქო განათლებას.

2005 წლიდან საქართველო ბოლონიის პროცესშს შეუერთდა. უცხოელი დამფინანსებლების წინაშე ცოდნაზე დამყარებულ საზოგადოებაზე და განათლების პრიორიტეტულობაზე საუბარი ადგილობრივი ინტელექტუალებისთვის მოდად იქცა. განათლების წინაშე მდგომ აქტუალურ გამოწვევად კვლავ „კონკურენტუნარიანი კადრების გამოშვების“ საკითხი რჩება.

1998–2006 წლებში მსოფლიო ბანკის მიერ საქართველოს განათლების რეფორმისთვის 60 მილიონი დოლარის ინვესტიცია განხორციელდა, მაგრამ იგივე ინტელექტუალების განცხადებით „ჯერაც ვერ მოხერხდა თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი განათლების სისტემის ჩამოყალიბება“. 15 წლის განმავლობაში განათლების რეფორმის მესვეურებად საზოგადოების უცვლელად ერთი და იგივე პირები გვევლინებიან და ყოველ ჯერზე მათი ძირითადი პრობლემა – პრობლემის ერთ და ორ წელიწადში გადაწყვეტის შეუძლებლობაა. ამასობაში კი 15 წელი გავიდა.

დღემდე არ არის შექმნილი განათლების სისტემის კონცეფცია. სკოლამდელ, ზოგად, პროფესიულ, უმაღლეს, დიპლომს შემდგომ და სიცოცხლის მანძილზე სწავლების

ფორმალური და არაფორმალური განათლების დონეზე ერთიანი, ჰოლისტური ხედვა არ არსებობს. ხედვა, რომელიც მოიცავდა მთელ საგანმანათლებლო და აღმზრდელობით ასპექტებს - არ არსებობს. ამის მიზეზი კი სამოქალაქო განათლების ფილოსოფიის იგნორირება და ხშირად, ამ ღირებულებების წინააღმდეგ მოქმედებაა.

## 1. ახალი გამოწვევები სამოქალაქო განათლების მიმართულებით

„საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება“ საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებასა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს. შეთანხმების მიხედვით, ერთის მხრივ სამოქალაქო საზოგადოებამ (საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ), შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს), არასამენარმეო იურიდიული პირი (აიპ), არასამთავრობო ორგანიზაცია (NGO და სხვ.), მეორეს მხრივ კი, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ გაზრდილი პასუხისმგებლობით და კომპეტენტურად უნდა გაიაზრონ ევროკავშირთან თანამშრომლობის განვითარება სამეცნიერო კვლევებისა და ტექნოლოგიების სფეროში. უნდა შეიმუშაონ და განახორციელონ ინტელექტუალური საკუთრების უფლების სათანადო და ეფექტუალური ერთობლივი კვლევითი პროგრამები, ჩატარონ ტრენინგები და გაცვლითი პროგრამები მეცნიერების, მკვლევრებისა და სხვა სამეცნიერო-კვლევითი პერსონალი-სათვის; ეფექტური პროექტები შეიმუშაონ დასაქმების, სოციალური დაცვისა და თანაბარი შესაძლებლობების სფეროში თანამშრომლობის გაღრმავებისთვის. ქვეყანაში ლირსეული შრომის პირობების შესაქმნელად საქართველომ უნდა მოახერხოს ეტაპობრივი დაახლოება ევროპულ საკანონმდებლო სივრცესთან; შეიმუშაოს ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისი დასაქმების პოლიტიკა, სამუშაო უსაფრთხოების ნორმების და ანტიდისკრიმინაციული და სოცია-

ლური დაცვის მექანიზმების განხორციელების სქემები. ასე-ვე, უზრუნველყოს სოციალური ჩართულობა და გენდერული თანასწორობა.

ჯანდაცვის სისტემის მოდერნიზების და ევროპული სტანდარტების ეტაპობრივი დანერგვის მიმართულებით გა-საძლიერებელია ჯანდაცვის სფეროში რეფორმების გაგრძე-ლების შესაძლებლობა (Capacity Building), ერთობლივი პროგ-რამების შექმნა და მაღალი ხარისხის ჯანდაცვის უზრუნ-ველყოფა. უნდა გაძლიერდეს განათლების კლასიფიკაციის საერთაშორისო სტანდარტის (The International Standard Classification of Education (ISCED) მონიტორინგი, რაც ხელს შეუწყობს ადამიანური რესურსების განვითარებას, მმარ-თველობისა და დაფინანსების სრულყოფას, საგანგებო სი-ტუაციების მიმართ მზაობას, არაგადამდებ დაავადებათა პრევენციასა და კონტროლს.

განათლებისა და კულტურის მიმართულებით იკვე-თება სტრატეგიული მნიშვნელობის მიმართულება – განათ-ლების ხარისხის ამაღლება. ამ მიმართულებით საქართვე-ლოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს საკმაო ძალისხმევა აქვს გაღებული: კვალიფიკაცი-ებისა და კომპეტენციების ერთიანი ჩარჩო შექმნილია, სა-განმანათლებლო კრედიტების (ქულების) ევროპული სისტე-მა ყველა აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებელში შემოღე-ბულია. მიუხედავად ამისა, ვფიქრობთ, რომ განათლების ხა-რისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს ამ მიმართულებით (კერძოდ, საკანონმდებლო ჰარმონიზაციის კუთხით) კიდევ საკმაო მუშაობა მოუწევს. რაც შეეხება კულტურის სფეროს – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენ-ტრმა (National Center for Educational Quality Enhancement – NCEQE) ყურადღება უნდა გაამახვილოს უმაღლესი განათ-ლების სამივე საფეხურზე კულტურული მრავალფეროვნე-ბის სწავლებისა და დაცვის პროგრამებზე, ხელოვნების ფა-კულტეტების სტუდენტთა მობილურობის მხარდაჭერაზე,

უნივერსიტეტებსა და ინსტიტუტებში ევროკავშირის საუკეთესო გამოცდილების შესაბამისი კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობის შენარჩუნებისა და სათანადოდ დაცვის პროფესიული და საუნივერსიტეტო პროგრამების კულტივირებაზე. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წინაშე მთელი აქტუალობით დგას განათლების (მათ შორის სამოქალაქო და კულტურის განათლების) პოლიტიკის შესახებ ფართო დისკურსის წარმოების საჭიროება.

## 2. სამოქალაქო განათლება ფორმალური განათლების საფეხურზე (ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა)

ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასაწყისში ქართველი ფსიქოლოგი დიმიტრი უზნაძე ამბობდა: „სკოლა ხომ პატარა სახელმწიფოა და ამ სახელმწიფოს მოქალაქენი მისი აღსაზრდელები არიან. დაესკოლა დემოკრატიულად იყოს მოწყობილი. დაესკოლა მისი მართვა, არსებითად, მოსწავლეთა ხელში გადავიდეს. მართვის ცოცხალი პრაქტიკა გამოაწროობს მოზარდი თაობის მოქალაქეობრივ ხასიათს“.<sup>1</sup>

დღევანდელობამ დემოკრატიის, განათლებისა და სკოლის, როგორც საზოგადოებრივი ინსტიტუტის ურთიერთკავშირის შესახებ თეორიული დისკურსი რეალობად აქცია. პოსტასბჭოთა სივრცის საზოგადოებებმა დემოკრატიული სკოლის უპირატესობის გაცნობიერება შეძლეს. მათ შორისაა საქართველოც, რომელიც ცდილობს დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებული სამოქალაქო საზოგადოების იდეის განხორციელებას. საქართველოს მთავრობის №84 დადგენილებით (18.10.2004) მიღებულ „ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებში“ ვკითხულობთ: საქართველოში ზოგადი განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიზნებია: а) მოსწავლის ეროვნული და ზოგადსაკაცობრივი ღირებულებების მქონე, თავისუფალ პიროვნებად ჩამოყალიბებისათვის საჭირო პირობების შექმნა; б) მოსწავლის გო-

<sup>1</sup> Uznadze D, Objectives of Secondary School, Tbilisi, 1917, p.48

ნებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევების განვითარება, აუცილებელი ცოდნით უზრუნველყოფა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბება, მოსწავლის მიერ კულტურულ ფასეულობათა პატივის-ცემა, ოჯახის, საზოგადოების, სახელმწიფოსა და გარემოს წინაშე უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში ხელის შეწყობა.

„ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების“ ბაზაზე შემუშავებული ქვეყნის ზოგადი განათლების მთავარი ოპერატიული დოკუმენტი – ეროვნული სასწავლო გეგმები (The National Curriculum) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით 2006 წელს ამოქმედდა. ეროვნული სასწავლო გეგმა ზოგადი განათლების მოსწავლეზე ორიენტირებულ კონცეფციის სახით წარმოდგა, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სავალდებულო, სამუშაო დოკუმენტია. ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N 1014 ბრძანებით (21.11.2008) დამტკიცდა მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი. ეს უკანასკნელი განსაზღვრავს მასწავლებლების სასერტიფიკაციო საგამოცდო პროგრამას და ტესტური დავალებების შინაარსს. ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით მზადდება: სკოლის გამოსაშვები (საატესტატო) გამოცდები, უმაღლეს სასწავლებელში მისაღები (ბაკალავრიატის საფეხური) ეროვნული გამოცდების საგამოცდო პროგრამა ყველა საგანში, მოსწავლეთა აკადემიური ცოდნის ეროვნული და საერთაშორისო შეფასებების მოდელები და პროგრამები, სკოლების ავტორიზაციის პროცედურები, სახელმძღვანელოები (მოსწავლის და მასწავლებლის) და ასევე, გრიფირების პროცესი.

2007 წლიდან ეროვნული სასწავლო გეგმის და სახელმძღვანელოთა დამტკიცების ახალი პროცედურების ამოქმედებისთანავე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მე-9 და

მე-10 კლასებში შემოღებულ იქნა სამოქალაქო განათლების დისკიპლინა.

ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურზე სამოქალაქო განათლების სწავლების 4 წლიანი გამოცდილების შემდეგ, ამერიკულმა ორგანიზაციამ PH international - საქართველოს სამოქალაქო განათლების პედაგოგთა გადამზადების პროგრამის ფარგლებში, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებული საქართველოს შეფასების ასოციაციის მიერ ჩატარებული კვლევის ანგარიში გამოსცა. კვლევის სახელწოდებაა: სამოქალაქო განათლების საგანი საქართველოს სკოლებში და მოსწავლეთა მიერ სამოქალაქო განათლების გაკვეთილებზე მიღებული ცოდნის პრაქტიკული გამოყენება<sup>1</sup>. ზემოთ ნახსენებ დოკუმენტს ვრცლად შემდეგ ანგარიშში შევხები.

**3.1. რეფორმის ფონი სამოქალაქო განათლების-თვის ხელსაყრელი გარემოს ჩამოსაყალიბებლად. ფორმალური განათლების საფეხური (ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა)**

განათლების რეფორმის დაწყებიდან 10 წლის განმავლობაში (2003–2012) განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში 9 მინისტრი შეიცვალა. ამათგან, სკოლების საზოგადოებასთან ინტეგრაციისა და სამოქალაქო კულტურის დანერგვა–გავრცელების თვალსაზრისით უკანგადადგმული 2009–2012 წლები იყო. ამ პერიოდმა საშუალო განათლება განათლების სისტემის სუსტ რგოლად აქცია.

რეფორმის პირველ ეტაპზე (2004–2007) სისტემას შემუშავებული ჰქონდა ზოგადი განათლების მიზნები და მისი მიღწევის ერთიანი ხედვა. ეს უკანასკნელი, კანონმდებლო-

---

<sup>1</sup> სამოქალაქო განათლების საგანი საქართველოს სკოლებში და მოსწავლეთა მიერ სამოქალაქო განათლების გაკვეთილებზე მიღებული ცოდნის პრაქტიკული გამოყენება, კვლევის ანგარიში, თბილისი, 2011, გვ. 23

ბის მიხედვით, სკოლას მოსწავლისადმი ინდივიდუალური მიდგომის, მიზნების განხორციელებაში არჩევანის თავი-სუფლების, მასწავლებლის შემოქმედებითობის გამოვლენის, მმართველობითი და ფინანსური ავტონომიურობის, მართვა-ში მასწავლებლის და მშობლის ჩართვის საშუალებას აძლევს (მოსწავლეთა კლუბები, მშობელთა და მასწავლებელთა ასო-ციაციები და სხვ.). რეფორმის ამ ეტაპზე ფოკუსირება ხდე-ბოდა ზოგადად სამოქალაქო ღირებულებებსა და მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანზე - ადამიანზე (მოსწავლე, პედაგო-გი, ადმინისტრატორი, მშობელი). მართვის დეცენტრალიზა-ცია სკოლაში ჩართული მოთამაშეების (აქტორების) პასუ-სისმგებლობას ზრდიდა, სასწავლო პროცესის ორიენტირად შედეგების მიღებას სახავდა, სასკოლო ეთოსის გაძლიერე-ბას უწყობდა ხელს. მასწავლებელთა სერტიფიცირება სწავ-ლების ხარისხის ამაღლებას, უწყვეტ პროფესიულ განვითა-რებას და კარიერულ ზრდას ისახავდა მიზნად.

განათლების რეფორმის შემდეგ ეტაპზე (2007–2012 წწ) სახელმწიფომ თავდაპირველ კურსს გადაუხვია. თანდა-თანობით, ხოლო 2009 წლიდან კი უკვე აშკარად, განათლების სექტორში, ყველა თავისი მახასიათებლით, მართვის ცენ-ტრალიზებული, სწორხაზოვანი და ავტორიტარული სტილი დამკვიდრდა:

1.პრობლემის „სწრაფად მოგვარება“; თანხმობა მხო-ლოდ მინისტრისგან. ძველი გზით სვლა ე.წ. „აპრობირებუ-ლი“ (საბჭოეთის) მეთოდებით მოქმედება; რესურსების კონ-ტროლირება ფუნქციების შეუსაბამო და უსამართლო დანა-ნილების გზით (სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენ-ტრის, სკოლების კომპიუტერიზაციის პროგრამის, „ირმის ნახტომის“ და სხვ. დახურვა, მანდატურების ინსტიტუტის შემოღება);

2.ადამიანებზე ტოტალური კონტროლის დამყარება; სტატისტიკური მონაცემებითა და ციფრებით მანიპულირე-

ბა; არჩევანის თავისუფლების შეზღუდვა; ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დაკარგვა.

3. სკოლის საქმიანობის შეფასებისას ჩართული მხარეების უმრავლესობად და უმცირესობად გაყოფა და რაოდენობრივ სისტემაზე აპელირება (რაოდენობრივი მაჩვენებლები, რეიტინგი, PR-აქციები), რამაც განათლების სისტემას კვოტების დაწესება და გაურკვეველი კლასიფიკატორების დადგენა აიძულა (სკოლებისთვის ვარსკვლავების მინიჭება და სხვ.). სკოლების მმართველობითი და ფინანსური ავტონომია შეიზღუდა; მოსწავლისადმი ინდივიდუალური მიდგომის პრინციპი დაირღვა; სკოლის თვითმმართველობის სტრუქტურებში (სამეურვეო საბჭოები) ოფიციალურად დანიშნეს სახელმწიფოს წარმომადგენლები; ინდივიდუალური პასუხისმგებლობა მმართველი პოლიტიკური პარტიისადმი მოჩვენებითი ლოიალობის განწყობამ ჩაანაცვლა. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები პოლიტიზირებულ, ჩაკეტილ საზოგადოებებად, არჩევნებში მმართველი პოლიტიკური პარტიის პროპაგანდის საშუალებად და საარჩევნო უბნებად, მასწავლებელთა სერტიფიცირების პროცესი კი – „გაფილტრვის“ ინსტრუმენტად იქცა. პედაგოგთა პროფესიული გადამზადების ცენტრის ფუნქცია მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდისთვის მომზადების ფუნქციამდე დაკინძდა.

2006 წელს ჩატარებული - წიგნიერების საერთაშორისო კვლევის (PIRLS – Progress in International Reading Literacy Study), 2007 წელს ჩატარებული მათემატიკისა და საბუნების-მეტყველო საგნების სწავლისა და სწავლების საერთაშორისო კვლევის (TIMSS – Trends in International Mathematics and Science Study), 2008 წელს მათემატიკის მომავალი მასწავლებლების განათლების საერთაშორისო კვლევის (TEDS-M) და 2009 წელს მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამის (PISA- Programme for International Student

Assessment)<sup>1</sup> კვლევის შედეგებმა სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებელ სტრატეგიაში ასახვა ვერ ჰპოვა. 2011 წელს კი საერთაშორისო კვლევები საქართველოში საერთოდ შეწყდა. იმუამინდელმა მინისტრმა 2010 წლის მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამის (PISA- Programme for International Student) კვლევის მეთოდოლოგიას ბუნდოვანი და არასწორი უწოდა და საზოგადოებას ეროვნულ კვლევებზე გადასვლა შესთავაზა.

4. მოკლევადიანი სარგებლის მიღებაზე ორიენტირება (ხელისუფლების შენარჩუნების მიზნით ელექტორატზე მმართველი პოლიტიკური პარტიის გამარჯვებისთვის საჭირო ზემოქმედების მოხდენა).

5. არაგამჭვირვალობა და სტრატეგიის არარსებობა. გამოვლინდა განათლების სისტემის გაორებულობა: ერთის მხრივ, დეკლარირებული, კანონით განსაზღვრული მიზნები და, მეორეს მხრივ, სამინისტროს უმაღლესი მმართველობის მიერ მხოლოდ რჩეულთათვის გაცხადებული „საიდუმლო“ მიზნები. პედაგოგიურ პერსონალს შემოქმედებითი მიდგომების, პროფესიული და კარიერული ზრდის მოტივაცია დაეკარგა. სამეურვეო საბჭოები პოლიტიკური გავლენის მექანიზმად იქცა.

6. კადრების გადინება. 2010-2011 წლებში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში დაფიქსირდა კადრების უპრეცენდენტოდ მაღალი გადინება, რაც, ძირითადად, ყველაზე კომპეტენტურ პროფესიონალებს შეეხო. მანდატურების ინსტიტუტის შემოღებამ პედაგოგების სკოლისგან გაუცხოვება გამოიწვია.

---

<sup>1</sup> PISA კვლევას საერთაშორისო მასშტაბით, ევროპის ეკონომიკური და კულტურული განვითარების ორგანიზაცია (OECD) ატარებს.



*The number of teachers in secondary public and private schools*

სამოქალაქო ღირებულებათაგან ყველაზე მნიშვნელოვანის – ადამიანის ღირებულების (მოსწავლე, პედაგოგი, ადმინისტრატორი, მშობელი) იგნორირებამ სასკოლო ეთოსის დეკონსტრუქცია გამოიწვია და საზოგადოებასთან მისი კავშირები გაწყვიტა<sup>1</sup>. სკოლებს სახელმწიფოს ნდობა გაუქრათ. სკოლების დეცენტრალიზაციის იდეამ კრახი განიცადა. განათლების სფეროში საკადრო ცვლილებების პარალელურად, სისტემური განვითარების ხედვის ცვლამ მასწავლებლებსა და დირექტორებში სახელმწიფოს მხრიდან ნებისმიერი შემოთავაზების მიმართ სკეპტიკური და მიუღებელი დამოკიდებულება გააჩინა.

#### **4. სამოქალაქო განათლება უნივერსიტეტებში**

2011 წლიდან USAID-ის პარტნიორი ორგანიზაციის – საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდსა (IFES) და 6 უნივერსიტეტს (კავკასიის უნივერსიტეტი, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი და საქართველოს უნივერსიტეტი) მორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში დაინერგა ახალი სასწავლო კურსი, სახელწოდებით „დემოკრატია და მოქალაქეობა“. გარდა ზემოთ ჩამოთვლილი უნივერსიტეტებისა და საბაკალავრო

<sup>1</sup> Dewey John, The School and Social Progress, Chapter 1, *School and Society*, Chicago: University of Chicago Press, 1907, p. 19-44

საფეხურის აღნიშნული საგანი ისწავლება შემდეგ უნივერსიტეტებში:

- აკაკი წერეთელის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი
  - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი
  - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
  - ზუგდიდის შოთა მესხიას სახელობის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
  - თელავის იაკობ გოგებაშვილი სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი
  - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
  - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი
  - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
  - ქართულ - ამერიკული უნივერსიტეტი
  - ქუთაისის უნივერსიტეტი
- საბაკალავრო კურსი „დემოკრატია და მოქალაქეობა“ უზრუნველყოფილია სტუდენტის საკითხავი სახელმძღვანელოთი, მასწავლებლის მეთოდური რეკომენდაციებისა და სხვა დამხმარეთუ შეფასებისთვის საჭირო ინსტრუმენტების წიგნით. მეთოდურ რეკომენდაციებს საფუძვლად უდევს ევროპის საბჭოს განათლების საორგანიზაციო კომიტეტის (CDED) მიერ წამოყენებული და ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ, 2010 წლის 11 მაისს დამტკიცებული რეკომენდაცია CM/Rec(2010)<sup>7</sup>.

---

<sup>1</sup> ევროპის საბჭოს ქარტია დემოკრატიული მოქალაქეობისთვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების შესახებ, მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec (2010)<sup>7</sup> და განმარტებითი მემორანდუმი

## **5. ევროკავშირის ინიციატივები სამოქალაქო განათლების მიმართულებით**

სამოქალაქო განათლება საქართველოში დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან აქტუალურია. განათლების რეფორმის არათანმიმდევრული და ქაოტური მიმდინარეობის ფონზე ძალზე აქტუალურია ევროკავშირის ინიციატივები და მხარდაჭერა, რომელიც სამოქალაქო განათლების ხელშეწყობას ისახავს მიზნად. ამ მიმართულებით, აღნიშვნის ღირსია ზოგიერთი პროექტი.

### **5.1.1. ევროპული ინსტრუმენტი დემოკრატიისა და ადამიანის უფლებებისთვის (EIDHR) პრიორიტეტები საქართველოში**

ევროპული ინსტრუმენტი დემოკრატიისა და ადამიანის უფლებებისთვის (EIDHR) მხარს უჭერს საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას.

ევროპული ინსტრუმენტი დემოკრატიისა და ადამიანის უფლებებისთვის (EIDHR) ეხმარება ადამიანებს ეფექტური სამოქმედო პოლიტიკის შემუშავებაში, ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიის რეალურ ცხოვრებაში გატარების დროს. იგი, არ ერევა რა ადგილობრივი სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრაში, პოულობს ინოვაციურ გზებს და ეფექტურად რეაგირებს საზოგადოებისთვის მგრძნობიარე ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: უმცირესობათა, ქალის, ბავშვის, განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა უფლებები; სიტყვის, მრნამსის, აზრის თავისუფლების და, ზოგადად, სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისთვის აქტუალური თემები. ევროპული ინსტრუმენტი დემოკრატიისა და ადამიანის უფლებებისთვის (EIDHR) საქართველოში საინტერესო პროექტებს ანხორციელებს ნებაყოფლობითი, თვითწარმოქმნადი, თვითგანვითარებადი, სახელმწიფოსგან ავტონომიური და კანონით გაზიარებულ წესთა ერთობლიობით მოქმე-

დი, ორგანიზებული საზოგადოებრივი ცხოვრების ჩამოსაყალიბებლად და განსავითარებლად.

### **5.1.2. „დემოკრატია ინყება შენით“**

სამოქალაქო საზოგადოების ჩამოსაყალიბებლად ბავშვების და ახალგაზრდების განათლებაში დაბანდებული ინვესტიცია სასარგებლოა ნაციონალურ, რეგიონულ და გლობალურ დონეზე.

ამ თვალსაზრისით, ძალზე მაშტაბურია პოლიტიკური განათლების ამაღლების მიზნით სამხრეთ კავკასიის რეგიონის ეროვნულ უმცირესობათა და სოფლის საჯარო სკოლების უფროს კლასებისთვის განხორციელებული პროექტი თემაზე: “დემოკრატია ინყება შენით”. მას ერთობლივად ანხორციელებენ თბილისის, ბაქოს და ერევნის პოლიტიკური სწავლების სკოლები, ევროპის კავშირი, კონრად ადენბაუერის და ედუარდო ფრაის ფონდები. პროექტის ღირებულება 1,88 მილიონ ევროს შეადგენდა. პროექტი 01.11.2009 – 16.04.2013 წლების განმავლობაში მიმდინარეობდა. პროექტი ხელს უწყობს სამხრეთ კავკასიის რეგიონების და უმცირესობებით დასახლებული რაიონების ახალგაზრდობის სამოქალაქო ჩართულობის გაზრდას. პროექტის აქტივობების ფარგლებში აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის წინასწარ შერჩეული 60 სკოლის 180 პედაგოგს უწყვეტი პროფესიული განვითარების რეჟიმში ინტერაქტიური და ჩართული პედაგოგიკის ტრენინგები ჩაუტარდათ. ტრენინგზე მიღებული ცოდნა მასწავლებლებმა საკლასო ოთახებში გამოსცადეს, სადაც 5400 მოსწავლესთან ერთად (G.11), ახალგაზრდა პოლიტიკოსების მონაწილეობით სამეტაპიანი სიმულაციური თამაშები განხორციელდა. მასწავლებლებისთვის შეიქმნა ვებგვერდი, სადაც სწავლებისთვის უნიკალური 29 წიგნი აიტვირთა. ამასთან, მასწავლებლებს ყოვლწლიური პროფესიული განვითარების საშუალება მიეცათ. თბილისის, ბაქოს და ერევნის პოლიტიკური სწავლების სკოლების 225 აქტივისტს, მოსწავლეებთან ეფექტიანი ინტეგრაციის მიღ-

წევის მიზნით, სამოქალაქო განათლების სპეციალური ტრენინგები ჩაუტარდათ.

სიმულაციურ თამაშებში მონაწილე თავადვე ირჩევდა „სამხრეთ კავკასიის ახალგაზრდული პარლამენტის“ დელეგატს და მას პოლიტიკური დღის წესრიგით უზრუნველყოფდა. სიმულაციური თამაშების მესამე ეტაპზე არჩეულმა დელეგატებმა, სომხეთის ქ. წახკაძორში ევროკავშირისთვის სამხრეთ კავკასიის ახალგაზრდული პარლამენტის ერთობლივი დეკლარაციის პროექტი მოამზადეს.

პროექტმა მონაწილეთა ინტეგრაციას შეუწყო ხელი. მათ სამოქალაქო განათლებისთვის საჭირო საბაზისო ცოდნა და დემოკრატიული ღირებულებების განხორციელების უნარი შეიძინეს. შეძლეს თანატოლთა და ახალგაზრდული პრობლემების უკეთ გააზრება, გაუჩნდათ რევიონული თანამშრომლობისა და პარტნიორობის სურვილი, ინფორმაციის გაცვლისა და ფასეულობითი წინააღმდეგობის ერთობლივად დაძლევის ნებისყოფა.

არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ თითოეული მოსწავლის უკან მისი დედა, მამა და ოჯახის წევრები დგანან. ამ-დენად, გაკვეთილებსა და ტრენინგებზე მიღებული ცოდნა და კონტენტუალური გავლენა რეგიონის სამივე ქვეყანაში 16000-ზე მეტ მოქალაქეს მოიცავდა. როგორ შეიძლება იმ გავლენის გაზომვა, რომელიც ამ პროექტმა მოახდინა საზოდაგოებაზე? ესაა პროექტში ჩართული პირების გამოხმაურება და მოსაზრებები, შეცვლილი შეხედულებები და წარმოდგენები, მასწავლებლებს შორის პრაქტიკული თანამშრომლობის სურვილის და მისი განხორციელებისთვის დაწყებული ინდივიდუალური თუ ორგანიზებული დამოუკიდებელი მცდელობები. პროექტის შედეგების ანალიზის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ პროექტში ჩართულმა ახალგაზრდებმა არა მარტო ისწავლეს დემოკრატია, არამედ ის იცხოვრეს და გამოსცადეს კიდეც.

### **5.1.3. ეთნიკური უმცირესობების საგანმანათლებლო უფლებების დაცვა ბილინგვური განათლების გზით**

ევროკავშირის პროგრამის - ევროპული ინსტრუმენტი დემოკრატიისა და ადამიანის უფლებებისთვის (EIDHR) ფარგლებში დაფინანსებული პროექტი „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრმა“ (Center for Civil Integration and Inter-ethnic Relations (CCIIR)) ლატვიური ენის ათვისების სახელმწიფო სააგენტოსა (LVAVA) და საქართველოს აზერბაჯანელ ქალთა კავშირის პარტნიორობით განახორციელა. პროექტის სახელწოდებაა: „ეთნიკური უმცირესობების საგანმანათლებლო უფლებების დაცვა ბილინგვური განათლების გზით“. ადამიანთა უფლებების დაცვა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლება მოქალაქეების სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის/ჩართულობის ხარისხით განისაზღვრება. მონაწილეობა/ჩართულობა მოიცავს ისეთი მოქალაქეების ჩამოყალიბებას, რომელიც კარგად არის ინფორმირებული სახელმწიფოში არსებული სიტუაციის შესახებ და აქტიურად მონაწილეობს სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში (სახელმწიფოს მართვა, ეკონომიკური დოკუმენტითის და კულტურული ღირებულებების შექმნა). 2009–2012 წლების განმავლობაში პროექტის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

ბილინგვური განათლების კურსის სტრუქტურის ჩამოყალიბება და მასწავლებელთა ტრენინგის საჭიროებების შეფასება;

დაწყებითი სკოლის მასწავლებლების საგნისა და ენის ინტეგრირებული სწავლების მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოს შემუშავება;

დაწყებითი სკოლის მასწავლებლებისთვის საგნისა და ენის ინტეგრირებული სწავლების სატრენინგო მოდულის შემუშავება;

სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონების 18 მასწავლებლის ბილინგვური სწავლების თანამედროვე მე-

თოდოლოგიის სწავლება-გავრცელების ტრენინგად გადამზადება;

სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონების დაწყებითი სკოლის 488 მასწავლებლის ბილინგვური სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიაში გადამზადება;

ბილინგვური განათლების შესახებ ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე ბროშურების მომზადება;

ბილინგვური სწავლების უპირატესობებზე სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის 1000-ზე მეტი მოქალაქის ინფორმირება;

სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი (Center for Civil Integration and Inter-ethnic Relations (CCIIR)) აქტიურად საქმიანობს სასწავლო და მეთოდური მასალების მომზადების კუთხით. მან დააფუძნა გამომცემლობა. ასევე, გააჩნია საკუთარი სტამბა, რომლის მეშვეობითაც 2005-2011 წლებში ორგანიზაციის მიერ 200-ზე მეტი წიგნი გამოიცა.

სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი (Center for Civil Integration and Inter-ethnic Relations (CCIIR)) ეთნიკური და ენობრივი უმცირესობების უფლებების შესახებ ინფორმაციის გავრცელების და მათი უფლებების ადვოკატირების, სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ხელშეწყობით; ეთნიკური უმცირესობების მხრიდან საქართველოს სახელმწიფოებრიობის მიმართ ლოიალური დამოკიდებულების ჩამოყალიბებით; განათლების რეფორმის მხარდა-საჭერად სახელმწიფოს წინაშე უმცირესობების უფლებების მუდმივი შესსენებით; საგანმანათლებლო პროექტებისა და პროგრამების მომზადებით და განხორციელებით; ეროვნებათშორისი და კულტურათაშორისი დიალოგით; ბილინგვური სწავლებისა და არაქართულენოვანი სკოლების რეფორმირების ხელშეწყობით ეთნიკური უმცირესობების მიმართ

საზოგადოებაში პოზიტიური დამოკიდებულებას აყალიბებს, რითაც, საბოლოო ჯამში, ხელს უწყობს სამოქალაქო განათლების განვითარებას და აკმაყოფილებს ევროპული ინსტრუმენტის დემოკრატიისა და ადამიანის უფლებებისთვის (EIDHR) მოთხოვნებს.

პროექტმა გაზარდა ენობრივი უმცირესობების ადამიანთა უფლებების დაცვის და უმცირესობების წარმომადგენელი მოქალაქეების სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის/ჩართულობის ხარისხი.

### **5.1.1. აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების კულტურული პროგრამის (EPCP) პროექტები**

აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების კულტურული პროგრამა (Eastern Partnership Culture Programme) აღმოსავლეთ პარტნიორობის თემატიური პლატფორმის - „ადამიანებს შორის კონტაქტები“-ს ნაწილია. იგი აძლიერებს კულტურის, როგორც რეფორმების ერთ-ერთი მამოძრავებელი ძალის, როლს და ხელს უწყობს სხვადასხვა საზოგადოებას შორის ტოლერანტული განწყობის ჩამოყალიბებას და სოციალური სოლიდარობის განვითარებას. პროგრამა ხელს უწყობს ინფორმაციის და გამოცდილების გაცვლას კულტურის სფეროში მოღვაწე სუბიექტებს შორის, როგორც რეგიონის შიგნით, ისე ევროკავშირთან. ასევე, ის ხელს უწყობს რეგიონული ინიციატივების განვითარებას და ამით, დადებითი წვლილი შეაქვს ეკონომიკურ განვითარებაში, სოციალურ ჩართულობაში, კონფლიქტების მოგვარებაში და კულტურათაშორის დიალოგში. კულტურული პროგრამის მიზანია რეგიონული და გლობალური ურთიერთობების დამყარებაში, ასევე ინკლუზიური და სამოქალაქო კულტურის დამკვიდრებაში კულტურების შესაძლებლობების გაძლიერება. 2011-2015 წლებში აზერბაიჯანში, ბელორუსში, მოლდოვაში, რუსეთში, საქართველოში, უკრაინასა და სომხეთში პროექტების განსახორციელებლად პროგრამას 12 მლნ ე გააჩნია.

აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების კულტურული პროგრამის (Eastern Partnership Culture Programme) დაფინანსებით ჩეხური ორგანიზაცია, „ადამიანი გაჭირვებაში“, 2012 წლიდან საქართველოს (ასევე, აზერბაიჯანის და სომხეთის) დოკუმენტური ფილმების მხარდაჭერის პროექტს ახსორციელებს. სამოქალაქო თემატიკაზე შექმნილი დოკუმენტური ფილმები მაღალი ხარისხით და ახალი შინაარსობრივი დატვირთვით გამოირჩევა. აღიარებს რა კულტურის გადამწყვეტ როლს სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაში, ორგანიზაცია „ადამიანი გაჭირვებაში“ მიზნად ისახავს სამხრეთ კავკასიის კინოდოკუმენტალისტიკის განვითარებას და მათ მიერ შექმნილი პროდუქციის საერთაშორისო ხარისხის სტანდარტებამდე ამაღლებას. უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში რეგიონის კინოდოკუმენტალისტ რეჟისორებს დიდი გამოცდლების მქონე ევროპელ დრამატურგებთან და პროდიუსერებთან ტრენინგებისა და მასტერ-კლასების გავლა უწევდათ, რის შემდეგაც, ინოვაციური მიდგომებისა და ხედვის საკუთარ პრაქტიკაში დაწერგვით, ფილმების გადაღება განაგრძეს.

CAUCADOC ჩეხური არასამთავრობო ორგანიზციის, „ადამიანი გაჭირვებაში“ (PIN) და სამხრეთ კავკასიელი პარტნიორების „საქდოკ ფილმის“ (საქართველო) და „ინტერნიუსის“ (სომხეთი) პროექტია. პროექტი სამხრეთ კავკასიაში დოკუმენტური კინოს განვითარებას უწყობს ხელს. მას საფუძვლად ჩეხეთის ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დოკუმენტური კინოფესტივალის, „ერთი მსოფლიოს“ თოთხმეტწლიანი გამოცდილება უდევს.

პროექტის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტური ფილმები წარდგენილია სკოლებში.

სამხრეთ კავკასიაში დოკუმენტურ კინოინდუსტრიაში მოღვაწე პროფესიონალებს CAUCADOC უზრუნველყოფს შემდეგი აქტივობებით:

**პროექტის განვითარების ინტენსიური კურსი:** რე-ჟისორებისა და პროდიუსერების პროფესიონალიზმის ასა-მაღლებლად იწვევს ევროპული დოკუმენტური კინოინდუს-ტრიის მნიშვნელოვან წარმომადგენლებს. ტრენინგზე მონა-ნილენი საკუთარი ფილმების იდეებს განავითარებენ.

**ლია მასტერ-კლასები:** თბილისის, ბათუმისა და ერევნის საერთაშორისო კინოფესტივალების ფარგლებში გაიმართება მასტერკლასები და ლექციები, რომელიც ლია იქნება დოკუმენტური კინოს ფართო საზოგადოებისთვის. მასტერ-კლასებს გამოცდილი ევროპელი ექსპერტები წაუძ-ლვებიან.

**მრგვალი მაგიდა:** იგეგმება დისკუსიების სერია, რო-მელიც კინოინდუსტრიის მნიშვნელოვან საკითხებს შეეხება როგორც რეგიონალურ, ისე საერთაშორისო დონეზე.

ფართო საზოგადოებისთვის დოკუმენტური ფილმე-ბის მეშვეობით საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას და სამოქალაქო ჩართულობის გაზრდას უჭერს მხარს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ადამიანის უფლებები, მიგრაცია, გარემოს დაცვის საკითხები და ა.შ.

**დოკუმენტური ფილმები სკოლებში:** დოკუმენტური ფილმები წარდგენილია სკოლებშიც, როგორც სამოქალაქო განათლების ეფექტური მეთოდოლოგია. დოკუმენტური ფილმების მეშვეობით ადამიანის უფლებების სწავლების მი-ზანია ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლება და პასუხის-მგებლობის გრძნობის გაზრდა თანამედროვე მსოფლიოს გა-მოწვევებისა და აქტუალური სოციალური საკითხების შესა-ხებ. მასწავლებლები უზრუნველყოფილნი არიან საგანმა-ნათლებლო კომპლექტით, რომელიც მოიცავს 5 დოკუმენ-ტურ ფილმს ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით და მე-თოდოლოგიურ სახელმძღვანელოს მასწავლებლებისთვის. სახელმძღვანელო ასევე მოიცავს მოსწავლეებისთვის სამუ-შაო მასალას, როლურ თამაშებს, სამუშაო ფურცლებს, კით-ხვარებს და ა.შ. პროექტის ფარგლებში საქართველოს 257 მასწავლებელმა ადამიანის უფლებების თემაზე სწავლების

ინტერაქტიური მეთოდების ტრენინგები გაიარა. ტრენინგზე მიღებული გამოცდილება მასწავლებლებმა 4000-ზე მეტ მოსწავლეს გაუზიარეს და მათი სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს.

საქართველოს განათლების რეფორმის ფარგლებში ევროკავშირის მხარდაჭერა საკმაოდ ეფექტური, მაგრამ არასაკმარისია. მართალია, ევროკავშირის მხარდაჭერის დროს გამოკვეთილია სამოქალაქო განათლების პრიორიტეტულობა, მაგრამ ადგილობრივი განმხორციელებლების მხრიდან პროექტების სტაბილურობისა და მდგრადობის შენარჩუნების მიმართულებით ეფექტური ღონისძიებების განხორციელებისთვის დაგეგმილი აქტივობები ზოგჯერ არა-საკმარისია.

აქვე, გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ეკონომიკის აღორძინებისა და მრეწველობის განვითარების გარეშე, მხოლოდ სამოქალაქო ღირებულებების ამარა დარჩენილი განათლება, სწორედაც რომ ვერ შეძლებს ცოდნაზე დამყარებული საზოგადოების შექმნას და ისევ და ისევ მოდად დარჩება. უფრო მეტიც, ეკონომიკური განვითარების გარეშე პარადოქსულ სოციალურ აბერაციას მივიღებთ. პროგნოზი იმისა, რომ საქართველოში სამოქალაქო ღირებულებების სრული დევალვაციის ფონზე ფანატიკული, „სამოქალაქო ღირებულებებით“ შეპყრობილი, მორწმუნებების საზოგადოება შეიქმნას, მხოლოდ ფანტაზიის ნაყოფი არ გახლავთ. განათლების სფეროში 3-4 წლის წინ განვითარებული მოვლენები საფრთხის რეალობის შეგრძნებას გვიმძაფრებს. სისტემა, რომელიც დიქტატისა და ავტორიტარულობის ამგვარ ხარისხს გადაიტანს, შეიძლება ითქვას, დემოკრატიული ღირებულებებისა და მოქალაქეობრივი ეთიკისგან აბსოლუტურად თავისუფალია.

არჩევანი კვლავაც ჩვენზეა: რწმენა ცოდნის გარეშე თუ...

## **Initiatives for the support of Civic Education in Georgia**

**Zviad Miminoshvili**  
**Caucasus University,**  
*Professor, PhD in Education Science*

Within the European Union's support of education reform of Georgia is quite effective, but not insufficient. Although during the EU's support the priority of civic education is revealed but there are sometimes the lack of planned activities for maintaining the stability and sustainability for the implementation of effective projects by the local executors.

It should also be considered one fact: that without the development of economics and industry, education just only supported by civic values would not be able to create a knowledge-based society, and it will only be going to remain fashionable and nothing else. Moreover, as a result without economic development we may have paradoxical social aberrations. Prognosis of the fact that in Georgia in the wake of the complete devaluation of civil values creating a community of fanatic, obsessed with "civic values" believers is not just the result of fantasy. Developments in the field of education made 3-4 years ago, intensifies the sense of the reality of the threat. The system, which will survive such kind of quality of dictatorship and authoritarian, it can be said, is absolutely free from democratic values and social ethics.

## **გამოყენებული ლიტერატურა**

1. Uznadze D, Objectives of Secondary School, Tbilisi, 1917
2. Dewey, John, The School and Social Progress, Chapter 1, *School and Society*, Chicago: University of Chicago Press, 1907, p. 19-44
3. ევროპის საბჭოს ქარტია დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების შესახებ, მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec (2010)7 და განმარტებითი მემორანდუმი

## სამოქალაქო განათლების მნიშვნელობა და პროგლობის საქართველოში

ქეთი მურუსიძე

თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა  
ფაკულტეტი, პოლიტიკის მეცნიერების მიმართულება,  
მაგისტრანტი, „დემოკრატია და მოქალაქეობის“  
კურსდამთავრებული

*"There are two human inventions which may be considered more difficult than any others-the art of government and the art of education."<sup>1</sup> (Immanuel Kant) And here you and I are, involved in both government and education!*

Margaret Branson, Associate Director  
Center for Civic Education

სამოქალაქო განათლება შეიძლება ყველა სახის სისტემაში არსებობდეს, მაგრამ ის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დემოკრატიული სახელმწიფოებისთვის, რადგანაც დემოკრატიული საზოგადოების ინტერესია მოამზადოს მოქალაქე - იყოს მმართველი და იყოს მართული. ხელისუფლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა წესრიგის და კანონმორჩილების უზრუნველყოფა, რაც „იყოს მართულის“ ნაწილს მოიცავს. თუმცა, დემოკრატიის მნიშვნელობა და სირთულე სწორედ „იყოს მართულის“ „იყოს მმართველით“ დაბალანსებაა, რის გარეშეც დიდია ცდუნება ტოტალიტარიზმისა - „ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!“ (ლორდი ექტონი)

<sup>1</sup> Kant, Immanuel. Kant on Education (Ueber Padagogik) trans. Churton, Annette. Boston: D.C. Heath and Co., 1900, p. 12.

„იყო მმართველი“ გამოწვევაა განვითარებული დე-  
მოკრატიის მოქალაქებისთვისაც, რამდენადაც რთულია სა-  
მოქალაქო აქტივიზმის შენარჩუნება, როდესაც ადამიანები  
ორიენტირებული არიან არსებულ კონკურენტულ გარემოში  
პიროვნული განვითარებითა და სპეციალიზაციის გზით და-  
იმკვიდრონ სასურველი ადგილი. ლიბერალური დემოკრატია  
გულისხმობს ინდივიდის თავისუფლებას, შესაბამისად, მიუ-  
ღებელია - ვაიძულოთ პიროვნება იყოს აქტიური მოქალაქე,  
მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში, ჩაერთოს გადაწყვეტი-  
ლების მიღების პროცესში. სწორედ აქ ჩანს სამოქალაქო გა-  
ნათლების აუცილებლობა, რათა შენარჩუნდეს კონსტიტუ-  
ციური დემოკრატიის მდგრადობა, რადგან დემოკრატია „არ  
არის მანქანა, თავისთავად რომ იმოძრაოს“, მას სჭირდება  
შეგნებული განვითარება თაობიდან თაობაში. როგორც  
ალექსის დე ტოკვილი აღნიშნავს, ახალი თაობა არის ახალი  
ადამიანები, რომელთაც უნდა შეიძინონ ცოდნა, გამოიმუშა-  
ვონ უნარები და განავითარონ კერძო და საჯარო ხასიათის  
განწყობები თუ თვისებები, რაც საფუძვლად უდევს კონსტი-  
ტუციური დემოკრატიის მმართველობის სისტემას.<sup>1</sup>

ისეთი განვითარებადი დემოკრატიებისთვის კი, რო-  
გორიცაა საქართველო, ხშირ შემთხვევაში, სრულად არ არის  
გააზრებული სამოქალაქო განათლების მნიშვნელობა, რაც  
განათლების, პოლიტიკური თუ სამოქალაქო კულტურის, გა-  
მოცდილების ნაკლებობითაა განპირობებული. შესაბამისად,  
თუ დასავლური საზოგადოებისთვის სამოქალაქო განათლე-  
ბა დემოკრატიის მდგრადობის შენარჩუნების საშუალებაა,  
ჩვენთვის იგი მისი განვითარების გზაა. ამიტომ, კიდევ უფ-  
რო მეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს განათლებას, რო-  
გორც საზოგადოების განვითარების ერთადერთ სწორ გზას.  
ამასთან, აუცილებელია გააზრებულ იქნეს სამოქალაქო გა-

---

<sup>1</sup> Branson, Margaret Stimman, and Quigley, Charles N; The Role of Civic Education. Washington, DC, USA. 1998, September, p. 34

ნათლების როლის არა მხოლოდ ვიწრო გაგება, არამედ სხვა საზოგადოებრივ ასპექტებთან მისი კავშირიც.

სამოქალაქო განათლება ლიბერალური დემოკრატიის აუცილებელი შემადგენელი, თუმცა არასაკმარისი ნაწილია; დემოკრატია ინფორმირებულობაზე დაფუძნებულ, რაციონალური გადაწყვეტილებების მიღებას მოითხოვს თითოეული მოქალაქისგან, მაგრამ ვინ უნდა უზრუნველყოს მოქალაქის მზადყოფნა ასეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მისაღებად? ემი გატმანის აზრით, სახელმწიფომ უნდა აიღოს მოქალაქეთა სოციალური რეპროდუციის ვალდებულება საკუთარ თავზე; მისი აზრით, დემოკრატიულ საზოგადოებაში მოქალაქეებს აქვთ საკმაოდ დიდი როლი და ამიტომ, ისინი უნდა იყვნენ განათლებულნი. ყოველი მოქალაქის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გავლენას ახდენს მთელი საზოგადოების ცხოვრებაზე, შესაბამისად, მოქალაქედ აღზრდის პასუხისმგებლობა არ უნდა იქნეს მინდობილი მხოლოდ მშობლებზე (შესაძლოა, ისინი თავად არ იყვნენ აქტიური მოქალაქეები)<sup>1</sup>.

უფრო მეტიც, სათათბირო დემოკრატიის იდეის მომხრები თვლიან, რომ სამოქალაქო განათლება უნდა ასწავლიდეს დისკუსიებში მონაწილეობის უნარებს; გატმანისა და ტომპსონის აზრით, ეს ნიშნავს იმას, რომ ადამიანებმა უნდა განივითარონ უნარები, სურვილი და ცოდნა, რაც შესაძლებლობას მისცემს მათ წაიკითხონ და განიხილონ ახალი ამბებისა და მიმდინარე მოვლენების შესახებ არსებული მრავალფეროვანი ინფორმაცია; ერთობლივი განხილვების გზით შეჯერებული შეხედულებებით კი, გავლენა უნდა მოახდინონ ხელისუფლებაზე<sup>2</sup>. თუმცა, ასეთი დონის დემოკრატია თანამედროვეობის დიდ გამოწვევას წარმოადგენს.

<sup>1</sup> Civic Education. (2007 წლის 27 დეკემბერი). მოძიებულია 12 ივნისი, 2014, from Stanford Encyclopedia of Philosophy: <http://plato.stanford.edu/entries/civic-education>

<sup>2</sup> იხ. იქვე

სამოქალაქო განათლების მნიშვნელობაზე საუბრისას აუცილებელია აღვნიშნოთ სოციალური კაპიტალის ეფექტური გამოყენების უნარების ათვისების აუცილებლობა, ერთობლივი საქმიანობის, საზოგადოებრივი სარგებლისთვის შრომის საჭიროების გააზრება მომავალი მოქალაქეების-თვის, რადგანაც „განათლება არ არის მხოლოდ ის, თუ რამდენად შეისწავლი და ასახავ ცოდნას, არამედ რამდენად გაატარებ ამ ცოდნას მოქმედებაში“<sup>1</sup>. ჩვენი საზოგადოების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა კი სწორედ საზოგადოებისთვის ერთობლივი საქმიანობის ორგანიზების თუ მასში მონაწილეობის პრობლემაა. ელინორ ოსტრომი ამ პრობლემას აანალიზებს, როგორც კოლექტიური ქმედების დილემას, რომელიც, თავის მხრივ, შეიძლება განვიხილოთ, როგორც პატიმრის დილემისა და საზოგადო საკუთრების ტრაგედიის შედეგი. თუმცა, ოსტრომი ამ პრობლემის მოგვარებას დემოკრატიული მოქალაქის კულტურის დამკვიდრებაში ხედავს, რომელიც სამოქალაქო განათლების გზით მიიღწევა და ამისთვის ყველაზე ეფექტურიან გზად მაგალითების და გამოცდილების მიხედვით სწავლების მეთოდს მიიჩნევს<sup>2</sup>.

მოქალაქეობა მჭირდოდ არის დაკავშირებული პოლიტიკურ სოციალიზაციასთან, ორივე ცნება ხსნის, თუ როგორითავისებს ადამიანი პოლიტიკური სისტემის ნორმებსა და ღირებულებებს, როგორ მოქმედებს ამ სივრცეში. შესაბამისად, სამოქალაქო განათლება უკავშირდება პოლიტიკური ქცევისა და კულტურის ცნებებს, რომლებიც დიდ ზეგავლენას ახდენენ ქვეყნის განვითარებაზე. ამის აშკარა მაგალითია ალმონდისა და ვერბას „სამოქალაქო კულტურის“ კვლევა იტალიაში:

<sup>1</sup> Mason, E. The Import of Civic Education. *Harvard Gazette*, 2011, (მოძიებულია 07 ივნისი 2014) <http://news.harvard.edu/gazette/story/2011/12/the-import-of-civic-education/>.

<sup>2</sup> Civic Education. (2007 წლის დეკემბერი 27). მოძიებული 12 ივნისი, 2014, from Stanford Encyclopedia of Philosophy: <http://plato.stanford.edu/entries/civic-education/>

ჩრდილოეთ იტალია, სადაც პოლიტიკური კულტურა თანამონაზღვობისკენ იხრება და სამოქალაქო თვითშეგნება მაღალია, ბევრად უფრო განვითარებულია, ვიდრე სამხრეთ იტალია, სადაც დაბალია მოქალაქეობრივი განცდა და უფრო ლოკალური პოლიტიკური კულტურით ხაიათდება. შესაბამისად, სამოქალაქო განათლების დონე შეიძლება განვიხილოთ, როგორც ქვეყნის განვითარების, სტაბილურობისა და მდგრადობის განმსაზღვრელი ფაქტორი, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება დემოკრატიულ ქვეყნებში, რამდენადაც ესმით მისი მნიშვნელობა და იღებენ კიდეც მისგან დაფებით შედეგს.

სახელმწიფოს და საზოგადოების ინტერესებთან ერთად, სამოქალაქო განათლება შეიძლება განვიხილოთ, როგორც პიროვნების თვითრეალიზების გზა, რამდენადაც მოქალაქის უფლებების და ვალდებულებების, მმართველობის სისტემის, არსებული კანონმდებლობის, საზოგადოებაში მოქმედი სხვა მნიშვნელოვანი აქტორების ცოდნის გარეშე, ადამიანი ვერ შეძლებს თუნდაც კერძო ინტერესებით წარმატების მიღწევას.

სამოქალაქო თვითშეგნების ამაღლება რთული და ხანგრძლივი პროცესია, განსაკუთრებით ისეთი მძიმე ისტორიული მემკვიდრეობის მქონე ქვეყნებისთვის, როგორიც საქართველოა. საბჭოთა კავშირის მოქალაქე სრულიად განსხვავდება ლიბერალურ-დემოკრატიული სისტემის მოქალაქის ცნებისგან. ამიტომ, რთულია უკვე ზრდასრული ადამიანების უმრავლესობაში აბსოლუტურად განსხვავებული აზროვნებისა თუ ურთიერთობების მიდგომები დანერგო. მაგრამ, თუ ალექსის დე ტოკვილის სიტყვებს ისევ გავიხსენებთ, კონსტიტუციური დემოკრატიის მდგრადობას სწორედ თაობათა ცვლის პროცესში განათლების, საჭირო უნარ-ჩვევებისა და ლირებულებების დამკვიდრება განაპირობებს, რაც კიდევ უფრო დიდ როლს იძენს ტრანზიციის მდგომარეობაში მყოფი ქვეყნების შემთხვევაში და ამიტომ, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ახალგაზრდებში სამოქალაქო კულტურის დანერგვას და მათ კარგ მოქალაქეებად აღზრდას.

ერთი შეხედვით, საკმაოდ რთული ჩანს სრულყოფილი სამოქალაქო განათლების მიცემა მოსწავლეებისთვის. თუმცა, ემპირიული გამოცდილება აჩვენებს, რომ სამოქალაქო ჩვევები და ღირებულებები შედარებით ადვილად ახდენს გავლენას და ცვლის ადამიანს ბავშვობის (ახალგაზრდობის) პერიოდში. ამიტომ, სკოლა შეიძლება იყოს ყველაზე ეფექტუანი გზა ამ ცვლილებების განსახორციელებლად. როგორც ემი გატმანი აღნიშნავს, სასკოლო განათლება ადამიანის სწავლების ყველაზე მიზანმიმართული გზაა<sup>1</sup>. ასევე, მოქალაქეობა არის განვითარებადი პროცესი, რომელიც ისწავლება, თუმცა, რატომდაც მიიჩნევა, რომ მოქალაქეობას სწავლება არ სჭირდება და რომ ადამიანს, არსებული ინფორმაციით გადატვირთულ სივრცეში, შეუძლია დამოუკიდებლად შეიძინოს კარგი მოქალაქეობისთვის საჭირო უნარ-ჩვევები. თუ მათემატიკური, ისტორიული, გეოგრაფიული თუ სხვა სფეროების აზროვნების გზები და მეთოდები განავითარა ადამიანმა, რათა უკეთ შეემეცნა სამყარო, რატომ არ შეიძლება სამოქალაქო განათლების სწავლების მეთოდების და მიდგომების დახვენა, რათა მივაღწიოთ სასურველ შედეგს?<sup>2</sup> ამასთან, სახელმწიფოს უპირველესი ინტერესია, ჰყავდეს განათლებული და აქტიური მოქალაქეები, რათა შესაძლებელი გახდეს დემოკრატიული გზით ქვეყნის განვითარების და წარმატების მიღწევა.

„მოქალაქეობა არ არის ის, რასაც სწავლობ, არამედ ის, თუ როგორ ცხოვრობ“<sup>3</sup> - სამოქალაქო განათლება არ გულისხმობს მხოლოდ კონკრეტული ფაქტების, პროცესების თუ მოვლენების სწავლებას. ეს ყოველივე, მხოლოდ შემადგენელი

<sup>1</sup> იხ. იქვე

<sup>2</sup> George, A. M. *Children's Perception of Sarkar, A Critique of Civic Textbooks*. Bhopal: Ekavnya. 2007, p. 72.

<sup>3</sup>Mason, E. The Import of Civic Education. *Harvard Gazette*, 2011, მოძიებულია 08 ივნისი, 2014 <http://news.harvard.edu/gazette/story/2011/12/the-import-of-civic-education/>.

ნაწილია ცოდნისა, რომელიც უნდა გამოიყენო. სწორედ ცოდნის გამოყენების ხელოვნებას, მისთვის საჭირო უნარ-ჩვევების მოსწავლებამდე მიტანას ისახავს მიზნად სამოქალაქო განათლების სწავლება. შედარებისთვის, მათემატიკაში არ ვსწავლობთ მხოლოდ რიცხვებს, არამედ ვსწავლობთ ამ რიცხვებით ანგარიშს, გამოთვლებს, მანიპულაციებს, მათემატიკურ აზროვნებას და მიდგომას, რაც რეალობაში გვჭირდება და გვადგება. ასევე სამოქალაქო განათლებაც, რომელშიც შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტი:

✓ ცოდნა - კონსტიტუციის, პოლიტიკური სისტემის, მოქალაქის უფლებების და ვალდებულებების, დემოკრატიის არსის და ა.შ;

✓ კრიტიკული აზროვნება - ანალიზის, მსჯელობის, არგუმენტაციის, შეფასების, ინფორმაციის გადამოწმების უნარების განვითარება;

✓ უნარ-ჩვევები - პრობლემის მოსაგვარებლად გადასადგმელი ნაბიჯების, მიდგომების, სიტუაციის ანალიზის და მის მიხედვით მოქმედების უნარების გამომუშავება, ერთობლივი, გუნდური მუშაობის, დებატებისა და დისკუსიის კულტურის დანერგვა;

✓ ღირებულებები და დამოკიდებულებები - ადამიანის უფლებების პატივისცემა, ტოლერანტობა, პლურალიზმი, ლიბერალიზმის, დემოკრატიის პრინციპების, სამოქალაქო ეთიკის გააზრება.

საქართველოში კი სამოქალაქო განათლების ამ საკმაოდ რთული და მრავლისმომცველი სისტემიდან ძირითადი აქცენტი ფაქტობრივი მასალის შინაარსზე და რაოდენობაზე კეთდება - რა არის დემოკრატიის არსი, მოქალაქის უფლებები, ხელისუფლების დანაწილების პრინციპები, რა არის ეკონომიკა, როგორია კანონის მიღების პროცედურები. რა თქმაუნდა, ფაქტობრივი ცოდნა ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან მის გარეშე ვერ იმოქმედებ. თუმცა, ცოდნა გამოყენების გარეშე, ვერ იძლევა სასურველ შედეგს - მოსწავლის აქტიურ მოქალაქედ ჩამოყალიბებას. ამიტომ, მნიშვნელოვანია სამო-

ქალაქო განათლების სახელმძღვანელოებში უფრო მეტი პრაქტიკული სავარჯიშო თუ შეთავაზება იქნეს მოყვანილი, რაც უფრო აქტიურს და საინტერესოს გახდის სწავლების პროცესს. 2010 წელს სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამის ფარგლებში ჩატარებულ კვლევაშიც ფიქსირდება, რომ სასურველია სახელმძღვანელოს გაუმჯობესება, რადგან „ზოგიერთი სასკოლო სახელმძღვანელო რთული ენით არის დაწერილი და მოსწავლეებსა და პედაგოგებს უჭირთ საკითხების სწორად გაგება“<sup>1</sup>. გარდა იმისა, რომ მხოლოდ ფაქტობრივ ინფორმაციაზეა მთელი ყურადღება გადატანილი, მისი მიწოდების ფორმებიც არ არის შერჩეული მოსწავლეებისა და მასწავლებლებისთვის გასაგებ ენაზე.

სამოქალაქო განათლების წარუმატებლობა ბევრად უფრო კომპლექსური პრობლემაა, ვიდრე სახელმძღვანელოების ადაპტირების საჭიროება. ზემოთ ჩამოთვლილი ასპექტებიდან კრიტიკული აზროვნების უნარის გამომუშავება, მოქალაქის უნარ-ჩვეულების, ღირებულებებისა და ფასეულობების დამკვიდრება, სცილდება თუნდაც სრულყოფილი სახელმძღვანელოს შესაძლებლობებს. სისტემების და კანონმდებლობის შესახებ ინფორმაცია შესაძლებელია სხვადასხვა საშუალებით მიიღოს ნებისმიერმა ადამიანმა (ტელევიზიით, პრესით, ინტერნეტით). ადამიანები, რომელთათვისაც სამოქალაქო განათლება მხოლოდ ინფორმაციის მიღებასთან ასოცირდება, ვერც კი ხედავენ მისი სწავლების აუცილებლობას. მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოქალაქეობა არ ნიშნავს მხოლოდ ინფორმაციის პასიურ მიმღებლობას, არამედ ქმედებას და ჩართულობას, რომლის გზის ჩვენებაც მასწავლებლის შესაძლებლობებსა და მოტივაციებზეა დამოკიდებული.

<sup>1</sup> სამოქალაქო განათლების საგანი, საქართველოს სკოლებში სამოქალაქო გაკვეთილებზე მიღბული ცოდნის პრაქტიკული გამოყენება. ობილის: PH International. 2011, გვ.28

საქართველოში კი ეფექტიანი სწავლების ერთ-ერთი მთავარი დამაბრკოლებელი გარემოება პედაგოგთა კვალიფიკაციაა - სკოლების თითქმის აბსოლუტურ უმრავლესობაში, სამოქალაქო განათლების სპეციალისტების ნაცვლად, საგანს ისტორიის ან ქართულის მასწავლებელი ატარებს. აյ ერთდღოულად რამდენიმე პრობლემა იჩენს თავსა: 1. მასწავლებელს თავად არ აქვს საგნის კვალიფიციური ცოდნა. შესაბამისად, ის ვერ შეძლებს ცოდნის გადაცემას; 2. საგნის არ ცოდნა მასწავლებლისთვის რთულს და არასასიამოვნოს ხდის საგაკვეთილო პროცესს და, შესაბამისად, სამოქალაქო განათლების გაკვეთილი, მიღებული პრაქტიკით, გადაიქცევა ისტორიის ან ქართული ენის (ეს დამოკიდებულია მასწავლებლის სპეციალობაზე) ფაკულტატურულ გაკვეთილად; 3. ცოდნის ნაკლებობასთან ერთად პრობლემებია სწავლების თანამედროვე და ინტერაქციურ მეთოდებთან დაკავშირებითაც, რის გარეშეც სამოქალაქო განათლების გაკვეთილი წარმოუდგენელია; 4. უმეტეს შემთხვევაში, თავად პედაგოგებს არ აქვთ გააზრებული სამოქალაქო განათლების მნიშვნელობა და არსი.

მასწავლებლებთან დაკავშირებული პრობლემების მნიშვნლობაზე ისიც მეტყველებს, რომ საერთაშორისო კვლევების მიხედვით, კვალიფიციური, მოსწავლეების მიღწევებში კარგად მომზადებული მასწავლებლის ეფექტი უფრო ძლიერია, ვიდრე მოსწავლეთა სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა, ენობრივი, ეთნიკური ბარიერი თუ სხვა ფაქტორები. ამიტომ, მნიშვნელოვანია მასწავლებლთა გადამზადება, მათთვის სამოქალაქო განათლების მნიშვნლობის ახსნა და მოტივირება, რათა უკეთ წარმართონ საგაკვეთილო პროცესი.<sup>1</sup>

პრობლემების აქტუალურობაზე ისიც მეტყველებს, რომ მოსწავლეების საკმაოდ დიდი ნაწილი საგანს

<sup>1</sup> Branson, M. S. Critical Issues in Civic Education. *National Conference for State and District Coordinators*. Washington,DC: 2000, მოძიებულია 02 ივნისი, 2014, [http://www.civiced.org/papers/articles\\_mb\\_june00.html](http://www.civiced.org/papers/articles_mb_june00.html).

სოდ აფასებს და, ამასთან, მათში სამოქალაქო აქტივობის დონე საკმაოდ დაბალია (გამოკითხულ მოსწავლეთა 52% არ სურს აპოლიტიკურ სამოქალაქო აქტივობებში მონაწილეობის მიღება<sup>1</sup> ანუ, რეალურად, არ მიმდინარეობს მოსწავლეების მოქალაქებად ჩამოყალიბების პროცესი, რაც სამოქალაქო განათლების უმთავრესი დანიშნულებაა.

კვლევაში წარმოდგენილ მონაცემებსა და ინფორმაციაზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სამოქალაქო განათლების ის მნიშვნელობა და შესაძლებლობები, რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ, საერთოდ არ არის გაზიარებული ქართულ რეალობაში. კრიტიკული აზროვნების, ინფორმაციის მიღებისა და დამუშავების უნარების, საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესების შეფასების მეთოდების და ამ ყველაფერზე დისკუსიის ნაცვლად, ქართული სამოქალაქო გაკვეთილები, ასეთის ჩატარების შემთხვევაში, მხოლოდ ინფორმაციის პასიურ მიმღებლებად აქცევს მოსწავლეს. ამას ადასტურებს მასწავლებლებისა და მშობლების მიერ გამოთქმული ვარაუდი, რომ მოსწავლეთა მიერ სწავლების დაბალი ხარისხი და საგნისადმი ინტერესის არქონა შეიძლება გამოწვეული იყოს ეროვნულ გამოცდებში სამოქალაქო განათლების ჩაბარების აუცილებლობის არარსებობით. ეს მოსაზრება ცხადად წარმოაჩენს იმ განსხვავებას, რაც სამოქალაქო განათლების საერთაშორისო წარმოდგენასა და ქართულ რეალობას შორის არის; არა მარტო მოსწავლეებს, არამედ პედაგოგებსა და მშობლებსაც არ აქვთ გააზრებული საგნის მნიშვნელობა და საჭიროება. აქედან გამომდინარე, შესაბამისია დამოკიდებულებაც.

სამოქალაქო განათლებისა და კულტურის მხრივ არ-სებული რთული მდგომარეობის მაჩვენებელია სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობები, როგორც უფუნქციონალური მდგრადი მოვლენები.

<sup>1</sup> სამოქალაქო განათლების საგანი, საქართველოს სკოლებში სამოქალაქო გაკვეთილებზე მიღბული ცოდნის პრაქტიკული გამოყენება. თბილისი: PH International, 2011, გვ.39

ბული ინსტიტუტი მაშინ, როცა თვითმმართველობები უნდა იყოს მოსწავლეთა სამოქალაქო აქტიურობის პირველი სივრცე, სადაც გამოცდიან თავიანთ უნარებს და შესაძლებლობებს, დამოუკიდებლად დაგევმავენ და განახორციელებენ საზოგადოებრივ საქმიანობას, ჩაერთვებიან სკოლის საგანმანათლებლო სტრატეგიის დაგევმვაში, კრეატიულად შეაფასებენ არსებულ პრობლემებს და ამ გზით, გაიუმჯობესებენ სწავლის ხარისხსაც და, ამავდროულად, გამოიმუშავებენ მოქალაქეობისთვის საჭირო უნარ-ჩვევებს.

„მოქალაქეებად არ იბადებიან, მოქალაქეობა განვითარებადი პროცესია, რომლის შესწავლაც შესაძლებელია და უნდა ისწავლებოდეს. ბევრი, მაგრამ არა ყველა საზოგადოება აღიარებს ახალგაზრდების, როგორც „მოქალაქე-მოაზროვნის“ განათლების საჭიროებას“<sup>1</sup>. ხელისუფლება და საზოგადოება ბევრად უკეთ ფუნქციონირებს და ვითარდება, როდესაც აქტიურია სამოქალაქო საზოგადოება, სადაც არის ინფორმირებული, მოაზროვნე ამომრჩეველი, ანალიზის და კრიტიკის, თავისუფალი სიტყვის სივრცე, პლურალიზმი და კონკურენცია. მაგრამ ეს ყველაფერი არ მიიღწევა თავისითავად, საჭიროა მუდმივი მუშაობა, მომავალი თაობის აღზრდა იმ ღირებულებებით, რომელიც აუცილებელია დემოკრატიული საზოგადოების არსებობისთვის. სახელმწიფოს და საზოგადოების ინტერესი სწორედ სამოქალაქო კულტურის ჩამოყალიბებისკენ უნდა იქნეს მიმართული, წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერ მივიღებთ იმ სარგებელს, რასაც ლიბერალური დემოკრატია გულისხმობს.

---

<sup>1</sup> *Civic Education*. (2007 წლის 27 დეკემბერი). მოძიებულია 12 ივნისი, 2014, from Stanford Encyclopedia of Philosophy:  
<http://plato.stanford.edu/entries/civic-education/>

# The Importance of Civic Education and Its Problems in Georgia

Keti Murusidze

*TSU, Faculty of Social and Political Sciences,*

*MA student of Political Science,*

*Alumny of*

*“Democracy and Citizenship”*

The importance of civic education is acknowledged in most countries. However, it plays the most important role in the countries with liberal-democratic system and this importance is rising even more for the countries on the path of democratization, such as Georgia. Education has a tremendous role in the processes of civic culture formation in society, political socialization and development. It is the key to the creation of participative civic culture, which is so important for democracy. However, teaching civic education includes various aspect, which are not sometimes fully implemented and thus receiving optimal profit is obstructed.

There are lots of civic education problems in Georgia: lessons are mainly oriented on gaining factual knowledge; textbooks are not adopted on the comprehensible language for students and teachers and this problem was reflected in remarks. The problem of teaching civic education is complex. The most challenging problems are the qualifications of teachers, the failure to use modern methods of teaching and etc.

The research on civic education and additional training program for teachers explicitly show that the Georgian civic education system cannot ensure upbringing of the good citizen and doesn't comply with the internationally recognized norms of civic education. All of this obstructs the training of future

generation as active citizens. It is vital for the Georgian state and society to focus its attention on this important matter.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. Branson, M. S. Critical Issues in Civic Education. *National Conference for State and District Coordinators*. Washington, DC: 2000,  
[http://www.civiced.org/papers/articles\\_mb\\_june00.html](http://www.civiced.org/papers/articles_mb_june00.html).
2. Branson, Margaret Stimmann; Quigley, Charles N;. The Role of Civic Education. Washington, DC, USA. 1998, September
3. *Civic Education*. 2007, 27 დეკემბერი). მოძიებულია 12 ივნისი, 2014, from Stanford Encyclopedia of Philosophy:  
<http://plato.stanford.edu/entries/civic-education/>
4. George, A. M. *Children 's Perception of Sarkar, A Critique of Civic Textbooks*. Bhopal: Eklavya. 2007
5. Kant, Immanuel. Kant on Education (Ueber Padagogik) trans. Churton, Annette. Boston: D.C. Heath and Co., 1900,
6. Mason, E. The Import of Civic Education. *Harvard Gazette*, 2011, <http://news.harvard.edu/gazette/story/2011/12/the-import-of-civic-education/>.
7. სამოქალაქო განათლების საგანი, საქართველოს სკოლებში სამოქალაქო გაკვეთილებზე მიღმილი ცოდნის პრაქტიკული გამოყენება. თბილისი: PH International. 2011

# კონსტიტუციური სამართლებრო მოვალეობა და საკონსტიტუციო სასამართლოს კომპარატივული განვითარები

ნინო ნიშნიანიძე

სამართლის დოქტორი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციის მიღებით, ქართული სახელმწიფო ბრიობის ისტორიაში პირველად ჩაეყარა საფუძველი სრულფასოვან და დამოუკიდებელ სასამართლო ინსტიტუტს, კონსტიტუციური კონტროლის განმახორციელებელ ორგანოს – საკონსტიტუციო სასამართლოს, რომელსაც შესწევს უნარი, კონტროლისა და შეკავების მექანიზმებით გააწონასწოროს ხელისუფლების დანარჩენი ორი საკანონმდებლო და აღმასრულებელი შტოები. საკონსტიტუციო სასამართლოს დაარსებით საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის გზაზე, რადგანაც საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციაში შედის უშუალოდ კონსტიტუციური საკითხების გადაჭრა და მისი ამოცანაა კონსტიტუციასთან კანონებისა და სხვა ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების შესაბამისობის დადგენა.

ცნობილია, რომ კონსტიტუციური იუსდიქციის კომპეტენციასთან დაკავშირებული საკითხები განსაკუთრებით რთულია. ჩვენი ქვეყნის კანონმდებლობა ჯერჯერობით მხოლოდ პრაქტიკულ ამოცანებს წყვეტს. პრაქტიკა კი ვერ გვაძლევს იმ გამოცდილებას, რომელიც მიგვიყვანს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციის სრულყოფილ გააზრებასთან.

საკონსტიტუციო სასამართლოს შექმნით, პრაქტიკულად, განხორციელდა ჩვენი კონსტიტუციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დებულება, რომლის თანახმად, სახელმწი-

ფო ხელისუფლება ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით უნდა ხორციელდებოდეს.

ამგვარად, მე-20 საუკუნის ბოლოს გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯი ქართული სახელმწიფოებრიობის სამართლებრივ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების გზაზე, რომლის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია კანონის უზენაესობა.

კონსტიტუცია კი ქვეყნის ძირითადი კანონია, რომლის უზენაესობის უზრუნველყოფა სამართლებრივი სახელმწიფო მშენებლობის ერთ-ერთი ძირითადი პირობაა. სწორედ ამ ფუნქციის შესრულება ეკისრება დღეს საკონსტიტუციო სასამართლოს, რომელმაც საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებით უნდა უზრუნველყოს ძირითადი კანონის უზენაესობა, ქვეყანაში სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი წესრიგის დამკვიდრება და შესაბამისი სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმირებისთვის ხელის შეწყობა.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციური კონტროლის იმ ჯგუფს მიეკუთვნება, რომელიც მათვის დადგენილ სფეროში უმაღლესი ძალაუფლებით სარგებლობს. სასამართლოს იურისდიქცია ვრცელდება სამართალშემოქმედებაზე, პოლიტიკურ ურთიერთობათა ფართო წრეზე, რეფერენდუმზე, არჩევნებზე, მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებაზე, საერთაშორისო შეთანხმებასა და ხელშეკრულებებზე, პარლამენტის შიდა ცხოვრებაზე, უმაღლესი თანამდებობის პირების იმპირიმენტის პროცედურაზე, ადამიანისა და სახელმწიფოს შორის კონსტიტუციურ ურთიერთობებზე.

საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, მისი ფარგლები, ნორმატიული რეგულირება და სხვა თავისებურებები ხშირად წარმოშობენ პრობლემურ საკითხებს, ამიტომ, საკონსტიტუციო სასამართლოს მუშაობის ეფექტიანობას განაპირობებს მისი კომპეტენციის შემდგომი სრულყოფა, ვინაიდან განვლილი წლების სასამართლო პრაქტიკამ არაერთი პრობლემა დაგვანახა, რომლებიც სათანადო გადაწყვეტას მოითხოვს.

საკონსტიტუციო სასამართლოს ქმედითობას მნიშვნელოვანწილად განაპირობებს მისი კომპეტენცია. დღეს საქართველოში საკონსტიტუციო სასამართლოს უნდა ჰქონდეს ისეთი უფლებამოსილებანი, რაც მას საზოგადოებისთვის რეალურად საჭირო ინსტიტუტად გახდის. ანუ, მას უნდა გააჩნდეს ისეთი საკითხების გადაწყვეტის შესაძლებლობა, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება კონსტიტუციის უზენაესობა და ადამიანის უფლებათა დაცვა. ამ თვალსაზრისით, საჭიროა საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციის გაფართოება.

მსოფლიო მიმოხილვითი ანალიზით დადგინდა, რომ საკონსტიტუციო სასამართლო, როგორც საკონსტიტუციო კონტროლისა და ზედამხედველობის ორგანო, ძირითადი უფლებამოსილების კანონის კონსტიტუციურობის შემოწმების პარალელურად, სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა დამატებით ფუნქციებსაც ახორციელებს. აღნიშნულ კომპეტენციათა კვლევა და მის საფუძველზე საქართველოს საკონსტიტუციო სივრცისთვის პრიორიტეტების გამოკვეთა, საქართველოს კონსტიტუციური სასამართლოს კომპეტენციის ოპტიმიზაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა.

კვლევის პროცესში, მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების საკონსტიტუციო სასამართლოებისა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციათა შედარებითი სამართლებრივი ანალიზით გამოვლენილი პრობლემები, რომელთა გადაჭრა აამაღლებს საქართველოში კონსტიტუციურ მართლმსაჯულების ხარისხს, თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის მიხედვით შემდეგნაირად ჩამოყალიბდა:

საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოს, საკონსტიტუციო სასამართლოს, უნდა გააჩნდეს მკაფრად განსაზღვრული ისეთი უფლებამოსილებები, რითაც პრაქტიკულად განხორციელებადი გახდება ზოგადსახელმწიფოებრივი ფასეულობების სრულფასოვანი დაცვა;

სასამართლო კონტროლის ორგანომ უნდა უზრუნველყოს იმ ნორმატიული ხასიათის კონფლიქტების გადაწყვეტა, რომლებიც მართლზომიერი ქმედების სუბიექტსა და სახელმწიფოს შორის წარმოიშობა. ამ მიმართებით, დასახვენია სასამართლო ხელისუფლების განხორციელების სპეციალური მექანიზმის მოდელი, სადაც საკონსტიტუციო სასამართლოს სპეციფიკიდან გამომდინარე, დაძლეულ იქნება ვერტიკალური კონტროლის უარყოფითი მხარეები;

სასამართლო კონტროლის ორგანოებში “იქმნება სამართალი”. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, დასკვნები, დადგენილებები, განჩინებები უნდა წარმოადგენდენ სამართლის მნიშვნელოვან წყაროს, რაზეც, პრაქტიკულად, დამოკიდებულია ქვეყანაში საკონსტიტუციო-სამართლებრივი რეალიები;

სასამართლო-საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოები უფლებამოსილნი არიან თვალყური ადევნონ ქვეყანაში კონსტიტუციურობის რეუიმს, რომელიც, შესაძლოა, დარღვეულ იქნას ანტიკონსტიტუციური ნორმატიულ-სამართლებრივი აქტის მიღების ან ცხოვრებაში ძირითადი კანონის დებულებების ხორცშესხმის კონკრეტული მექანიზმის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების არარსებობით. იმ შემთხვევაში, თუ საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოები სამართალში ხარვეზებს აღმოაჩენენ, მათ უნდა გააჩნდეთ კანონმდებლობით რეგლამენტირებული კონსტიტუციის განმარტების უფლებამოსილება, რომლის საფუძველზეც მოხდება საკანონმდებლო ხარვეზის აღმოფხვრა.

ასევე, საკონსტიტუციო სასამართლოს უნდა გააჩნდეს საგანგებოდ მინიჭებული საკანონმდებლო ინიცირების უფლება, რაც მოქმედი კანონმდებლობის სრულყოფის საფუძველი გახდება.

ამჟამად კი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, ტიპური კონტინენტური ევროპული მოდელის სასამართლოს მსგავსად, ახორციელებს მომდევნო კონტროლს, რამდენადაც, ის ადგენს უკვე ძალაში შესული ნორმატიული

აქტების შესაბამისობას კონსტიტუციასთან. თუმცა, რატი-ფიცირებას დაქვემდებარებული საერთაშორისო ხელშეკრუ-ლების ან შეთანხმების კონსტიტუციურობის შესახებ გადაწ-ყვეტილების მიღება შესაძლებელია მათ რატიფიცირებამდე. მხოლოდ ამ ერთ შემთხვევაშია უფლებამოსილი საკონსტი-ტუციო სასამართლო განახორციელოს წინასწარი კონსტი-ტუციური კონტროლი.

კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლო უზრუნველ-ყოფს საქართველოს კონსტიტუციის უზენაესობას, კონსტი-ტუციურ კანონიერებას და ადამიანის კონსტიტუციური უფ-ლებებისა და თავისუფლებების დაცვას. კანონის ზოგადი დებულებებით გათვალისწინებული ეს სამი ფუნქცია ერთი პრინციპის ირგვლივ ტრიალებს. ეს პრინციპი გულისხმობს, რომ დაცული უნდა იქნეს ქვეყნის უზენაესი კანონით გათვა-ლინებული ნორმები და პრინციპები, როგორც ერთი მთლიანი სისტემა.

საკონსტიტუციო სასამართლოს ლეგიტიმაციის მა-ლი ხარისხი სწორედ იმაში გამოიხატება, რომ მხოლოდ მან გადაწყვიტოს კონსტიტუციით გათვალისწინებულ კომ-პეტენციებზე წამოჭრილი დავა შესაბამის სუბიექტებს შო-რის და არ დაუშვას კონსტიტუციის დარღვევა.

მსოფლიო პრაქტიკაში მიღებულია ნორმატიულ-სა-მართლებრივი აქტების კონსტიტუციურობის შემოწმება ორი ფორმით: 1. საკონსტიტუციო სასამართლოების მიერ ნორმატიულ-სამართლებრივ აქტებზე განხორციელებული წინასწარი (პრევენციული) და 2. შემდგომი (რეპრესიული) კონსტიტუციური კონტროლი. ორივე კონტროლის სახე გან-ვიხილოთ ცალ-ცალკე, თეორიულად, როგორც პრაქტიკაში რეალიზებადი შესაძლო ვარიანტი.

წინასწარი კონსტიტუციური კონტროლი, ე.ი. კანონე-ბისა და სხვა ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების კონ-სტიტუციისადმი შესამაბისობის შემოწმება მათ ძალაში შეს-ვლამდე არსებობს ავსტრიაში, უნგრეთში, ესპანეთში, იტა-

ლიაში, პოლონეთში, პორტუგალიაში, რუმინეთსა და რიგ სხვა სახელმწიფოებში.

გამაფრთხილებელ სასამართლო-კონსტიტუციურ კონტროლს გააჩნია რიგი უპირატესობები: а) ის იძლევა საშუალებას, ოპერატიულად ავიცილოთ თავიდან კონსტიტუციური კანონიერების დარღვევები; ბ) იცავს კანონმდებლობის პრესტიჟს, რაც შეუძლებელია შემდგომი (რეპრესიული) კონტროლის ჩარჩოები, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლო მიდის კანონის არაკონსტიტუციურობის შესახებ დასკვნამდე და, მაშასადამე, აუქმებს მას. ამასთანავე, ფიქ-სირდება კონსტიტუციური შეცდომა ან კანონმდებლის კონსტიტუციური სამართალდარვევაც; გ) იძლევა საშუალებას თავიდან იქნეს აცილებული ის ნეგატიური შედეგები, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას შემდგომი (რეპრესიული) კონტროლის საფუძველზე უკვე ხანგრძლივად მოქმედი კანონის არაკონსტიტუციურობის ცნობის შემდეგ.

კანონების კონსტიტუციურობის სასამართლო განხილვა მოითხოვს კანონშემოქმედებითი მომენტისგან გარკვეულ დისტანციორებას, რომლითაც, მეტნილად განისაზღვრება პოლიტიკური, ეკონომიკური და კონკურეტული სიტუაციის სხვა ფაქტორები, სახელმწიფოსა და საზოგადოების დინამიური განვითარების დონე. როგორც საკონსტიტუციო სასამართლოების მუშაობის გამოცდილება და სასამართლო-კონსტიტუციური კონტროლის შესახებ კანონმდებლობისა და კონსტიტუციურობის ანალიზი გვიჩვენებს, გამაფრთხილებელ სასამართლო-კონსტიტუციურ კონტროლს დაქვემდებარებული აქტები შეიძლება იყოს:

ა) ნებისმიერი კანონპროექტი (ავსტრია, ბელორუსი, უნგრეთი, გერმანია, ესპანეთი, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინეთი, თურქეთი);

ბ) განსაკუთრებული სახის კანონპროექტები. კონსტიტუციური კანონპროექტი, რომლის საშუალებითაც კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება,

ორგანული კანონები და სხვა (ესპანეთი, იტალია, მოლდოვა, რუმინეთი, თურქეთი);

გ) საერთაშორისო ხელშეკრულებებს მიკუთვნებული კანონები (საქართველო, სომხეთი, უნგრეთი, პორტუგალია, მოლდოვა);

დ) პარლამენტის პალატათა რეგლამენტი (სომხეთი, ბელორუსი, უნგრეთი, პორტუგალია, რუმინეთი);

ე) ადგილობრივი თვითმმართველობის, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა კანონქვემდებარე აქტები (პოლონეთი).

ესპანეთში წინასწარი კონტროლის წესით მოწმდება ორგანული კანონებისა და ავტონომიის შესახებ სტატუსთა პროექტების კონსტიტუციურობა. იტალიაში წინასწარი კონტროლი მთავრობის მოთხოვნით ხორციელდება, ოლქების კანონებთან მიმართებაში მათ გამოქვეყნებამდე.

უნგრეთში, რესპუბლიკის პრეზიდენტი, კანონის საბოლოო ხელმოწერამდე, კონსტიტუციით დადგენილ ვადებში, თხუთმეტი დღის განმავლობაში ან განსაკუთრებულ შემთხვევებში ხუთი დღის ვადაში, კანონს ექსპერტიზისთვის უგზავნის საკონსტიტუციო სასამართლოს. თუ აღმოჩნდება, რომ კანონის რომელიმე დებულება ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, ასეთ შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლო რიგგარეშე სხდომაზე ახდენს მიღებული კანონის ანტიკონსტიტუციურობის კონსტატირებას, ხოლო რესპუბლიკის პრეზიდენტი კანონს უკან უბრუნებს სახელმწიფო სათათბიროს.

პოლონეთის რესპუბლიკის საკონსტიტუციო ტრიბუნალს გამოაქვს გადაწყვეტილება პოლონეთის პარლამენტის, სეიმის მიერ მიღებული იმ საკანონმდებლო აქტების კონსტიტუციასთან შესაბამისობის თაობაზე, რომლებზეც პრეზიდენტის არ აქვთ ხელი მოწერილი და კანონიერ ძალაში არ არის შესული, აგრეთვე, სახელმწიფო ორგანოების მიერ მიღებული ნორმატიული აქტების ქვეყნის ძირითად კანონთან შესაბამისობის თაობაზე. კანონის ხელმოწერამდე პრეზიდენტს შეუძლია წინადადებით მიმართოს საკონსტიტუციო ტრიბუნალს

კანონის კონსტიტუციურობის შემოწმების შესახებ. ამასთანავე, პრეზიდენტს გააჩნია კანონის ძალის მქონე მინისტრთა საბჭოს განკარგულებების კონსტიტუციურობის შემოწმების კუთხით, საკონსტიტუციო ტრიბუნალისათვის მიმართვის უფლებამოსილება; პრეზიდენტის მიმართვით ჩერდება კანონპროექტზე პრეზიდენტის ხელმოწერის 30 დღიანი ვადა. თუ საკონსტიტუციო ტრიბუნალი სადავო კანონს კონსტიტუციის შეუსაბამოდ მიიჩნევს, პრეზიდენტს არ გააჩნია ანტიკონსტიტუციურ კანონზე ხელმოწერის უფლებამოსილება.

რუმინეთის საკონსტიტუციო სასამართლოს წინასწარი კონტროლის წესით გამოაქვს შემდეგი გადაწყვეტილებები:

კანონების კონსტიტუციურობის შესახებ მათ პრომულებისამდე რუმინეთის პრეზიდენტის, პარლამენტის ერთ-ერთი პალატის თავმჯდომარის, მთავრობის, უზენაესი სასამართლოს არანაკლებ 25 სენატორის შუამდგომლობით;

პარლამენტის რეგლამენტების კონსტიტუციურობის შესახებ ერთ-ერთი პალატის თავმჯდომარის, საპარლამენტო ჯგუფის, არანაკლებ 50 დეპუტატის ან არანაკლებ 25 სენატორის შუამდგომლობით;

სავალდებულო წესით კონსტიტუციის გადასინჯვის თაობაზე ინიციატივათა კონსტიტუციურობის შესახებ.

მოლდოვას რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს, წინასწარი კონტროლის განხორციელების მიზნით, მხოლოდ ერთი უფლებამოსილება გააჩნია - გამოხატოს აზრი კონსტიტუციის გადასინჯვის თაობაზე არსებულ წინადადებებზე.

კონსტიტუციის შესაბამისობაზე შემოთავაზებული წინადადებების შემოწმების საზღვრები, კონსტიტუციური კონტროლის თვალსაზრისით მოიცავს:

კონსტიტუციასთან კანონისა და სხვა ნორმატიული აქტების, მათი ცალკეული დებულებების შინაარსის შესაბამისობის შემოწმებას;

კონსტიტუციასთან ნორმატიული აქტის ფორმის შესაბამისობის შემოწმებას;

კონსტიტუციასთან კანონის ან სხვა ნორმატიულ-სა-მართლებრივი აქტების მიღების პროცედურის შესაბამისობის შემოწმებას.

როგორ სახელმწიფოებში კონსტიტუციურ დონეზეა გან-მტკიცებული წესი რეპრესიულ სასამართლო-კონსტიტუციუ-რი კონტროლთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს კონ-სტიტუციური კონტროლის ობიექტთა რიცხვიდან ზოგიერთი სახის კანონის ამოღებას. მაგალითისთვის, ასეთ კანონთა რიცხვს მიეკუთვნება თურქეთში “საგანგებო მდგომარეობის შესახებ” კანონი. ამგვარ ამოღებას შეიძლება თან ახლდეს ნე-გატიური შედეგები: პირველ რიგში, იღახება პარლამენტის მი-ერ მისაღებ კანონებთან მიმართებაში საყოველთაო სასამარ-თლო კონსტიტუციური კონტროლის ზოგადი პრინციპი. მეო-რეც, კონსტიტუციური კონტროლის სფეროდან საგანგებო მდგომარეობის შესახებ კანონთა ამოღებას თან ახლავს ხელი-სუფლების ბოროტად გამოყენების საფრთხე, რომელიც ქვეყ-ნის დემოკრატიულობის ხარისხის მაჩვენებელია და მძიმედ აი-სახება ადამიანის უფლებებზე.

ასეთი საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების პროცესში მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ კანონმდებლის პრესტიჟი. საკონსტიტუციო სასამართლოს შემოწმებას დაქ-ვემდებარებული, ძალაში შესული ნორმატიული აქტების წრის განსაზღვრის კრიტერიუმი - ეს არის სამართლებრივი აქტების ღირებულებითი მნიშვნელობა, რომელიც პირდაპირ აისახება სახელმწიფოს ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების სისტე-მაში (იერარქიაში), რომელთაც გააჩნიათ უმაღლესი იურიდიუ-ლი ძალა (კონსტიტუციის შემდეგ), ესენია პარლამენტის მიერ მიღებული კანონები (კონსტიტუციური, ორგანული და ა.შ.).

პოლონეთის რესპუბლიკის საკონსტიტუციო ტრიბუნა-ლის კომპეტენციაა:

კონსტიტუციასთან საერთაშორისო ხელშეკრულებები-სა და კანონების შესაბამისობის დადგენა;

რატიფიცირებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებ-თან კანონების შესაბამისობის შემოწმება;

კონსტიტუციასთან, უმაღლესი სახელმწიფო ორგანოების მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტების, რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულებების და კანონების შესაბამისობის შემოწმება;

ეროვნული და სხვა უმცირესობების, როგორც სამართლის კოლექტიური სუბიექტების უფლებები, საყოველთაოდ ცნობილია საერთაშორისო სამართალში. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს იურისდიქციას მიეკუთვნება იმ საქმეების გადაჭრა, რომლებიც დაკავშირებულია კონსტიტუციური უფლებების ჩამორთმევასთან და მათი ჩამორთმევის მოცულობის განსაზღვრასთან. იგულისხმება აზრის თავისუფლად გამოხატვის კონსტიტუციური უფლება, იმ შემთხვევაში, თუ ეს უფლება გამოიყენება თავისუფალი დემოკრატიული წეს-წყობილების საფუძვლების წინააღმდეგ ბრძოლისთვის. ძირითადი კანონის თანახმად, ეს პრესის, სწავლების, შეკრებების, კავშირებისა და საზოგადოებების შექმნის თავისუფლებებია. მიმოწერის, საფოსტო, სატელეგრაფო, სატელეფონო და სხვა კავშირი საიდუმლოა, ხელშეუხებელია ასევე საკუთრების უფლება და თავშესაფრის უფლება. საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებათა მოცემული სახე განიხილება, როგორც დაცვადი დემოკრატიის გარანტია. გფრს ძირითადი კანონის ავტორთა განზრახვა მდგომარეობდა ცალკეული ინდივიდების მხრიდან უფლებებისა და თავისუფლებების ბოროტად გამოყენების შემთხვევათა თავიდან აცილებაში, მათი თვითდაშლის საწინააღმდეგოდ.

საკონსტიტუციო სასამართლოსთვის ასეთი უფლების მინიჭება უფრო გამართლებულად ითვლება, ვიდრე ანალოგიური უფლების მინიჭება სხვა ორგანოებისთვის, რომლებსაც შეეძლებოდათ მისი გამოყენება ოპოზიციასთან ბრძოლაში.

საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმებაც სასამართლო-კონსტიტუციური კონფრონლის ორგანოების შემოწმების ობიექტებია (იურიდიული ბუნებით ესენია რატიფიცირებას ან დენონსირებას დაქვემდებარებული საერთაშორისო ხელშეკრულება ან მისი ცალკეული დებულებები).

საერთაშორისო ხელშეკრულებების პრევენციული კონტროლი საქართველოში, ალბანეთში, ბულგარეთში, უნგრეთში, გერმანიაში, ესპანეთში, ლიტვაში, მოლდოვეთში, სლოვენიაში, უკრაინაში, ესტონეთში, აგრეთვე, რიგ არაბულ, აფრიკულ და ლათინურ ამერიკულ სახელმწიფოებში (ალჟირი, გაბონი, კონგო, მადაგასკარი, მალი, სენეგალი, ტუნისი, ჩადი, კოსტარიკა, ჩილე).

რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლოსთვის დამახასიათებელია კონტროლის პრევენციული მეთოდი არარატიფიცირებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებზე. საერთაშორისო ხელშეკრულების ან შეთანხმების შემდგომი (რეპრესიული) კონტროლი დამახასითებელია ავსტრიის, საბერძნეთის, ისლანდიის, ლიტვის, ავღანეთის, ფილიპინების, მავრიტანიის, საკონსტიტუციო სასამართლოებისთვის.

საკონსტიტუციო სასამართლოს სპეციალურ უფლება-მოსიღლებათა არსებობისას, საქმე გვაქვს კონსტიტუციის განმარტების სხვა სახესთან – კონსტიტუციის ოფიციალურ განმარტებასთან. ზოგადად, კონსტიტუციის განმარტება შეუძლია ნებისმიერ ორგანოსა და ნებისმიერ პირს, მაგრამ კონსტიტუციის ასეთი განმარტება სავალდებულო ხასიათს არ ატარებს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ კანონს განმარტავს მისი მიმღები საკანონმდებლო ორგანო, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი განმარტება ყველაზე ზუსტად ასახავს კანონის მნიშვნელობას, აქ საქმე გვაქვს აუთენტურ განმარტებასთან, რომელიც არაპოზიტიურია.

საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება კონსტიტუციის განმარტების თაობაზე, მნიშვნელოვანია სახელმწიფო ხელისუფლების – საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ორგანოთა ურთიერთობის პროცესში. კონსტიტუციის დებულების არაერთგვაროვნად გაგების შემთხვევებში, საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებაა - კონსტიტუციის დაცვა და ის საბოლოო ინსტანციაცაა, რომელსაც გააჩნია კონსტიტუციის განმარტების უფლება.

რიგ სახელმწიფოებში, საკონსტიტუციო სასამართლოებს მინიჭებული აქვთ სხვა უფლებამოსილებებიც, მაგალითად, ავტონომიური წარმონაქმნების, თვითმართვადი ტერიტორიული გაერთიანებების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, კონფესიური საზოგადოებების საქმიანობაში სახელმწიფოს უკანონოდ ჩარევის შემთხვევაში მათი კონსტიტუციური საჩივრების განხილვის უფლებამოსილება (გერმანია, ჩეხეთი, შვეიცარია) და ქვეყნის პრეზიდენტის (მეთაურის) და სახელმწიფოს სხვა უმაღლესი თანამდებობის პირის ქმედითუნარიანობის შემოწმების კომპეტენცია, მათი უფლება-მოსილებების ვადამდე შეწყვეტის საფუძვლების დადგენის საქმის განხილვისას.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ფუნქციონირების პერიოდში წარმოებული საქმეების ცალკეულ კომპეტენციათა მიხედვით, დიფერენცირებული სტატისტიკური ანალიზის გზით ვლინდება, რომ მოსარჩელე ფიზიკური პირები სჭარბობენ იურიდიულ პირებს, ანუ იკვეთება ფიზიკური პირების უფლებების დარღვევის ფაქტები. თავის მხრივ, ვლინდება, რომ მოპასუხე მხარეს უპირატესად წარმოადგენს საქართველოს პარლამენტი. სადავო ნორმატიული აქტების რაოდენობა, სადაც ლომის წილი საქართველოს კანონებზე მოდის, ოთხჯერ ნაკლებია საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებების შესახებ დავებზე. იკვეთება, რომ მოსარჩელე ფიზიკური პირის სადავო აქტის განხილვის საერთო შედეგები იმაზე მეტყველებს, რომ უმეტესობა სარჩელებისა საქართველოს კანონის მიმართ არ იქნა მიღებული არსებითად განსახილველად. ამასთან, სადავო აქტის მოსარჩელე იურიდიული პირის მიხედვით განხილვის შედეგებიდან ჩანს, რომ საქართველოს კანონის მიმართ წარდგენილი სარჩელების უმეტესობა არ იქნა მიღებული არსებითად განსახილველად. ანალოგიური სურათია სადავო აქტის განხილვის შედეგებიდან, მოსარჩელე საერთო სასამართლოს მიხედვით.

სადავო აქტის განხილვის შედეგებიდან მოსარჩელე პარლამენტის წევრების მიხედვით, ვლინდება აქტივობა ცენ-

ტრალური საარჩევნო კომისიისა და პარლამენტის დადგენილებების მიმართ წარდგენილი სარჩელების მხრივ.

ყოველივე ეს საფუძვლად დაედო საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციის სრულყოფის კრიტერიუმების დამუშავებას, რომლის განხორციელებაც, არსებითად, ხელს შეუწყობს საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებისას არსებული ხარვეზების აღმოფხვრას.

ზემოთ მოყვანილი კვლევის საფუძველზე, გამოკვეთილი გარემოებების გამო, საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციის ახალი მოდელის შემუშავებისას, ოპტიმიზაციის ძირითად კრიტერიუმებად უნდა გამოიკვეთოს შემდეგი ფაქტორები:

1. ნორმატიულ-სამართლებრივი აქტებზე წინასწარი ანუ გამაფრთხილებელი (პრევენციული) სასამართლო კონტროლის შემოღება;

2 საქართველოს კონსტიტუციის 67-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებთა არეალში საკონსტიტუციო სასამართლოსთვის, როგორც კონსტიტუციური კონტროლის განმახორციელებელ სახელმწიფო მექანიზმისთვის, საკანონმდებლო ინიცირების უფლების მინიჭება;

3. საქართველოში კონსტიტუციური კონტროლის სამართლებრივი იურისდიქციის მაღალეფექტური განხორციელების მიზნით, რეგიონალური კონსტიტუციური კონტროლის მექანიზმის ჩამოყალიბება და სრულყოფისთვის ერთიანი საკანონმდებლო ბაზის შექმნის აუცილებლობა;

4. გამოქვეყნებული კანონის კონსტიტუციურობის შემოწმების უფლებამოსილების მინიჭება;

5. საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებათა კონსტიტუციურობის შემოწმების კომპეტენციის მინიჭების აუცილებლობა.

# **Constitutional Legal Proceeding and Competences of Constitutional Court**

**Nino Nishnianidze**  
*Doctor of Law*  
*Georgian Technical University*

The article aims to analyze the process of constitutional legal proceeding and competences of constitutional court in Georgia. Such exclusive competences that are shown in the article make constitutional court as a watchdog of human right and main law of country.

## **გამოყენებული ლიტერატურა**

1. მელქაძე, ო., და დვალი, ბ., სასამართლო ხელისუფლება საზღვარგარეთის ქვეყნებში. თბილისი, 2000 წ.
2. ნიშნიანიძე, ნ. კონსტიტუციური იუსტიციის ფილოსოფიური შემეცნების საკითხისათვის. “ადამიანი და კონსტიტუცია”, #2, 1997 წ. გვ. 41-49.
3. კონსტიტუციური სამართალი. ავტორთა კოლექტივის ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი რედაქტორი დემეტრაშვილი ა. თბილისი, 2010წ.
4. საქართველოს კონსტიტუცია, 1995 წ.
5. “საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ” საქართველოს ორგანული კანონი, 1996წ.
6. Gross I. Gruzinska. Constitutionalism in East Central Europe: Discussions in Warsaw. December 14-15, 1992; Budapest, December 17-18, 1992; Prague, January 28-29, 1993; Bratislava: Czecho-Slovak Committee of the European Cultural Foundation, 1994.

# სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მიზანებული ზიანისთვის

კახაპერ ურიადმყოფელი

ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი  
ასისტენტ-პროფესორი

სახელმწიფოს პასუხისმგებლობა სამართლისა და სახელმწიფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტია. მისი რეგულაცია მოცემულია სხვადასხვა საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე აქტში. მრავალფეროვანია საქართველოს სასამართლოების პრაქტიკაც. ადამიანებმა ნელ-ნელა ისწავლეს მიყენებულ ზიანზე სახელმწიფოსთვის პასუხის მოთხოვნა და წლების მანძილზე უკვე დაგროვდა ბევრი საინტერესო და ერთგვარი პრეცედენტი.

სტატიის ძირითადი მიზანია გამოკვეთოს ის ძირეული შემთხვევები, რა დროსაც შეიძლება დადგეს სახელმწიფოს პასუხისმგებლობა.

## სახელმწიფოს პასუხისმგებლობის არსი

ძალაუფლების მატარებელი ხელისუფლება დროდადრო ბოროტად იყენებს მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებებს, სცდება ამ უფლებამოსილებების ფარგლებს ან არ ასრულებს მისთვის დაკისრებულ მოვალეობებს.<sup>1</sup> სახელმწიფოს ჰყავს პოლიცია, ჯარი, პროკურორები, რომელთა მოქმედებამ ან უმოქმედობამ, შესაძლოა, სერიოზული ზიანი მიაყენოს ადამიანებს. სახელმწიფო ახორციელებს მრავალმხრივ ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს, რა დროსაც შეიძლება ადამიანებმა ფიზიკური თუ ქონებრივი ზიანი განიცადონ. სახელ-

<sup>1</sup>Schiemann, K, The State's Liability in Damages for Administrative Action, Fordham International Law Journal, Volume 33, Issue 5, Article 9, 2011, 83. 1548.

მწიფო, თავისი უფლებამოსილებების ფარგლებში, წარმართავს ეკონომიკურ პროცესებს, სადაც დაშვებულმა შეცდომებმა, შესაძლოა, უამრავი ადამიანისა თუ კომპანიის ფინანსური ზარალი და გაკოტრება გამოიწვიოს. სახელმწიფოს უფლება აქვს ჩამოგვართვას საკუთრება აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისთვის. უნდა აგოს თუ არა პასუხი სახელმწიფომ, როცა ის ვერ უზრუნველყოფს მართლწესრიგს, დროული გადაწყვეტილებების მიღებას ან, თუნდაც, გადაადგილებისთვის უსაფრთხო გზების არსებობას?<sup>1</sup>

სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მისი ორგანოებისა და მუშაკების მიერ მიყენებული ზიანისთვის ერთ-ერთი რთული და მნიშვნელოვანი საკითხია ყველა ქვეყანაში.<sup>2</sup> საკითხის სირთულე გამომდინარეობს იქიდან, რომ ერთმანეთს უპირისპირდება სახელმწიფოს (ფინანსური) ინტერესი, მისი ქმედუნარიანობის შენარჩუნების პრინციპი და მოქალაქის უფლებების დაცვის უზრუნველყოფის პრინციპი.<sup>3</sup>

მიუხედავად იმისა, რომ მიყენებული ზიანისთვის პასუხისმგებლობა ჯერ კიდევ რომის სამართლიდან მოდის, მმართველობითი საქმიანობის განხორციელებისას სახელმწიფოს პასუხისმგებლობის ისტორია მხოლოდ მე-19 საუკუნის შუა პერიოდიდან იწყება.<sup>4</sup>

თანამედროვე დემოკრატიული სამყაროსთვის სახელმწიფოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულების განსაზღვრა ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტია.

<sup>1</sup> Dari-Mattiacci, Giuseppe and Garoupa, Nuno M. and Gomez-Pomar, Fernando, State Liability (April 16, 2010). European Review of Private Law, Vol. 18, No. 4, 2010; U Illinois Law & Economics Research Paper No. LE10-005; Amsterdam Center for Law & Economics Working Paper No. 2010-01, gv.1, 3.

<sup>2</sup> ადეივილი და სხვ. ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, 2005, გვ. 324.

<sup>3</sup> ტურავა და წევაპლაძე, ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, 2010, თბილისი, გვ. 143.

<sup>4</sup> Prica Miloš, The states liability in damages for wrongful administrative action, Law and Politics Vol. 10, No 1, 2012, gv. 63.

სახელმწიფოს პასუხისმგებლობას განსაზღვრავს საქართველოს კანონმდებლობაც.

საქართველოში სახელმწიფოს პასუხისმგებლობის არსებობა თვით ქვეყნის უზენაესი კანონიდან გამომდინარეობს. კონსტიტუციის მიხედვით, „ყველასთვის გარანტირებულია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების და თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთაგან უკანონოდ მიყენებული ზარალის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება შესაბამისი სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი თვითმმართველობის სახსრებიდან“.<sup>1</sup>

### **სუბიექტები, რომელთა მოქმედებამაც შეიძლება გამოიწვიოს ზიანი და პასუხისმგებლობის ტვირთი**

ადვილი შესაძლებელია, სახელმწიფო გაკოტრდეს, თუ მას დაეკისრება მისი საკანონმდებლო, აღმასრულებელი თუ მართლმსაჯულების ორგანოების მიერ კერძო პირებისთვის მიყენებული ყველა სახის ზიანის ანაზღაურება. მეორეს მხრივ, ადმინისტრაციულ ორგანოთა პასუხისმგებლობისგან სრულად გათავისუფლების შემთხვევაში დგება სახელმწიფო ადმინისტრაციის თვითნებობისა და, შესაბამისად, სახელმწიფო ორგანოებისა და მათი ჩინოვნიკების მხრიდან კერძო პირთა (მოქალაქეების, სანარმოების, საზოგადოებრივი გაერთიანებების) უფლებების დარღვევის საფრთხე.<sup>2</sup>

საჯარო მოხელე, რომლის ქმედებამაც ზიანი გამოიწვია, უშუალოდ არის პასუხისმგებელი ზიანის ანაზღაურებაზე.<sup>3</sup> ამ შემთხვევაში, სახელმწიფო, ერთის მხრივ, თავიდან იცილებს ცალკეულ მოხელეთა ქმედებებზე პასუხისმგებლობის აღებას, მაგრამ, მეორეს მხრივ, სახელმწიფო პასუხს ვერ

<sup>1</sup> საქართველოს კონსტიტუცია (24/08/1995), მუხლი 42.9.

<sup>2</sup> ადეიშვილი, და სხვ, ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, 2005, გვ. 324.

<sup>3</sup> ტურავა და წერილი, ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, 2010, თბილისი, გვ. 143.

აგებს მისი მოხელეების მიერ ჩადენილ ყოველგვარ ქმედებაზე. სახელმწიფო ვალდებულია აანაზღაუროს ის ზიანი, რომელიც უკავშირდება საჯარო მოსამსახურის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას. მაგალითად, ცხადია, სახელმწიფო ვერ იკისრებს პასუხისმგებლობას, თუკი რომელიმე საჯარო მოსამსახურე საკუთარი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისას დააზიანებს მეზობლის საცხოვრებელ სახლს ან მეზობლად მდებარე მიწის ნაკვეთს.<sup>1</sup>

სოლიდარული პასუხისმგებლობის პრინციპის თანახმად, საჯარო მოხელე, რომლის ქმედებამაც გამოიწვია ზიანი, სახელმწიფოსთან ერთად, სოლიდარულად აგებს პასუხს.<sup>2</sup> აქ იგულისხმება, რომ თუ მოხელე განზრას ან უხეში გაუფრთხილებლობით გამოიწვევს ზიანს, სახელმწიფოს ეძლევა შესაძლებლობა, ზიანის აანაზღაურებით მიყენებული ზარალის ერთი ნაწილი რეგრესის სახით ამოიღოს საჯარო მოხელისაგან.<sup>3</sup>

ქართული კანონმდებლობა პასუხისმგებელ სუბიექტებს ყოფს სახელმწიფო და ადგილობრივ თვითმმართველობად. იქიდან გამომდინარე, რომ ადგილობრივ თვითმმართველობებს გააჩნიათ საკუთარი ბიუჯეტი, მისი თანამდებობის პირის ან სხვა მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისთვის პასუხისმგებელია ადილობრივი თვითმმართველობის ორგანო.<sup>4</sup>

**კანონმდებლობითა და სასამართლოს პრაქტიკით  
განსაზღვრული სახელმწიფოს პასუხისმგებლობის ცალკეული შემთხვევები**

<sup>1</sup> ადეიშვილი, და სხვ. ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, 2005, გვ. 329.

<sup>2</sup> ტურავა, და ნკეპლაძე, ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, 2010, თბილისი, გვ. 143.

<sup>3</sup> ტურავა, და ნკეპლაძე, ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, 2010, თბილისი, გვ. 143.

<sup>4</sup> საქართველოს ზოგადო ადმინისტრაციული კოდექსი (25/06/1999), მუხლი 208.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, როგორც სახელმწიფოს პასუხისმგებლობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი ძირითადი სამართლებრივი აქტი, სახელმწიფოს მიერ მიყენებულ ზიანზე რამდენიმე კონტექსტში საუბრობს. კოდექსის მიხედვით, სახელმწიფო ან ადგილობრივი თვით-მმართველობა პასუხისმგებელია:

- ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირისა ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისთვის;
- თუ კანონიერი აქტით თანასწორობის პრინციპის საწინააღმდეგოდ არსებითი ზიანი მიადგება მხოლოდ რომელიმე კერძო პირს ან პირთა ჯგუფს. მაგალითად, პირს საზოგადოებრივი საჭიროებისთვის ჩამოართვეს მის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი, სადაც გაიყვანეს ავტობანი. მის მეზობლად მდებარე მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს კი მიაჩნია, რომ ავტობანისგან გამოწვეული ხმაური და დაბინძურება ხელყოფს მის უფლებას, ანუ მის საკუთრებას არ შეხებია ჩამორთმევა, მაგრამ გზის გაყვანამ ამ ნაკვეთის მახასიათებლები გააუარესა, რისთვისაც მას შეუძლია მოითხოვოს შესაბამისი ანაზღაურება;<sup>1</sup>
- თუ გაუქმდა აქტი, რომლის მიმართაც პირს გააჩნდა კანონიერი ნდობა, ამ ნდობის საფუძველზე განახორციელებული აქვს იურიდიული მნიშვნელობის ქმედებები და აქტის გაუქმებით მას მიადგება ზიანი (პირმა მიიღო მშენებლობის ნებართვა და დაიწყო სამშენებლო სამუშაოები. მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ მშენებლობის ნებართვა არ უნდა გაცემულიყო, რადგანაც მშენებლობის ადგილი არაა უსაფრთხო. ამ შემთხვევაში პირს შეუძლია მოითხოვოს იმ ზიანის ანაზღაურება რაც მას მიადგება მშენებლობის შეწყვეტის გამო);

---

<sup>1</sup>ტურავა , და წევებლაძე, ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, 2010, თბილისი, გვ. 148.

- საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის, კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის სრული ან ნაწილობრივი დახურვის, აგრეთვე საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლობისას, არასწორი საჯარო ინფორმაციის შექმნისა და დამუშავებისათვის, საჯარო დაწესებულების ან საჯარო მოსამსახურის მიერ ინფორმაციის თავისუფლების კანონით განსაზღვრულ სხვა მოთხოვნათა დარღვევისას.

იმ შემთხვევებისთვის, რასაც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი არ არეგულირებს, შესაძლოა გამოყენებულ იქნეს სამოქალაქო კოდექსი.<sup>1</sup> სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობა პასუხისმგებელია:

- მოქალაქეებთან/კომპანიებთან დადებული სხვადასხვა ტიპის ხელშეკრულების დარღვევის შედეგად დამდგარ ზიანზე (აშშ-მ 1996 წელს გააფორმა 14,650,638 კონტრაქტი რაც ჯამში 197,579,149,000 დოლარის ღირებულებისა იყო. ამ ხელშეკრულებიდან სხვადასხვა სახის სავარაუდო დარღვევისთვის წარმართული დავების შედეგად, ჯამში, სახელმწიფოსგან ზიანის ანაზღაურების სახით მოთხოვნილმა თანხამ ათეულობით მილიარდს მიაღწია);<sup>2</sup>

- დავალების გარეშე სახელმწიფოს საქმეების შესრულების შედეგად დამდგარ ზიანზე (ყოველთვის შეიძლება მოხდეს ისეთი შემთხვევები, როცა სახელმწიფოს კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების მოგვარება გამოუვალი მდგომარეობის გამო იკისრონ სხვა პირებმა. მაგალითად, მოქალაქეს პოლიციის თანამშრომლების ადგილზე მისვლამდე შეიძლება მოუწიოს დამნაშავის შეპყრობა, რომელიც საფრთხეს უქმნის საზოგადოებას. ასეთ დროს, სავსებით შესაძლებელია, პირს ქინებრივი თუ ჯანმრთელობის კუთხით ზიანი მიადგეს. იქი-

---

<sup>1</sup> საქართველოს ზოგადო ადმინისტრაციული კოდექსი (25/06/1999), მუხლი 207.

<sup>2</sup> Daniel R. Fischel & Alan O. Sykes, "Government Liability for Breach of Contract," 1 American Law and Economics Review 313 (1999), gv. 2.

დან გამომდინარე, რომ პიროვნება მოქმედებდა საზოგადო-ებრივი უსაფრთხოების დაცვის მიზნით, რაც, რეალურად, სა-ხელმწიფოს შესაბამისი სტრუქტურების პრეროგატივაა, მას აქვს ლეგიტიმური უფლება, მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება);

• უსაფუძვლო გამდიდრებისას (სახელმწიფომ თავისი უფლებამოსილებების განხორციელებისას, შესაძლოა, არას-წორი მოქმედებითა და გადაწყვეტილებით ფიზიკური თუ იუ-რიდიული პირებისგან მიიღოს ისეთი სარგებელი, რამაც მისი უსაფუძვლოდ გამდიდრება გამოიწვიოს. შესაბამისად, დაინ-ტერესებულ მხარეებს უნდა ჰქონდეთ უფლება, მოსთხოვონ სახელმწიფოს უკანონოდ მიღებული სარგებლის უკან დაპრუ-ნება);

• დელიქტების შედეგად გამოწვეული ზიანისთვის (ასეთ შემთხვევებად შეგვიძლია დავასახელოთ სატრანსპორ-ტო საშუალების ექსპლოატაციის შედეგად დამდგარი ზიანი, ნაგებობიდან გამომდინარე მომეტებული საფრთხით გამოწ-ვეული ზიანი, ცხოველის მიერ მიყენებული ზიანი, შენობის ჩამოქცევით გამოწვეული ზიანი, არასრულწლოვანისა და სუ-ლით ავადმყოფის მიერ მიყენებული ზიანი. მაგალითად, სა-ხელმწიფო სკოლას შეიძლება დაეკისროს ზიანის ანაზღაურე-ბა, თუკი სასახლო დღის განმავლობაში მოსწავლე სკოლას მიატოვებს და დააზიანებს ვინმეს ქონებას; პოლიციის ან სა-ბაჟო სამსახურის სასამსახურო ძალის მიერ მოქალაქის დაკბენის შემთხვევაში ზიანის ანაზღაურება დაეკისრებათ ამ სამსახურებს; თუ ჩამოინგრევა რომელიმე სახელმწიფო დაწე-სებულების შენობა და დაზარალდებიან ადამიანები, სახელ-მწიფომ უნდა იზრუნოს ზიანის ანაზღაურებაზე და ა.შ.);

გარდა ზემოთაღნიშნული პასუხისმგებლობის წარმო-შობის საფუძვლებისა, დროთა განმავლობაში საქართველოს კანონმდებლობის მიერ დადგენილი და სასამართლო პრაქტი-კით დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე, იკვეთება სა-

ხელმწიფოს პასუხისმგებლობის სხვა ერთგვაროვანი შემთხვევებიც. კერძოდ, სახელმწიფო პასუხისმგებელია:

• საკუთრების უფლების შეზღუდვასა და ექსპროპრიაციაზე (აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისთვის, შესაძლოა, საჭირო გახდეს ფიზიკური თუ იურიდიული პირების საკუთრების უფლების შეზღუდვა ან, საერთოდ, ჩამორთმევა. მაგალითად, რკინიგზის გაყვანის მიზნით მოქალაქეებს ჩამოერთვათ მიწის ნაკვეთები. შესაძლოა, გარკვეულმა ქმედებებმა ირიბადაც დააზიანოს საკუთრების უფლება, მაგალითად, გზის სარემონტო სამუშაოების გამო იმ გზაზე არსებულ რესტორანს მოაკლდა კლიენტების რაოდენობა. საკუთრების უფლების შეზღუდვის მახასიათებელია ის, რომ ამ შემთხვევაში პირს შეიძლება გააჩნდეს თმენის ვალდებულება, რადგანაც იმ გარემონტებული გზით მომავალში მანაც უნდა ისარგებლოს. მაგრამ თუ ეს თმენის ვალდებულება ცდება გარკვეულ ფარგლებს, შეიძლება დადგეს ანაზღაურების მიღების საკითხი);

• წინასწარი გამოძიებისა და პროკურატურის ორგანოების, ასევე, სასამართლოს თანამდებობის პირთა მიერ მიყენებული ზიანისთვის (რეაბილიტირებული პირისთვის უკანონო მსჯავრდების, სისხლის სამართლის პასუხისმგებაში უკანონოდ მიცემის, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის უკანონოდ გამოყენების, ადმინისტრაციული პატიმრობის ან გამასწორებელი სამუშაოების სახით ადმინისტრაციული სახდელის არასწორად დაკისრების შედეგად მიყენებულ ზიანს აანაზღაურებს სახელმწიფო, გამოძიების, პროკურატურის ორგანოებისა და სასამართლოს თანამდებობის პირთა ბრალის მიუხედავად. ხოლო განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობისას, ეს პირები სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებენ პასუხს);

• არამატერიალური სიკეთის ხელყოფის შედეგად მიყენებული ზიანისთვის, როგორიცაა პატივის, ლირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვა;

- სოციალურ დაცვაზე (საქართველოს კანონმდებლობით მეტნაკლებად რეგულირებულ სოციალური დაცვის სფეროებში შეგვიძლია გამოვყოთ: პენსია, სახელმწიფო კომპენსაციები, სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიები, სოციალური დახმარებები და შეღავათები; სტიქიური მოვლენების დროს მიყენებული ზიანის ანაზღაურება; ომისა და არეულობის დროს მიყენებული ზიანის ანაზღაურება; პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარება).

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საკმაოდ ფართოა იმ შემთხვევათა რიცხვი, რა დროსაც შეიძლება დადგეს სახელმწიფოს პასუხისმგებლობა. აღნიშნული ინსტიტუტი წარმოადგენს როგორც სახელმწიფოს ვალდებულებას, ისე მოქალაქეთა უფლებას, მოსთხოვონ სახელმწიფოს პასუხი და მიიღონ მიყენებული ზიანის ანაზღაურება. ის, თუ რამდენად ეფექტურად იყენებენ მოქალაქეები კანონმდებლობით მინიჭებულ ამ უფლებას, ცალკე კვლევის საგანია.

## **State Liability for Damage Caused**

**Kakha Uriadmkhofeli**

State liability for damage caused is one of the most important institutions in Law and State life. The regulation provides a variety of legislative and normative acts and the law practice develops day-by-day in this regard. The main aim of this article is to expose core cases where we have a right to appeal and state is liable for damage caused.

## **გამოყენებული ლიტერატურა**

1. ავტორთა კოლექტივი (ადეიშვილი, ვარდიაშვილი, იზორია, კალანდაძე, კოპალეიშვილი, სხირტლაძე, ტურავა, ქიტოშვილი), ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, 2005;
2. ტურავა და წკეპლაძე, ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, 2010, თბილისი;
3. Schiemann, Konrad, The State's Liability in Damages for Administrative Action, Fordham International Law Journal, Volume 33, Issue 5, Article 9, 2011;
4. Dari-Mattiacci, Giuseppe and Garoupa, Nuno M. and Gomez-Pomar, Fernando, State Liability (April 16, 2010). European Review of Private Law, Vol. 18, No. 4, 2010; U Illinois Law & Economics Research Paper No. LE10-005; Amsterdam Center for Law & Economics Working Paper No. 2010-01;
5. Prica, Miloš, The states liability in damages for wrongful administrative action, Law and Politics Vol. 10, No 1, 2012;
6. Fischel, R. Daniel & Sykes, Alan, O. "Government Liability for Breach of Contract ,," 1 American Law and Economics Review 313 (1999);

## **სასამართლოს გადაწყვეტილებები**

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეებზე #5-2005, #11-2005, #4-2007, #6-2007, #6-2008.
2. სუს, #ბს-252-238(კ-07), 28 ნოემბერი, 2007 წელი;
3. სუს, #ბს-860-822(კ-07), 15 იანვარი, 2008 წელი;

4. სუს, #ბს-117-110(კ-07), 24 იანვარი, 2008 წელი;
5. 11.სუს, #ბს-970-943(2 კ-10), 20 ივლისი, 2011 წელი.

## ნორმატიული მასალა

1. საქართველოს კონსტიტუცია (24/08/1995);
2. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი (25/06/1999);
3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი (26/06/1997);
4. საქართველოს ორგანული კანონი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის გადაუდებელი აუცილებლობისას საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ (11/11/1997);
5. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (09/10/2009);
6. საქართველოს კანონი „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ (23/12/2005);
7. საქართველოს კანონი „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ (27/12/2005);
8. საქართველოს კანონი „სოციალური დახმარების შესახებ“ (29/12/2006);
9. საქართველოს კანონი „მაღალმთანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ“ (08/06/1999);
10. საქართველოს კანონი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ (14/06/1995);
11. სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების განსახლების კრიტერიუმების დამტკიცებისა და განსახლების საკითხების მარეგულირებელი კომისიის შექმნის შესახებ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულე-

ბით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლ-ვილთა მინისტრის ბრძანება №779 (13/11/2013);

12. საქართველოს კანონი „ჩერნობილის ატომურ ელექტრო-სადგურზე და სხვა სამხედრო ან სამოქალაქო დანიშნუ-ლების ბირთვულ ობიექტებზე ავარიული სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციის მონაწილეებისა და მათი ოჯა-ხის წევრების სოციალური დაცვის შესახებ” (08/11/2000);
13. საქართველოს კანონი „ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტო-ნომიურ ოლქში კონფლიქტის შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე დაზარალებულთა ქონებრივი რესტიტუ-ციისა და კომპენსაციის შესახებ” (29/12/2006).
14. საქართველოს კანონი „ქ. თბილისში 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამარ-თული მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად დაზარა-ლებულთა აღიარებისა და მათი სოციალური დაცვის გა-რანტიერების შესახებ” (30/04/1999).
15. საქართველოს კანონი „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებ-ლობისათვის დაღუპულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ, მი-ღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახე-ბის სოციალური დაცვის შესახებ” (27/12/1996);
16. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება #197, „თბი-ლისში 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის საცხოვრებელი სახლების აღდგენა-მშენებლობისა და მათთვის მატერია-ლური ზარალის ანაზღაურების გადაუდებელ ღონისძიე-ბათა შესახებ” (28/02/1996);
17. საქართველოს კანონი „საქართველოს მოქალაქეთა პო-ლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ” (11/12/1997);

18. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი (23/07/1999);
19. „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ” საქართველოს კანონი (11/12/1997);

**განათლება დემოკრატიისთვის: უნივერსიტეტი,  
როგორც სამოქალაქო  
იდენტობის ჩამოყალიბების აღგილი**

**თამარ ქარაია**

**ასისტენტ პროფესორი  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

*I have a responsibility as a citizen to my community. It is both as responsibility and a privilege, because as I work to make my community a better place, I receive intrinsic benefits as well.*

*Anna Morton*

კითხვა, თუ რა ქმნის ადამიანს კარგ მოქალაქედ, საუკუნეების მანძილზე ანუხებდათ განმანათლებლებს. ერთის მხრივ, მოქალაქეობა - ეს არის სტატუსი, ფორმალური კავშირი, კუთვნილება სახელმწიფოსადმი, რითაც მოქალაქე იღებს უფლებებს, პრივილეგიას, დაცვას, ვალდებულებას, პასუხისმგებლობას და ა.შ. ხშირ შემთხვევაში, ამ ფორმალური სტატუსის მიღმა იგულისხმება ნაკლებად ოფიციალური და შესაძლოა, მავანთათვის ნაკლებად მნიშვნელოვანი ასპექტები ინდივიდის სოციალური და პოლიტიკური ცხოვრების შესახებ. კერძოდ, რამდენად იყენებს და იცავს ინდივიდი ყოველდღიურ საქმიანობაში სხვათა უფლებებს. როგორია მისი დამოკიდებულება მმართველებისადმი, როგორ აღიქვამს მათ: მშობლად თუ დაქირავებულ მსახურად და ა.შ.<sup>1</sup>

---

<sup>1</sup> კავკასიის ბარომეტრი შეიცავს კითხვას, თუ როგორ აღიქვამენ ხელისუფლებას, როგორც მშობელს, თუ როგორც დაქირავებულს.

თუმცა, სამოქალაქო იდენტობა სახელმწიფოსთვის უმნიშვნელოვანესია, რადგან ამით მოქალაქე აღიარებს და ითავისებს იმ ნორმებსა და ღირებულებებს, რომელიც არსებითა სახელმწიფოსთვის, რომლის მოქალაქესაც ის წარმოადგენს.

იდენტობის ორი ძირითადი ფორმა არსებობს - ეთნიკური და სამოქალაქო და იმ ფაქტზე, თუ რომელ მათგანს აირჩივს სახელმწიფო, დიდად არის დამოკიდებული მისი მომავალი განვითარება. ეთნიკური იდენტობა მიღრეკილია დასურული საზოგადოების მშენებლობისკენ, სადაც პლურალიზმისა და თანაბარი განვითარების შესაძლებლობა მცირდება, მაშინ, როდესაც სამოქალაქო იდენტობა ცდილობს ინდივიდუალური და ნაციონალური თვითიდენტიფიკაციის კომბინაციას. შესაბამისად, უზრუნველყოფს დემოკრატიის სტაბილურ ფუნქციონირებას.

აღნიშნული საკითხის აქტუალურობას განაპირობებს ის ფაქტი, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში ეთნიკურ იდენტობას დომინანტური როლი ჰქონდა, რაც, დიდწილად, სწორედ საბჭოთა კონგლომერანტის შემადგენლობაში ყოფნამ და მის მიერ გატარებულმა იმპერიულმა პოლიტიკამ განაპირობა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, გასაბჭოება შეფასდა, როგორც საბჭოთა რუსეთის მიერ დამოუკიდებელი სახელმწიფოების ანქსია, ხოლო მისი მემკვიდრეობისგან განთავისუფლება ნაციონალური პროექტის უმთავრესი ამოცანა გახდა. მემკვიდრეობა კი მრავალგვარი იყო და შეეხებოდა საზოგადოების ყველა სფეროს, მათ შორის, რასაკვირველია, იდენტობის საკითხსაც. მოცემულ სიტუაციაში რაიმე სახის

	ხელისუფალი, როგორც მშობელი	ხელისუფალი, როგორც დაქირავებული
2010	47%	41%
2011	54%	35%
2012	48%	40%
2013	43%	48%

წყარო: კავკასიის ბარომეტრი 2010,2011,2012,2013 წლის მონაცემები. (მოძიებულია 21.05.2014) <http://caucasusbarometer.org/en/datasets/>

სამოქალაქო, ლიბერალური ელემენტების შეტანა აღნიშნულ პროექტში ძალზედ რთული და თითქმის შეუძლებელი იყო. გარდა ამისა, საბჭოთა ხელისუფლება ხელს უშლიდა სამოქალაქო საზოგადოების ნებისმიერი სახით გამოვლინებას და მეტიც, საზოგადოების ატომიზაციისა და ეთნიკურ ნიადაგზე გაერთიანებას უწყობდა ხელს.<sup>1</sup> კიდევ ერთი არგუმენტი, რომელიც პოსტსაბჭოთა სივრცეში ეთნიკური იდენტობის დომინანტობას ეხება, არის დამოუკიდებელი სახელმწიფო-ებრიობის მცირე გამოცდილება, რომელიც დემოკრატიული და ლეგალური ინსტიტუციების არსებობას გულისხმობს. ინსტიტუციური ვაკუუმის შევსების საშუალებად აღნიშნული ტიპის საზოგადოებაში ეთნიკური იდენტობა გვევლინება.<sup>2</sup>

საქართველოს, როგორც პოსტსაბჭოთა სახელმწიფოს, სრულიად შეესაბამება ზემოთაღნერილი სიტუაცია. თუმცა, 2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ მოსულმა ხელისუფლებამ მიზნად დაისახა, ეთნიკური და სამოქალაქო იდენტობების შესახებ დისკურსი სახელმწიფო პოლიტიკის საფუძვლად ექცია. საქართველოს მულტიეთნიკური შემადგენლობის გათვალისწინებით, ამ საკითხს სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს, რამდენადაც ეთნიკური ნაციონალიზმი ხელს უწყობს საზოგადოების დანაწევრებას და ეთნიკური უმცირესობების ნარმომადგენლებში სეპარატისტული განცყობების გაღვივებას, მაშინ, როდესაც სამოქალაქო ნაციონალიზმი, რომელზე გადასვლის ამბიციაც საქართველოს ხელისუფლებას აქვს, მხარს უჭერს პლურალიზმსა და ტოლერანტობას, უარყოფს ეთნიკურ კონფლიქტებსა და დისკრი-

<sup>1</sup> Schopflin G. Nationalism and ethnicity in Europe, East and West, in Kupchan Ch. Nationalism and ethnicity in the New Europe, Ithaca: Cornell University Press. 1996, p. 153.

<sup>2</sup> Gellner E, Nations and Nationalism. 7<sup>th</sup> edition. Blackwell Publishing Ltd, Oxford; 1983, Snyder J. Ballentine K, (1996), Nationalism and the Marketplace of Ideas, *International Security*, Vol. 21, no. 2

მინაციას და ხელს უწყობს ერთიანი სახელმწიფოებრივი აზ-როვნების ჩამოყალიბებას, რაც ესოდენ მნიშვნელოვანია დღევანდელი საქართველოსთვის.

სამოქალაქო იდენტობის ჩამოყალიბებისას, სახელმწიფო პოლიტიკა ვლინდება საგანმანათლებლო დაწესებულებებში და განსაკუთრებით, უნივერსიტეტში, სადაც სტუდენტები ღებულობენ არა მხოლოდ პროფესიულ განათლებას, არამედ ეზიარებიან ღირებულებებს და თავად ქმნიან ერთგვარ სოციალურ კაპიტალს, რომლის მაღალი დონე პირდაპირ კავშირშია სამოქალაქო იდენტობის ჩამოყალიბებასთან. აქვე გავნმარტავ, რომ სოციალური კაპიტალი ეს არის ინსტიტუტები, ურთიერთობები და ნორმები, რომლებიც საზოგადოებაში ხარისხობრივ და რაოდენობრივ სოციალურ ურთიერთქმედებას ქმნიან. ბოლო პერიოდში, სულ უფრო მეტი მკვლევარი ამტკიცებს, რომ სოციალური კაპიტალი ხელს უწყობს ეკონომიკური კეთიდლეობის ზრდას და დემოკრატიული ინსტიტუტების ეფექტურ ფუნქციონირებას. მკვლევრები ამტკიცებენ, რომ განსხვავებები პოლიტიკურ მონაწილეობაში განაპირობებს განსხვავებებს „სამოქალაქო ერთობაში“, რომელიც ინტერპრეტირებულია, როგორც ეთნიკური სოციალური კაპიტალის რაოდენობა (ძირითადად, ოპერაციონალიზდება ცნებაში - ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლების ასოციაციებში მონაწილეობა). კვლევებზე დაყრდნობით მათ დაასკვნეს, რომ ეთნიკურ ნებაყოფლობით ასოციაციებში ჩართვა ქმნის სოციალურ ნდობას, რომელიც გადაიზრდება პოლიტიკურ ნდობასა და პოლიტიკური მონაწილეობის უფრო მაღალ დონეში.<sup>1</sup>

CRRC-სის კვლევის თანახმად, საქართველოში სოციალური კაპიტალის დონე თავისებურია. თუკი გამოვიყენებთ პატნერის ტიპოლოგიზაციას, დავასკვნით, რომ საქართვე-

<sup>1</sup> Fennema M. Tillie J. (1999). Civic Community, Political Participation and Political Trust of Ethnic Groups. Institute for Migration and Ethnic Studies University van Amsterdam. CONNECTIONS 24(1): 26-41

ლოში მაღალი მაჩვენებელი აქვს ე.ნ. ვალდებულებით კაპიტალს, რომელიც მჭიდროდ ურთიერთდაკავშირებულ ჯგუფებს შორის, ნდობის, სოლიდარობისა და ურთიერთდახმარების სახით ვლინდება, მაგრამ დამაკავშირებელი სოციალური კაპიტალის დონე, რომელიც ზომავს უცხოებთან სხვადასხვა ქსელსა და კოორპორაციაში ჩართვას - დაბალია.<sup>1</sup>

განათლებისა და სოციალური კაპიტალის კორელაციაზე არაერთი კვლევა მიუთითებს<sup>2</sup>, რამდენადაც განათლების პროცესის სწორად წარმართვას შეუძლია არა მხოლოდ ადამიანური და ეკონომიკური კაპიტალის ზრდა, არამედ სოციალური კაპიტალის დონის მნიშვნელოვნად მატებაც. აღნიშნული პროცესის წახალისება შესაძლებელია სამი საშუალების გამოყენებით, კერძოდ:

- ✓ სტუდენტების უნარების განვითარება სოციალური კაპიტალის უმთავრეს ასპექტებში, როგორიცაა თანამონაწილეობა და თანაზიარობა;
- ✓ ეს არის ფორუმი საზოგადოებრივი აქტივობებისთვის;
- ✓ სამოქალაქო განათლების საშუალებით სტუდენტები იაზრებენ თანამონაწილეობის პასუხისმგებლობას;<sup>3</sup>

---

<sup>1</sup> An assessment of social capital in Georgia (2011) Caucasus Research Resource Centre

[http://www.crrc.ge/uploads/files/research\\_projects/CRRC\\_Social\\_Capital\\_Briefing\\_Paper.pdf](http://www.crrc.ge/uploads/files/research_projects/CRRC_Social_Capital_Briefing_Paper.pdf) (მოძიებულია 21.05.2014)

<sup>2</sup> Heyneman, Stephen P. Education and Training: The Commercial Perspective, Northern Policy Research Review and Advisory Network on Education and Training (NORRAG) News Vol. 27 (December 2000) 22-24.

<sup>3</sup> Social Capital and Education. World Bank. (მოძიებულია 02 . 06. 2014) <http://web.worldbank.org/WBSITE/EXTERNAL/TOPICS/EXTSOCIALDEVELOPMENT/EXTSOCIALCAPITAL/0,,contentMDK:20186584~isCURL:Y~menuPK:418214~pagePK:148956~piPK:216618~theSitePK:401015,00.html>

საგანმანათლებლო დაწესებულებების, როგორც სო-ციალური კაპიტალის ზრდის ერთ-ერთი უმთავრესი მაპრო-ვოცირებლის ფუნქცია გულისხმობს, როგორც საშუალო გა-ნათლების საფეხურს (იგულისხმება უშუალოდ სწავლის პროცესი, ასევე სამეურვეო საბჭოები, ასოციაციები; ხოლო უნივერსიტეტის შემთხვევაში ასეთად სტუდენტური თვით-მმართველობა და სხვა არაფორმალური გაერთიანებები შე-იძლება განვიხილოთ), ასევე უნივერსიტეტს, სადაც ისწავ-ლება არაერთი კურსი, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტებ-ში დემოკრატიული ღირებულებების განვითარებას. ყოვე-ლივე ეს აღნიშნულ ქსელებში ჩართვის და სოციალური კა-პიტალის გაზრდის საშუალებაა.

საუნივერსიტეტო კურსებს შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია სამოქალაქო განათლების კურსი, რომლის პირდაპირი დანიშნულებაა გახდეს აქტიურ მოქალაქეთა სამ-ჭედლო, ხელი შეუწყოს სტუდენტთა ჯგუფების შექმნას, და-ეხმაროს სხვა სტუდენტებს - ჩაერთონ სამოქალაქო აქტივო-ბებში და კიდევ უფრო გააფართოვონ თავიანთი სამოქმედო პროგრამები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სამოქალაქო განათლების სწავლება, ერთის მხრივ, ასევე წარმოადგენს სტუდენტების, როგორც მოქალაქეების სამოქალაქო უფლებების დაცვას. მოგეხსენებათ, მათ აქვს პოზიტიური სამოქალაქო უფლება, ჩაერთონ გადაწყვეტი-ლების მიღების პროცესში, მოითხოვონ ანგარიში პოლიტი-კური ინსტიტუტებიდან და, რაც მთავარია, განათლების უფლების ქონა გულისხმობს, რომ მათ უნდა იცოდნენ და ჰქონდეთ საშუალება ისწავლონ, თუ როგორი უნდა იყოს დე-მოკრატიული სახელმწიფოს მოქალაქე.

სამოქალაქო უნარების ჩამოყალიბება აუდიტორიაში სპეციფიური სასწავლო ტექნიკების გამოყენებით ხდება. მო-ლოდინი, რომ სტუდენტი გახდება კარგი მოქალაქე თუ მას

უბრალოდ მოვუყვებით, როგორი უნდა იყოს მოქალაქე, ან რა კარგია მოქალაქეობა - გაუმართლებელია. რადგანაც, კარგი ფეხბურთელი ვერ გახდება ფეხბურთზე წიგნების კითხვით. სამოქალაქო განათლების შესახებ კვლევები უჩვენებს, რომ რამდენადაც ეფექტურია ტრადიციული სასწავლო გარემო, ორმაგად ეფექტურია ინტერაქციული ე.ნ. “სწავლება კეთებით” (learning by doing) ლექციები, რომელიც საშუალებას იძლევა გაცილებით ეფექტურად მოხდეს სტუდენტებში ღირებულებების განტკიცება და უნარ-ჩვევების გამომუშავება. მაგრამ, ამავე დროს, არ არის საკმარისი მხოლოდ სალექციო აქტივობების გამოყენება, არამედ, საჭიროა სხვადასხვა კლასგარეშე აქტივობის ჩართვა სწავლების პროცესში, რათა სტუდენტების სამოქალაქო ჩართულობა საკლასო გარემოდან თემში გადავიდეს და ამით, ხელი შეუწყოთ არა მხოლოდ მათ გააქტიურებას, არამედ, თავად საზოგადოებაში ჩართულობის ფენომენის პოპულარიზაციას.

და, რაც უმთავრესია, საჭიროა აქტივობები, რომელიც სტუდენტებს პრობლემის სხვადასხვა პერსპექტივით დანახვის საშუალებას მისცემს და განუვითარებს კონსენსუსამდე მისვლის ხელოვნებას. ჯვუფური მუშაობის პროვოცირება განსხვავებული ეთნიკური და რელიგიური შემადგენლობის ჯვუფებში (ეს საქართველოს მულტიეთნიკურობიდან გამომდინარე, იშვიათი არ არის. ამასთანავე, უნივერსიტეტებში 4+1 პროგრამის დანერგვამ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელთა რიცხვი მნიშვნელოვნად გაზარდა) ხელს შეუწყობს სოლიდარობის, განსხვავებული შეხედულების მიღების და გაზიარების უნარ-ჩვევების განვითარებას და, რაც მთავარია, გუნდური მუშაობა ხელს უწყობს საერთო სარგებლის მიღებისთვის მუშაობის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას, რაც სასიცოცხლოდ აუცილებელია საქართველოს-თვის.

როლური თამაშები და პრეზენტაციები სტუდენტებს სხვადასხვა პრობლემატური საკითხის ფორმულირების, საზოგადოებისთვის გაცნობის, დებატების უნარ-ჩვევებს უყა-

ლიბებს. გარდა ამისა, როლური თამაშები არის კარგი საშუალება - დავანახოთ სტუდენტებს, თუ რამდენად განსხვავებული და მრავალფეროვანია საზოგადოება, რომელშიც ვცხოვრობთ და რამდენად საჭიროა მშვიდობიანი ცხოვრებისთვის სხვათა განსხვავებული აზრის პატივისცემა. გარდა ამისა, აუდიტორია შესაძლებელია გავხადოთ სახელმწიფოს მცირე მოდელი, სადაც აქტიური ცხოვრება გახდება დიდ საზოგადოებაში აქტიურობის ხელშემწყობი ფაქტორი.

სამოქალაქო განათლების კურსის ფარგლებში სტუდენტები ანხორციელებენ სასწავლო პროექტებს, რასაც, თავის მხრივ, სარგებელი მოაქვს სამოქალაქო იდენტობის ჩამოყალიბებისთვის. კერძოდ,

- 1) სტუდენტები მაღლევე ხედავენ თავიანთი შრომის შედეგს, შეუძლიათ მოახდინონ ამ აქტივობის შესრულების მონიტორინგი და ასევე, შეუძლიათ შეაფასონ და იზეიმონ თავიანთი მიღწევები;
- 2) სამოქმედო სივრცის აუდიტორიიდან საზოგადოებაში გადატანა გავლენას ახდენს მისი ჩართულობის მაჩვენებელზე და ზრდის მოტივაციას და შესაძლებლობას, რომ ჩაერთოს სხვა პრობლებებზე მუშაობის პროცესშიც;
- 3) საზოგადოებისთვის სასარგებლო პროექტის განხორციელების პროცესში განეული ძალისხმევა უნვითარებს მოქალაქეობის ხედვას. ასევე, ცვლის მათ დამოკიდებულებას სხვადასხვა მარგინალიზებული და სუბჯეტუალისადმი;
- 4) უნარ-ჩვევები, რომელიც საჭიროა პოლიტიკურ სისტემაში მანევრირებისთვის, ხშირად, რთულია შეისწავლო აუდიტორიაში. საზოგადოებრივი პრობლემის გადაჭრისთვის განეული ძალისხმევა სტუდენტს აძლევს სხვადასხვა არასამთავრობო, სამთავრობო, თუ დონორ ორგანიზაციასთან მუშაობის უნარ-ჩვევებს და გრძნობას, რომ ეს უკანასკნელნი ჩვეულებრივი მოკვდავთათვისაც მიღწევადი არიან და მომავალშიც, საჭიროების შემთხვევაში, შეუძლია მიმართოს მათ. რაც მთავარია, უნვითარდებათ რწმენა, რომ მათ შეუძლიათ

ზემოქმედება მოახდინონ, შეცვალონ საზოგადოებაში მიმ-დინარე პროცესები.

თუმცა, ასევე კვლევებმა აჩვენა, რომ პროექტის გან-ხორციელება ეფექტურია იმ შემთხვევაში, თუ ის კომბინი-რებულია ისეთ სხვადასხვა სასწავლო ტექნიკასთან, როგო-რიცაა დისკუსიები, პრეზენტაციები და ა.შ.

გარდა ამისა, აქტივობები არ უნდა ატარებდეს ეპი-ზოდურ ხასიათს, უნდა ქონდეს აქტიური კონტაქტი საზოგა-დოებასთან და არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ იმ პროექ-ტით, რომელსაც ახორციელებს, არამედ უნდა ჩაერთონ სხვა თანატოლთა მიერ დაგეგმილ პროექტებშიც. შესაძლოა, სტუდენტების მიერ განხორცილებული პროექტები არ იყოს მომართული თემში არსებული სერიოზული პრობლემების გადასაჭრელად, მაგრამ მათი ნებისმიერი მცდელობა, მონა-წილეობის მიღება გამწვანების, დასუფთავების თუ საზოგა-დოებაში კონკრეტული პრობლემისადმი ყურადღების მიპ-ყრობისთვის არის უაღრესად ფასეული.

კარგ მოქალაქეს, იდეალურ ვარიანტში, უნდა შეეძ-ლოს კრიტიკული აზროვნება, ინფორმაციის მოძიების გაანა-ლიზების, კონტექსტის ამოცნობის, წყაროს შეფასების უნა-რი, ასევე, ამ ინფორმაციის არგუმენტირებულად წერილო-ბით თუ ვერბალურად პრეზენტირების უნარი. უნდა შეძლოს სხვებთან თანამშრომლობა და კონსენსუსზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღება.

ეს არის ის უნარები, რომელიც საქართველოს მოქა-ლაქეს განურჩევლად სქესის, ეთნოსის, მრნამსისა და სხვა განმასხვავებელი ნიშნებისა, უნდა გააჩნდეს. ეს არის ის უნა-რები, რომლის გაცემა შეუძლია უნივერსიტეტებს და მათ ეს უნდა გააკეთონ, რადგან ამაზეა დამოკიდებული ჩვენი მომა-ვალი.

გარდა ამისა, უნივერსიტეტი არის მომავლის საზოგა-დოების მშენებელი, რამდენადაც წერს დაფაზე, რომელიც ჯერაც სუფთაა და იმაზე, თუ რას დავწერთ ამ დაფაზე, დი-

დად არის დამოკიდებული ჩვენი მომავალი განვითარება და შესაძლოა არსებობაც კი.

## **Education for Democracy: University as a Place for Civic Identity Development**

**Tamar Karaia**

After the collapse of Soviet Union, former Soviet republics faced a transformation of their identities developed during the Soviet period. This process includes changes of identities from ethnic to civic categories. This paper analyses a role of civic education in the process of civic identity development. The civic nationalism is conformable to democracy as a maker of broad area for co-existent nations based on national diversity principles. In contrast, ethnic nationalism glossed as illiberal, particularistic and exclusive leading to the formation of closed societies. The latter is unacceptable for modern Georgia due to declared goals to build democratic state institutions that are expected to make a shift from ethnic to civic nationalism. Civic identity, characterized as liberal, voluntary and inclusive, is not developed in isolation. Rather, it is formed in the context of engagement with social, political and economic structures within society. Therefore, social capital becomes an essential precondition of the civic identity formation. This research is more oriented to use R. Putnam's theory of Social Capital. In line with Putnam's definition, social capital here refers to features of social organization, such as trust, norms, and networks that can improve the efficiency of society by facilitating coordinated actions.

Education institutions at the secondary as higher levels are valuable tools to promote the identity transformation process. In this regard, education fosters social capital-rich networks. Social capital is produced through education in three fundamental ways: students practice social capital skills, such as participation and reciprocity; educational institutions provide forums for community activity; and through civic education students learn how to participate responsibly in their society.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. კავკასიის ბარომეტრი 2010,2011,2012,2013 წლის მონაცემები. კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი.  
<http://caucasusbarometer.org/en/datasets/> (მოძიებულია 21.05.2014)
2. An assessment of social capital in Georgia (2011) Caucasus Research Resource Centre  
[http://www.crrc.ge/uploads/files/research\\_projects/CRRC\\_Social\\_Capital\\_Briefing\\_Paper.pdf](http://www.crrc.ge/uploads/files/research_projects/CRRC_Social_Capital_Briefing_Paper.pdf) (მოძიებულია 21.05.2014)
3. Fennema M. Tillie J. (1999). Civic Community, Political Participation and Political Trust of Ethnic Groups. Institute for Migration and Ethnic Studies University van Amsterdam. CONNECTIONS 24(1): 26-41
4. Gellner E, Nations and Nationalism. 7th edition. Blackwell Publishing Ltd, Oxford; 1983, Snyder J. Ballentine K, (1996), Nationalism and the Marketplace of Ideas, *International Security*, Vol. 21, no. 2
5. Heyneman, Stephen P. Education and Training: The Commercial Perspective, Northern Policy Research Review

and Advisory Network on Education and Training (NORRAG) News Vol. 27 (December 2000) 22-24.

6. Schopflin G. Nationalism and ethnicity in Europe, East and West, in Kupchan Ch. Nationalism and ethnicity in the New Europe, Ithaca: Cornell University Press. 1996, p. 153.Social Capital and Education.
7. Social Capital and Education. World Bank. (გვიქანდულია 02 . 06. 2014)  
<http://web.worldbank.org/WBSITE/EXTERNAL/TOPICS/EXTSOCIALDEVELOPMENT/EXTTSOCIALCAPITAL/0,,contentMDK:20186584~isCURL:Y~menuPK:418214~pagePK:148956~piPK:216618~theSitePK:401015,00.html>

**სამოქალაქო საზოგადოებასა და სახელმიწოდებელი  
შორის ურთიერთობის ფორმები და სასიათო  
თანამედროვე საქართველოში**

**მაია წურწუმია**

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის,  
სოციალურ და პოლიტიკურ  
მეცნიერებათა ფაკულტეტი,  
პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების  
ასისტენტ პროფესორი

სამოქალაქო საზოგადოების იდეა განსაკუთრებით აქტუალური გახდა 1980—იანი წლებიდან. სხვადასხვა თეორეტიკოსი თუ მკვლევარი ცდილობდა სამოქალაქო საზოგადოების კონცეფცია აღმოსავლეთ ევროპასა და ლათინურ ამერიკაში დაწყებული დემოკრატიზაციის პროცესის კონტექსტში აეხსნა და წარმოედგინა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომი ცვლილებები დემოკრატიის და სამოქალაქო საზოგადოების დამკვიდრების ლოზუნებით წარიმართა.

საკითხის აქტუალობას განაპირობებს ჩვენი ქვეყნის მისწრაფება - დაამკვიდროს არა მხოლოდ დემოკრატიის მინიმალური სტანდარტი, რომელიც კონკრეტულ კანდიდატებს შორის არჩევანის გაკეთების შესაძლებლობას გულისხმობს, არამედ მოახდინოს დემოკრატიის შემდგომი კონსოლიდაცია, რაც აუცილებლად გულისხმობს სიცოცხლისუნარიანი სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებას, სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის ურთიერთობის სტაბილური ფორმატის არსებობას.

ნაშრომის მიზანია აღწეროს სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის ურთიერთობების ფორმები და, ამის საფუძველზე, ახსნას ამ ურთიერთკავშირის ზეგავლენა სამოქალაქო საზოგადოების დღეს არსებულ ტიპზე. ამ მიზნით, გაანალიზებულ იქნა თემის გარშემო არსებუ-

ლი ძირითადი თეორიული მიმართულებები, ანალიტიკური პუბლიკაციები, ჩატარებული კვლევები და სტატისტიკური მონაცემები.

სამოქალაქო საზოგადოების ცნება ახალი არ არის და ის საუკუნეების განმავლობაში წარმოადგენდა დიდი თეორიული დებატების საგანს. სამოქალაქო საზოგადოების შესახებ განსხვავებული კონცეფციები წარმოდგენილია არისტოტელეს, ლოკის, მონტესკიეს, ჰეგელის, ფერგიუსონის, ტოკვილის და სხვათა შრომებში. ადრეული ევროპული პოლიტიკური ფილოსოფიის წარმომადგენლები სამოქალაქო საზოგადოებას სახელმწიფოსა და საზოგადოების ურთიერთობის კონტექსტში განიხილავდნენ. აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო საზოგადოების ცნება დიდი ხნის განმავლობაში აღიქმებოდა, როგორც სახელმწიფოს სინონიმი. ამასთან, სახელმწიფოს თანამედროვე გაგება, როგორც ერი–სახელმწიფოსი, რომელიც ცალკე მდგომი ინსტიტუტია და გამოყოფილია ეკონომიკისგან, ისევე როგორც ეკლესიის და ნებაყოფლობითი საზოგადოებრივი აქტივობისგან, უფრო გვიანდელი პროდუქტია და მისი ფორმირება მხოლოდ რეფორმაციის პერიოდში დაიწყო. ამ პერიოდიდან ხდება სწორედ სამოქალაქო საზოგადოების და სახელმწიფოს ცნებების დაშორიშორება.

სოციალურ და პოლიტიკურ თეორიაში გავრცელებულია სამოქალაქო საზოგადოების ფართო და შედარებით უფრო ვიწრო, ინსტიტუციონალური მიდგომები. გაფართოებული გაგებით, სამოქალაქო საზოგადოება არის საზოგადოების განსაზღვრული ტიპი, რომელიც საფუძვლად უდევს დემოკრატიულ ინსტიტუციონალურ მოწყობას. ამ მოსაზრებას ავითარებს ფ. ფუკუიამა, ასევე ე. გელნერი. ეს უკანასკნელი თვლის, რომ სამოქალაქო საზოგადოება არსებობს

მხოლოდ დასავლურ იდივიდუალისტურ საზოგადოებებში და ისიც 1945 წლის შემდეგ.<sup>1</sup>

მეორე მხრივ, ავტორთა დიდი ნაწილი, მათ შორის თანამედროვე მკვლევრები: ლ. დამონდი, მ. ჰოვარდი, ჯ. ერენბერგი, სამოქალაქო საზოგადოებას, განსაზღვრავენ, როგორც ასოციაციურ ცხოვრებას და ასოციაციების ერთობლიობას, სადაც ინდივიდები საერთო საზოგადოებრივი სარგებლის მისაღწევად კოლექტიურად მოქმედებენ. სამოქალაქო საზოგადოების გაერთიანებებს ახასიათებს ნებაყოფლობითობა და სახელმწიფოსგან ავტონომიურობა.

საქართველოში თანამედროვე ტიპის სამოქალაქო გაერთიანებებზე საუბარი 1990-იანი წლებიდან, ჩვენი ქვეყნის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების პერიოდიდან იწყება. „საქართველოში სამოქალაქო საზოგადოებას, ხშირად, მოიაზრებენ, როგორც „არასამთავრობო ორგანიზაციათა ხშირ ქსელს“. ისინი, როგორც გია ნოდია აღნიშნავს, „სამოქალაქო საზოგადოების არსებობის ძირითად ფორმად იქცნენ: ამას შეიძლება ვუწოდოთ სამოქალაქო საზოგადოების „ენჯიოზაცია“<sup>2</sup>. საქართველოში სამოქალაქო საზოგადოებაზე საუბარი შესაძლებელია უფრო მეტად მისი ცალკეული ინსტიტუტების ფუნქციონირების განხილვის საფუძველზე, ვიდრე როგორც გარკვეულ სოციალურ კატეგორიაზე, რომელიც ლიბერალურ - დემოკრატიული საზოგადოების ტიპს წარმოადგენს, რაზეც ე. გელნერი მიუთითებს. ამდენად, ჩვენი შემდგომი მსჯელობა სამოქალაქო საზოგადოების შესახებ საქართველოში, ეყრდნობა მის ინსიტუციონალურ მიდგომას. თემაში უმთავრესად, წარმოდგენილია სამოქალაქო საზოგადოების ძირითადი ინსტიტუტის, არასამთავრობო ორგანიზაციების მოღვაწეობის ანალიზი.

<sup>1</sup> Conditions of Liberty: Civil Society and Its Rivals by Ernest Gellner, London: Hamish Hamilton, 1994, p.212

<sup>2</sup> ნოდია, გ. სამოქალაქო საზოგადოების განვითარება საქართველოში: მიღწევები და გამოწვევები, თბილისი, 2005, გვ.15

სამოქალაქო საზოგადოების თეორეტიკოსები მიიჩნევენ, რომ ეს ცნება არ ხვდება ოჯახის, ბიზნესის და სახელმწიფოს სფეროებში. ის არ მოიცავს პიროვნულ, ოჯახურ და ნათესაურ კავშირებს, პირადი სარგებლის მიღებისთვის წარმოებულ ჯგუფურ აქტივობას, არამედ მოთავსებულია საჯარო სივრცეში და მიზნად ისახავს ისეთი საზოგადოებრივი სიკეთის მიღწევას, რომელიც სცდება ახლობლურ-პიროვნული ურთიერთობების საზღვრებს და ეხება ადამიანთა უფრო ფართო წრეს. რაც შეეხება ბიზნესს და სამოქალაქო საზოგადოებას, ბიზნესისგან განსხვავებით, სამოქალაქო საზოგადოების მიზანი არ არის მოგების მიღება. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები არ არიან მოგებაზე ორიენტირებული. „მიღებული სახსრები არ ნაწილდება ორგანიზაციის წევრებს შორის, არამედ უნდა ჩაიდოს ორგანიზაციის მისიაში“<sup>1</sup>

ბევრი ავტორისთვის სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის საზღვრების გამოკვეთა დიდ გამონვევასთან არის დაკავშირებული. ამ ორი კატეგორიის კონცეპტუალური და ინსტიტუციონალური ისტორიის კვალდაკვალ, მათ შორის არსებული საზღვარი იცვლება და საკმაოდ ბუნდოვანი ხდება. სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტებს შორის მთავარი განსხვავება მათ მიზნებში უნდა ვეძიოთ. სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტები სახელმწიფოსგან განსხვავებით, მიზნად არ ისახავს ხელისუფლებაში მოსვლას, მმართველობითი ფუნქციის განხორციელებას, არამედ მისი მიზანია გავლენის მოხდენა, „სახელმწიფო ხელისუფლების შეზღუდვის ბაზისის უზრუნველყოფა“.<sup>2</sup> სამოქალაქო საზოგადოების არსებობისა და განვითარებისთვის აუცილებელია სახელმწიფოს არსებობა, რომელიც ქმნის სამართლებრივ წესრიგს, „სივრცეს, სადაც სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფები და ასოციაციები ყალიბ-

<sup>1</sup> წურწუმა, მ, სამოქალაქო საზოგადოება, თბილისი, 2011, გვ.15

<sup>2</sup> Diamond Larry, Developing Democracy: Toward Consolidation, The John Hopkins University Press, 1999, p.220

დება და ახორციელებს საკუთარ აქტივობას. მთავრობა ადგენს სამოქალაქო საზოგადოების ლეგალური სტატუსის ელემენტებს, უფლებებს, პასუხისმგებლობებს.<sup>1</sup>

სამოქალაქო საზოგადოებას ოპტიმალური განვითარებისთვის სჭირდება დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფო, თუმცა, ის შეიძლება არადემოკრატიული რეჟიმის პირობებშიც არსებობდეს ჩანასახოვანი ფორმით და მიზნად ისახავდეს მის დემოკრატიზებას. სამოქალაქო საზოგადოება სამართლებრივი სახელმწიფოს პირობებში მისი პარტიიორი ხდება და შესაძლოა, სახელმწიფოს გარკვეული ფუნქციების შესრულებაც აიღოს საკუთარ თავზე. თუმცა, მისი აქტიურობა ყველაზე მეტად ვლინდება მაშინ, როდესაც სახელმწიფო არღვევს ადამიანის ტრადიციულ უფლებებს. ამ შემთხვევაში სამოქალაქო საზოგადოება ძლიერი წინააღმდეგობის გამწევ ძალად იქცევა, რომელიც ასრულებს ერთგვარი შემაკავებელი ბერკეტის როლს, სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან საკუთარი უფლებამოსილების გადამეტების საპასუხოდ.

საქართველოში სამოქალაქო საზოგადოება, ექსპერტთა შეფასებით, არ შექმნილა „ქვემოდან“, როგორც მრავალფეროვანი საზოგადოებრივი ინტერესების და მოთხოვნილებების არტიკულაციის და განხორცილების სფერო. არაფორმალური გაერთიანებები და კავშირები კომუნისტური რეჟიმის შესუსტების და შემდგომ დაშლის ფონზე სახელმწიფო აპარატის ძალაუფლების საწინააღმდეგოდ ჩამოყალიბდა. დანარჩენ საზოგადოებასთან სუსტი კავშირის და გავლენის (რასაც სამოქალაქო კულტურის დაბალი დონე განაპირობებს), ასევე მოღვაწეობის ფრაგმენტული ხასიათის გამო, ის ვერ იქცა მთელი საზოგადოების ინტერესების წამომადგენლობის და გამოხატვის ასპარეზად. ამასთან, ვინაიდან რესურსების დიდი ნაწილი კონცენტრირებულია სახელმწიფოს ხელში, სამოქალაქო საზოგადოებისთვის ცვლილე-

<sup>1</sup> The Oxford Handbook of Civil Society, edited by Michael Edwards, 2011, p.286  
122

ბების მიღწევის ერთადერთი გზა სახელმწიფო სტრუქტურებთან თანამშრომლობა და მათზე ზენოლაა. ამდენად, საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ერთ-ერთ მთავარ პარტნიორად და სამიზნე ჯგუფად რჩება არა მოქალაქე(ები), არამედ სახელმწიფო ხელისუფლება.

თანამედროვე ტიპის სამოქალაქო საზოგადოება საქართველოში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არასამთავრობო ორგანიზაციების და მეტნაკლებად დამოუკიდებელი მედიის სახით იწყებს განვითარებას 90-იანი წლებიდან. პირველი არასამთავრობო ორგანიზაციები საქართველოში შეიქმნა 1992–93 წლებში. იმ პერიოდში არსებული მძიმე სოციალური და ეკონომიკური პირობების ფონზე, არასამთავრობო ორგანიზაციები უმთავრესად დასავლური ფონდების ფინანსური დახმარებით არსებობდა. 1998 წელს გამოცემულ ცნობარში, „საქართველოს პოლიტიკური სისტემა“, აღნიშნულია, რომ „მხოლოდ წევრთა ენთუზიაზმით მოქმედი ორგანიზაციები იშვიათია, უმრავლესობა ეძებს და პოულობს ფინანსურ მხარდაჭერას საერთაშორისო ფონდებიდან.“<sup>1</sup> ფონდებმა: „ლია საზოგადოება – საქართველო“, „ევრაზია“, „პორიზონტი“ განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს საქართველოში სამოქალაქო სექტორის განვითარების საქმეში. განვითარების საწყის ეტაპზე სახელმწიფო ხელისუფლება ფაქტიურად არ ერევა და არც გამოთქვამს რაიმე განსაზღვრულ პოზიციას არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ. ისინი, თითქოს, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად არსებობენ. ამ პერიოდს ზოგიერთი ექსპერტი „ოაზისურს“<sup>2</sup> უწოდებს იმ თვალსაზრისით, რომ ის ემთხვევა შედარებით სტაბილიზაციის დამყარებას. სექტორი ვითარდება იზოლირებულად – არც მთავრობა ერევა მის საქმიანობაში და არც ის ერევა მთავრობის საქმიანობაში. ეს არის არასამთავრობო ორგანიზაციათა გამრავ-

<sup>1</sup> საქართველოს პოლიტიკური სისტემა, (ცნობარი), თბ. 1998, გვ. 52

<sup>2</sup> მესამე სექტორი და პოლიტიკური პარტიები, თბილისი, 2003, გვ.54

ლების ხანა. მათმა რიცხვმა რამდენიმე ათასს მიაღწია, თუმცა, დიდი ნაწილი მხოლოდ ქალალდზე არსებობდა, ასრულებდა ერთ ან ორ პროექტს და გრანტის არქონის შემთხვევაში წყვეტდა მუშაობას.

1995 წლიდან სამოქალაქო სექტორში უკვე გარკვეულწილად ყალიბდება ერთიანი კორპორატიული აზროვნება. ის თანდათანობით, ერთ-ერთი ანგარიშგასაწევი ძალა ხდება საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ძალთა ურთიერთქმედების პროცესში. არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის შედეგების გაშუქება დაიწყო მასმედიამ, მათ ხშირად მოიხსენიებენ სხვადასხვა საინფორმაციო პროგრამასა თუ ანალიტიკურ პუბლიკაციაში. „სხვადასხვა პროფილის NGO-თა ქსელებმა მოიცვა საქართველოს მთელი ტერიტორია (თვითგამოცხადებული აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკების გარდა).“<sup>1</sup> 1995-2001 წლებში სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების ურთიერთობაში თანამშრომლობა და კონფრონტაცია ერთმანეთს ენაცვლება. ყალიბდება სახელმწიფო ხელისუფლებასა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის ურთიერთობის თავისებური სტილი, რომელიც მოიცავს როგორც თანამშრომლობის, ასევე კრიტიკის და წინააღმდეგობის გაწევის ელემენტებს. ხელისუფლება, მეტწილად, სამოქალაქო სექტორის ინსტიტუციონალური განვითარების თვალსაზრისით ხელშემწყობ გარემოს ქმნის. არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები მონაწილეობენ სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოსთან არსებულ საკონსულტაციო საბჭოსა თუ სადამკვირვებლო ორგანოში, ასევე, მნიშვნელოვან სახელმწიფო თუ საერთაშორისო პროგრამაში. ისინი აყენებენ საკანონმდებლო ინიციატივებს, ანხორციელებენ დამოუკიდებელ ექსპერტიზას. სახელმწიფო მიიღო უამრავი ინიციატივა, რომელიც სამოქალაქო

<sup>1</sup> Civil Society and the Rose Revolution in Georgia, Publication of the International centre on Conflict and Negotiation, edited by George Khutishvili, Copyright © 2008 by ICCN, p.24

სექტორში აღმოცენდა. მაგალითად, შეიძლება დასახელდეს ანტიკორუფციული კომიტეტის შექმნა (რომელიც დაკომპლექტდა 6 მაღალი თანამდებობის პირისგან და 6 არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლისგან), „თავისუფლების ინსტიტუტის“ მიერ მომზადებული კანონპროექტი „სიტყვისა და პრესის თავისუფლების შესახებ“ და ა. შ. სახელმწიფოსა და მესამე სექტორს შორის თანამშრომლობის წარმატებად შეიძლება ჩაითვალოს 1999 წელს ადმინისტრაციული კოდექსის მიღება, რომელმაც შედარებით გაადვილა საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.

სამოქალაქო საზოგადოებასა და სახელმწიფო ხელისუფლებას შორის ჩამოყალიბებული ურთიერთობის ფორმები 2001 წლიდან, საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების მოახლოების პერიოდიდან იცვლება. არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საზოგადოების დიდი ნაწილისთვის უკვე ცხადი შეიქმნა, რომ არსებული მთავრობა ვერ უზრუნველყოფდა დემოკრატიული პრინციპების და ღირებულებების ცხოვრებაში დამკვიდრების ხელშეწყობას. სახელმწიფო ინსიტუტები განიცდიან ხრწნას, კორუფცია აღწევს ყველა სამთავრობო სტრუქტურაში. ცხადი ხდება საქართველოში დამკვიდრებული რეჟიმის არადემოკრატიული ხასიათი, რომელიც კრიტიკულ დამოკიდებულებას პირველ რიგში სამოქალაქო სექტორის მხრიდან იწვევს. ამდენად, 2001–2003 წლები სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების ურთიერთობაში აშკარა დაპირისპირების პოლიტიკას ეფუძნება. ამ შემთხვევაში, ყველაზე აქტიური არასამთავრობო ორგანიზაციები იმ დროინდელი პოლიტიკური ოპოზიციის მოკავშირედ მოგვევლინენ. 2001 წლის ოქტომბერში კი, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობით ეწყობა საპროტესტო აქციები ტელეკომპანია რუსთავი 2 -ის დასაცავად, რასაც შემდგომში მთავრობის გადადგომა მოჰყვა. მთავრობის მხრიდან არასამთავრობო ორგანიზაციებზე გაძლიერებული შეტევა დაიწყო, რადგან ხელისუფლებამ მის წინააღმდეგ მიმართული გარკვეული საფ-

რთხეები დაინახა. ადგილი ჰქონდა ორგანიზაციების შევიწროების მცდელობებს. მაგალითად, 2002 წლის 10 ივლისს 20 კაციანი სადამსჯელო რაზმის შეჭრა „თავისუფლების ინსტიტუტის“ ოფისში, არასამთავრობო ორგანიზაციათა დისკრედიტაცია, მათი „გრანტიჭამიებად“ მონათვლა და ა. შ. თავის მხრივ, არასამთავრობო ორგანიზაციები განაგრძობენ მთავრობის კრიტიკას. სამოქალაქო სექტორმა თავისი წვლილი შეიტანა 2003 წელს ხელისუფლების შეცვლაში. მათ არჩევნების მონიტორინგით, პარალელური დათვლების, ოფიციალური შედეგების გასაჩივრებით, ფაქტობრივად, შევარდნაძის ხელისუფლება არალეგიტიმურად და არაკანონიერად გამოაცხადეს.

2003 წლის შემდგომ, საზოგადოებაში გაჩნდა ერთგვარი ეჭვი, რომ ახალი ხელისუფლება და მესამე სექტორი ზედმეტად დაუახლოვდებოდა ერთმანეთს და შეიქმნა გარკვეულწილად მათი ერთმანეთთან გაიგივების საფრთხე. ამგვარი ეჭვის არსებობას ხელს უწყობდა ისიც, რომ მესამე სექტორის ბევრი ცნობილი სახე გადავიდა ხელისუფლებაში და მათ სახელმწიფო თანამდებობები დაიკავეს. თუმცა, საბოლოო ჯამში, ამგვარი ვარაუდი არ გამართლდა. ხელისუფლების მიერ 2004 წლის თებერვალში განხორციელებული საკონსტიტუციო ცვლილებები არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან მკაცრი კრიტიკის საგანი გახდა. თანდათანობით, ცხადი გახდა, რომ სახელმწიფო ხელისუფლებასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის ურთიერთობა თანამშრომლობისა და კონფრონტაციის რეჟიმს დაუბრუნდა. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები თვალყურს ადევნებენ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს, პროტესტს გამოთქვამენ სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული კონკრეტული ქმედებების მისამართით ან პირიქით, თანამშრომლობენ სახელმწიფო ინსტიტუტებთან საკანონმდებლო ინიციატივების წამოყენების და განხორციელების თვალსაზრისით. ისინი ახორციელებენ არჩევნების მონიტორინგს, პოლიტიკურ პარტიებთან და სახელმწიფო სტრუქ-

ტურქთან ერთად მუშაობენ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების საკითხებზე. ასევე, მონაწილეობენ კანონპროექტების შექმნის პროცესში. სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების საფუძველზე შეიცვალა სამოქალაქო საზოგადოების მებრძოლი ხასიათი და ჩამოყალიბდა ისეთი გარემო, სადაც შესაძლებელი გახდა მშვიდობიანი ცვლილებების მიღწევა კონსტიტუციითა და კანონმდებლობით განსაზღვრული გზით.

სამოქალაქო საზოგადოების და სახელმწიფოს ურთიერთობების ხასიათის ზოგადი ტენდენციების გაანალიზებით, დადასტურებულ იქნა ჩვენს მიერ ნაშრომის თეორიულ ჩარჩოში სამოქალაქო საზოგადოების სახელმწიფოსგან ავტონომიური სტატუსის შესახებ გამოთქმული მოსაზრება. ასევე, ნაჩვენები იქნა, რომ სამოქალაქო საზოგადოება ასრულებს სახელმწიფო ძალაუფლების შეზღუდვის და კონტროლის ფუნქციას, მაგრამ გარკვეულ პირობებში, ის ლოიალურია სახელმწიფო ხელისუფლების მიმართ და მის დამხმარედ, პარტნიორადაც გვევლინება.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ პოლიტიკური და საკანონმდებლო გარემო საქართველოში, რომელსაც სახელმწიფო ხელისუფლება განსაზღვრავს, ძირითადად, ხელს უწყობს სამოქალაქო საზოგადოების განვითარება. თუმცა, მათ შორის აქტიური კომუნიკაციური პროცესის მიუხედავად, სამოქალაქო საზოგადოების გავლენა სახელმწიფოზე ჯერჯერობით მაინც სუსტია.

## **Nature and Relationships Dynamics between Civil Society and the State in Contemporary Georgia**

**Maia Tsurtsimia**

In Georgia, one of the main partners and target groups for civil society is the state. The process of formation of the civil society as non-governmental organizations and more and less independent actors began in the 1990s. Civil society and the state actually operated separately from each other on early stage of development of civil society. The public sector has gradually become one of the important actors in the process of the interaction of social and political forces. The relationship between the state power and non-governmental organizations has formed in a peculiar style, which includes collaboration, as well as elements of criticism and resistance. The political and legal environments that is determined by the state mainly supports civil society development in Georgia. There is an active communication process among them, although the impact of civil society on the state is still weak.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. მუსხელიშვილი, მარინა, „სამოქალაქო საზოგადოება: შედარებითი ანალიზი“, თბილისი, 2006
2. ნოდია, გია. „სამოქალაქო საზოგადოების განვითარება საქართველოში: მიღწევები და გამოწვევები“, თბილისი, 2005

3. „საქართველოს პოლიტიკური სისტემა“, (ცნობარი), თბილისი, 1998
4. „საზოგადოებრივი ორგანიზაციები საქართველოში – განვითარების დინამიკა და ტენდენციები“, თბილისი, 2010
5. ნურნუმია მაია, „სამოქალაქო საზოგადოების ფორმირება საქართველოში“, თბილისი, 2006
6. ნურნუმია მაია, „სამოქალაქო საზოგადოება“, თბილისი, 2013
7. Civil Society: The Critical History of an Idea. By John Ehrenberg. New York: New York University Press, 1999
8. Civil Society and the Rose Revolution in Georgia, Publication of the International centre on Conflict and Negotiation, edited by George Khutsishvili, Copyright © 2008 by ICCN.
9. Conditions of Liberty: Civil Society and Its Rivals by Ernest Gellner (London: Hamish Hamilton, 1994)
10. Edwards Michael Civil Society, Polity press, 2009
11. Diamond Larry, Developing Democracy: Toward Consolidation, The John Hopkins University Press, 1999
12. Howard Marc Morje, The weakness of Civil Society in Post-Communist Europe, Cambridge University Press. 2003
13. The Oxford Handbook of Civil Society, edited by Michael Edwards, 2011
14. Коэн Дж. Л. Арато Э. Гражданское общество и политическая теория. Пер. с англ.\ Общ. ред. И.И. Мюрберг. – М.: Издательство «Весь Мир», 2003

**სპორტის საეციალისტთა გოგზადებისა და  
სპორტული ინფრასტრუქტურის  
სისტემის განვითარების ზოგიერთი ასპექტი  
საქართველოში**

**გიორგი ჭილაძე**

ახოცირებული პროფესორი,  
სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი

უმაღლესი სპორტული განათლების სისტემაში მწვრთნელთა მომზადებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. საქართველოს სინამდვილეში მოცემულმა სისტემამ უნდა უზრუნველყოს სპორტის მასწავლებლებისა და პროფესიონალი მწვრთნელების მომზადება.

სპორტის მასწავლებელთა მომზადება უნივერსიტეტებში უნდა უზრუნველყოფეს მათ შემდგომ დასაქმებას შრომის ბაზარზე. ამჟამად, სპორტის მასწავლებელთა მომზადების საბაკალავრო საუნივერსიტეტო პროგრამები, მათი წარმატებით დასრულების შემდეგ, შესაბამის პირებს უფლებას აძლევს, რომ მწვრთნელებად იმუშაონ სასკოლო და საუნივერსიტეტო სპორტულ კლუბებში.

სპორტის სპეციალისტთა მომზადების სისტემის ერთ-ერთ რგოლს უნდა წარმოადგენდეს სპორტის მასწავლებლებისთვის ლიცენზირების პროგრამის წარმატებით ათვისებაში ხელის შეწყობა. აღნიშნული უნდა განხორციელდეს იმ მიზნით, რომ შესაბამისი პირობების წარმატებით დაკმაყოფილების შემდეგ, მათ სპორტის კონკრეტული სახეობის ეროვნული სპორტული ფედერაციისგან პროფესიონალი მწვრთნელის ლიცენზია/კატეგორია მიიღონ. ალბათ, ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, უახლოეს პერსპექტივაში საჭირო იქნება უნივერსიტეტებსა და სპორტულ ფედერაციებს შორის მემორანდუმების გაფორმება და მის ფარ-

გლებში ერთობლივი ძალისხმევის განხორციელება, რათა ბაკალავრიატის დამამთავრებელი კურსის სტუდენტებსაც, უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში, მიეცეთ ამ ტიპის ლი-ცენზის/ კატეგორიის მიღების შესაძლებლობა.

კიდევ ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს პრაქტიკული გამოცდილების მქონე სპეციალისტთა გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების საკითხი. ლოგიკურია, რომ სპორტის მასწავლებლების გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების კურსები, უპირველეს ყოვლისა, უნდა შეიქმნას უშუალოდ სპორტული პროფილის მქონე უმაღლესი სასწავლო დაწესებულების, კერძოდ კი საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე. თუმცა, პროფესორ-მასწავლებელთა კვალიფიცირებული კადრების ნაკლებობას არ განიცდიან შესაბამისი ტრადიციების მქონე საქართველოს სხვა უნივერსიტეტებიც (მაგალითად, სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იაკობ გოგებაშვილის სახელმობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი და სხვ.). სწორედ ამიტომ, ამ და სხვა უნივერსიტეტებში სპორტული ფაკულტეტის/პროგრამების არსებობის პირობებში, ჩემი აზრით, შესაძლებელი იქნება აღნიშნული კატეგორიის კურსების ორგანიზება. თუმცა, საკითხის წარმატებით გადაჭრისთვის აუცილებელი იქნება პროფესორ-მასწავლებელთა კონფინგურულის მნიშვნელოვნად გაზრდა, ახალი კადრების მოზიდვა და აკადემიური კონკურსების ჩატარება.

სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტში (2014-2020), ჩემი მოსაზრებით, სადაც შეიძლება იყოს ავტორთა პოზიცია მსგავსი კურსებისთვის მასიურად სავალდებულო ხასიათის მინიჭების თაობაზე. ცხადია, ამ დროს მნიშვნელოვანი უნდა იყოს როგორც სკოლის პედაგოგთა საბაზისო და მიმდინარე კვალიფიკაციის, აგრეთვე მათი გადამზადებისთვის რეალური სასწავლო ბაზის, სასწავლო პროგრამების შემუშავების და აკრედიტაციის, ასევე საჭირო

რაოდენობით პროფესიონალი ტრენერების არსებობის საკითხი. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ დოკუმენტის ავტორების ჩანაფიქრით, ამ ტიპის კურსების ამუშავების შედეგად იგი უნდა გაიროს ყველა სკოლის ფიზიკური აღზრდის მასწავლებელმა, რაც, ჩემი აზრით, შორს არის დღეს არსებული რეალობისგან.

მიმდინარე ეტაპზე, პროფესიონალ მწვრთნელებს საქართველოში მოამზადებს შესაბამისი სახეობის ეროვნული სპორტული ფედერაცია. იგი უფლებამოსილია, რომ გასცემს შესაბამის ლიცენზია /კატეგორია.

სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტის (2014-2020) მიხედვით, საჭიროა ამაღლდეს მუნიციპალურ სპორტულ კლუბსა და ადგილობრივ სპორტულ სკოლაში ბავშვთა მწვრთნელებად მუშაობის მსურველ პირთა კვალიფიკაცია. კერძოდ, ასეთი უფლება მიენიჭებათ მხოლოდ დიპლომირებულ სპორტის მასწავლებლებს, რომლებსაც შესაბამისი სახეობის სპორტული ფედერაციისაგან მიღებული ექნებათ შესაბამისი კატეგორიის პროფესიონალი მწვრთნელის ლიცენზია. ცხადია, რომ მწვრთნელთა მომზადების მსგავსი მექანიზმი ახალი გამოწვევების წინაშე დააყენებს საქართველოს სპორტულ ფედერაციებს. ეს ეხება როგორც ორგანიზაციულ, ისე მატერიალურ, სასწავლო და ხარისხობრივ მაჩვენებლებს, ვინაიდან პროფესიონალ მწვრთნელთა ლიცენზირების სისტემა უნდა შეესაბამებოდეს შესაბამისი სახეობის საერთაშორისო ფედერაციის სტანდარტებს და ნორმატივებს.

მნიშვნელოვანია აგრეთვე, პროფესიული სპორტული კლუბებისთვის მწვრთნელების მომზადების საკითხი, რაც შესაბამისი სახეობის სპორტული ფედერაციების კომპეტენციის სფეროს განეკუთვნება. სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს პროფესიონალ მწვრთნელთა მომზადებას პროგრამული დაფინანსებით.

სპორტის მიმართულებით აუცილებელია, რომ მნიშვნელოვნად გადამუშავდეს ეროვნული სასწავლო გეგმები. ეს ეხება სპორტის გაკვეთილებს როგორც უმაღლეს საგან-

მანათლებლო დაწესებულებებში, ისე ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიულ საგანმანათლებლო და სკოლამდელ დაწესებულებებში. პრობლემურ საკითხს წარმოადგენს გეგმების გადამუშავების ვადების და მათი რიგითობის განსაზღვრის საკითხი. სამწუხაროდ, სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტი (National Sport Policy) 2014 – 2020 არ აკონკრეტებს მოცემულ საკითხებს. უნდა ვიგულისხმოთ, რომ დოკუმენტის შემმუშავებლები ეტაპობრივად შეძლებენ ვადების განსაზღვრა-კორექტირებას და განსახორციელებელ ღონისძიებათა სინქრონიზაციას. დოკუმენტი და სამოქმედო გეგმა დაფუძნებული უნდა იყოს გააზრებულ კონცეფციაზე, ერთმანეთთან კორელაციაში უნდა იყოს მოყვანილი დასახული მიზნები, მათი მიღწევის მექანიზმები, ეტაპები და პოლიტიკის განხორციელების სხვა კომპონენტები.

მიმდინარე ეტაპზე კი შეიძლება ითქვას, რომ სპორტის განვითარების შესახებ დამტკიცებული სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტის კონცეპტუალური დებულებების შესაბამისად უნდა შეიქმნას სპორტის სისტემის რეფორმირების საფუძვლები და დასრულდეს სპორტის შესახებ საქართველოს ახალი კანონმდებლობის შექმნის პროცესი. მიმდინარე წლის ბოლომდე, ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის სამივე დონეზე (სკოლამდელი, სასკოლო და საუნივერსიტეტო) უნდა შემუშავდეს და მომზადდეს ერთიან კონცეფციაში გააზრებული სახელმწიფო პროგრამა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მიმართულებით (საგანმანათლებლო და სპორტის მეთოდური მასალები, შეფასებისა და საშეჯიბრო სისტემები).

სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტის მიხედვით 2014 წლის პირველ ნახევარში საჭიროა მომზადდეს სხვადასხვა სახის სპორტული კომპლექსის სტანდარტული (ტიპური) არქიტექტურული პროექტები და ხარჯთაღრიცხვა, ხოლო საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში მოძიებული უნდა იქნეს მიწის ნაკვეთები შესაბამისი სახის სპორტული კომპლექსისთვის. ამასთანავე, ხარვეზად უნდა ჩაით-

ვალოს ის გარემოება, რომ დოკუმენტი არ აკონკრეტებს სპორტული კომპლექსის აშენების ზღვრულ ვადებს, ვინაიდან ავტორთა აზრით, იგი უნდა განისაზღვროს უშუალოდ სახელმწიფო ბიუჯეტის შესაძლებლობების მიხედვით.

ცხადია, რომ გარდამავალ ეტაპზე ყველა ზემოაღნიშნული პუნქტის შესარულება შესაძლებლობას მოგვცემს გავაუმჯობესოთ ის მდგომარეობა, რომელიც დღესდღეობით არსებობს ჩვენს ქვეყანაში. თუმცა, ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას სპორტისა და სპორტული განათლების სფეროში ფაქტობრივად ახალი კანონმდებლობის მიღების საკითხი წარმაოდგენს. ისმის კითხვა: რომელი საკადრო რესურსის გამოყენებით იქნება შესაძლებელი ამ საკითხის გადაჭრა? სამწუხაროდ, ჩვენი უმაღლესის სასწავლებლები არ ამზადებენ სპორტის სამართლის სპეციალისტებს. უფრო მეტიც, ასეთი კურსი (სპორტის სამართალი) პრაქტიკულად არ იკითხება ქართულ უნივერსიტეტებში. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი და საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, რომელთა სასწავლო პროგრამებშიც აღნიშნული საგანი გათვალისწინებულია. სწორედ ამიტომ, მიმართია, რომ დღის წესრიგში დგას სპორტის სამართლის სპეციალისტთა მომზადების საკითხი.

ჩემი აზრით, სადაც შეიძლება იყოს იმის მტკიცება, რომ უკვე 2014 წლსვე მომზადებული სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის განვითარების სამოქმედო გეგმით (რომლის განხორციელება დაიწყება 2015 წლიდან) გათვალისწინებული ხარჯები შესაბამისობაში იქნება ნლიურ ბიუჯეტთან (უმთავრესად, მათ ექნებათ მოსამზადებელი ხასიათი) და არ გამოიწვევენ მნიშვნელოვან საბიუჯეტო დანახარჯებს.

სპორტის სპეციალისტის მომზადების პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სპორტულ ინფრასტრუქტურას, რომელიც სპორტის სისტემის მატერიალური ბაზას წარმოადგენს. ასეთი ბაზის შექმნისა და განვითარების გარეშე შეუძლებელი იქნება სპორტის სახელმწიფო პო-

ლიტიკის სტრატეგიული მიზნების განხორციელება, მაღალ-კვალიფიცირებული სპეციალისტების მომზადება.

საქართველოს კონსტიტუციის 34-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ნორმა სახელმწიფოს ავალდებულებს, რომ შექმნას და განავითაროს სპორტული ინფრასტრუქტურა. ცხადია, ეს სახელმწიფო საპიუჯეტო სახსრებით უნდა განხორციელდეს. ამასთან ერთად, ამ ვალდებულების შესრულება არ გამორიცხავს არასამთავრობო და კერძო სექტორის ჩართულობას სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარებაში.

საქართველოში, დღევანდელი მდგომარეობით, საბჭოთა პერიოდის სპორტული ინფრასტრუქტურის დიდი ნაწილი განადგურებულია, ხოლო შემორჩენილი მცირე ნაწილი კი ან მნიშვნელოვან განახლებას საჭიროებს, ან არ აკმაყოფილებს არსებულ რაოდენობრივ თუ ხარისხობრივ მოთხოვნებს. შესაბამისად, აუცილებელია როგორც შემორჩენილი სპორტული ინფრასტრუქტურის აღდგენა-განახლება, ისე ახალი სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა.

ბავშვების, მოზარდებისა და ახალგაზრდობის სპორტში ჩართულობის უზრუნველყოფა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მათი პროფესიული ზრდის პერსპექტივაზე, ანუ მაღალი მიღწევების სპორტის წარმატებულ ფუნქციონირებაზე. ზემოაღნიშნული სახელმწიფოს კონსტიტუციური ვალდებულებას წარმოადგენს.

სხვადასხვა ასაკობრივი და ეროვნული გუნდის საერთაშორისო წარმატებები მოზარდებსა და ახალგაზრდებს შორის სპორტის ამა თუ იმ სახეობის პოპულარობის ზრდის, ხელს უწყობს მათ ჩართვას სპორტში. შესაბამისად, სახელმწიფოს სახსრებით შექმნილი სპორტული ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომი უნდა იყოს პროფესიონალი სპორტსმენებისა და პროფესიული სპორტული კლუბებისთვისაც.

ცხადია, რომ სპორტული ინფრასტრუქტურის შექმნის, განვითარებისა და მოვლა-პატრონობის დაფინანსებას მაქსიმალური შედეგი მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნება, თუ

საბიუჯეტო დაფინანსება, აგრეთვე კერძო და არასამთავრობო სექტორის თანადაფინანსება, მუდმივმოქმედი სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტის ფარგლებში განხორციელდება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სპორტული ინფრასტრუქტურის სისტემა უნდა ჩამოყალიბდეს და განვითარდეს ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში, სახელმწიფო პოლიტიკის სამოქმედო გეგმა კი უნდა იყოს არა გრძელვა-დიანი, არამედ მუდმივმოქმედი, რადგან სახელმწიფოს წინაშე მუდმივად დგას ბავშვთა და მოზარდთა აღზრდისა და ჯანმრთელი ცხოვრების წესის დამკვიდრების ამოცანა.

მნიშვნელოვანია, რომ დროზე შემუშავდეს სპორტული ინფრასტრუქტურის შექმნისა და მოვლა-პატრონობის, კერძო ინვესტიციების მოზიდვის სამართლებრივი სტანდარტები, დადგინდეს სპორტულ ინფრასტრუქტურაში სავალ-დებულო წესით კომერციული ფუნქციური დანიშნულების გათვალისწინების ნორმა-სტანდარტები, მათი საფინანსო უზრუნველყოფის საფუძვლები.

აუცილებელია, რომ როგორც საჯარო, ისე კერძო საგანმანათლებო დაწესებულებების ავტორიზაციისა და აკრედიტაციის მიღების სტანდარტებში შესატანად დროულად შემუშავდეს სპორტული კომპონენტის სტანდარტები. ჩემი აზრით, ეს არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ მინიმალური სპორტული ინფრასტრუქტურის არსებობით და სპორტის სასწავლო პროგრამებით, არამედ უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების შესაბამისად უნდა ითვალისწინებდეს მის სპეციფიკას და ტრადიციებს. ეს საკითხი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს რეგიონული უნივერსიტეტებისთვის.

## **Some Aspects of Sports Specialists Training and Development of Sports Infrastructure in Georgia**

**George Chiladze**

*Professor of Samtskhe-Javakheti State University*

In higher sport education a lot of attention paid to the training of trainers and issuance of licenses / category assignment by the respective sports federation.

Refresher courses and retraining of teachers of sports need not only be created at the State University of Physical Education Training and Sport of Georgia, but also on the bases of other universities of Georgia, which have respective sports departments and accredited sports programs. There is a need for a major overhaul of the national curriculum, to create the basis of reforming sport system, and complete the creation of the new legislation on sport. The author focuses on the fact that higher education institutions of Georgia offer courses on sports law. The exception is the Ilia State University and the State University of Physical Education Training and Sport of Georgia.

The system of sports training should focus on sports infrastructure, which is the material base sport system. It must be created within a single state policy, approve the new rules standards, while authorization and accreditation of higher education institutions are necessary to introduce component sports standards.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. ჭილაძე, გიორგი. საუნივერსიტეტო სპორტი: განვითარების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ასპექტები. იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული 1 (25) (pp., 172 – 175). თელავი, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2011.
2. ჭილაძე, გიორგი, სპორტის სამართლის ზოგიერთი თეორიულ-იურიდიული ასპექტი. ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო კონფერენციის მასალები. ახალციხე: ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, 2010
3. ჭილაძე, გიორგი, უმაღლესი სპორტული განათლების ზოგიერთი ასპექტი საქართველოში. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისის უნივერსიტეტი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემია. ერთობლივი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია მიძღვნილი აკადემიკოს ვარლამ ქელბაქიას დაბადებიდან 80 წლისთავისადმი (pp. 225 – 228). ქუთაისი: აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
4. ჭილაძე, გიორგი, ფიზიკური კულტურისა და სპორტის სპეციალისტთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებისა და პროფესიული კომპეტენტურობის ზოგიერთი ასპექტი საქართველოში. ქესჟ: განათლების მეცნიერებანი და ფიზიკოლოგია რეცენზირებადი ელექტრონული სამეცნიერო ჟურნალი (# 1(22)). 2013
5. მინისტრთა კაბინეტმა „სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტი“ დაამტკიცა. საქართვრლოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტრო, 2014, მარტი 28. მინისტრულია ივნისი 6, 2014, სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტი-დან 2014-2020:

[http://msy.gov.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=319&info\\_id=10631](http://msy.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=319&info_id=10631)

6. საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი. 2014, ივნისი 6. მოძიებულია ივნისი 8, 2014, საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ნესდებ-იდან:  
<https://docs.google.com/file/d/0ByndNQS1YtbQcGJCeEh2U2ZKYLE/edit>
7. Aptsiauri L.Sh., Chiladze G.B. Social-Cultural and Juridical Meaning of Sport in the Axiological Space of Modern Education. Physical Activity and Sport in Changing Society: Research, Theory, Practice and Management. 3rd Baltic Sport Science Conference, p. 58. Riga, Latvia : Latvian Academy of Sport Education ([www.lspa.lv](http://www.lspa.lv)). 2010
8. Чиладзе Г.Б. Закон Грузии «О спорте»: правовые аспекты. практическое и информационное издание «Спорт: экономика, право, управление» №4, 2012 , Стр. 29 – 31..
9. Чиладзе Г.Б. Некоторые аспекты университетского спортивного образования в Грузии. Научные труды Русенского университета (pp. том 49, стр. 188 – 192). Болгария, г. Русс: Русенского университета. 2010, 28-30 октября.



**გამომცემლობა „უნივერსალი“**

---

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 1, ტე: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal@internet.ge